



№1. 2018 ♡.

დალოქანი

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
სსიპ „აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“

იაცანი - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის
აფქიო - ჯონა-ჯრებული ყველაზე პატარებისთვის



რედაქტორი - ნანა ჭანტურიბა
მხატვრული რედაქტორი - ნუნუ ჯანელიძე
პასუხისმგებელი მდივანი - ვახტანგ ზაქარაია
მხატვარი - დალი მუხამბე
არტრედაქტორი - ნანა ძარღვა
სტილისტი - თათული რუხამბე

-
-
-
-
-
-
-
-

„ცენტრის“ დირექტორი
ირმა ირემაძე
იაცანი - დაარსებულია 1996 წელს
აფქიო - დაარსებულია 2010 წელს
გამოცემა განახლდა 2014 წელს



სოხუმი და "ზღვა, რომელიც შორია"

საგამომცემლო ჯგუფი:

ნინო ვახანი, სალომე კაპანაძე, ნათო კორსანტია, ნუზარ მგალობლიშვილი, როლანდ ნიჟარაძე, ოთარ ჟორდანი, მანანა ძვინაძე, გელა ჩქვანაძე, სოსო ჭუმბურიძე.



XVII ს.-ის იტალიელი მისიონერი, წლების მანძილზე საქართველოში რომ ცხოვრობდა*

ღონ ქიხსტოფოხო დე კასტელმა, იტალიელმა მოგზაუხმა და აღმოსავლეთმცოდნემ XVII ს.-ში იმოგზაუხა საქართველოში და უნიკალუ ჩანახატებთან უხოად დაგვიტოვა მოგონებათა უხუბელი იმეოინდელი უხოთელ-სახელმწიფოეუბიუხ და სოციალუ-პოლიტიკუ ცხოუხებაზე, მისიონეულ მოლვანეობაზე (აქ მოხმობილ უამიხვ ფაქტს სხვა წყაოებში ვეუც აღმოაჩენთ).

იტალიელმა დე კასტელმა ჩვენს ქვეყანაში საუენის მეოთხედი გაატაჰა და უხოთველ ხალხთან უხოად გადაიტანა იმ ეპოუის სიხოთეუბი.

"ცნობეუბი და აღბომი საქართველოს შესახებ" - ავტოიის ამ წიგნში თანდახოთ თოთოულ ნახატს, აჰიუების გასწუიუ, აქვს მოუელ მინანუი, 11 ენაზე შესულებელი (მათ შოიის, უხოთელუც).

აღსანიშნავია, რომ წლებს მანძილზე საქართველოში შეგოუბეული დოკუმენტუი მასალა 7 სუელტანიან ტომდააა შეუხელი და ამჟამად პადეიხმოს მენიციპალუ წიგნთსაცავში ინახება.

იაც შეუება ნახატებს, სამწუხაოდ, ჩვენამდე მან სუელი სახით ვეი მოაღწია.

"ჩემს სამშობლო პადეიხმოდან რომში დაბეუნების დიოს, ზღვის ლეღისას, წყალში გადამივარდა უხოი ტომი, რომელშიც ყველაზე მშვენიეი ნახატეუბი მქონდა შეტანილი", - შენიშნავს დე კასტელი.

ხოგოიუ ბეუან გოიგადე აღნიშნავს, იტალიელი მისიონეიის ნახატეუბი და უელციონი (თხომბით-დამაუავშიუბეული) ეძვიფავს მასდას წაჰმოადგენს, ძიიითადე, დასავლეთ საქართველოს ისტოიის შესასწავლად. ახოთ უხოთველ ისტოიიკოსს უცდია ამ პეიოიის საქართველოს ისტოიის აღდგენა სწოუე კასტელის ნახატეუბის მიხედვით.

სე შემოუნახა ამ წაჰმომმა უხოთელ ისტოიოგაფიას დასავლეთ საქართველოს ახოთი სახელოვანი და ახაცნობილი პიოუნება, მათთან დაუავშიუბეული უელეი ფაქტეუბი. ვეუიყლავთ წიგნის გვედებს და უთმანეთს ენაცვება იმეუიის მეუეუბის - ხოსტომის, გოიგი III-ის, აღუქსანდე III-ის, ბაგიაუ V-ის, გუიის, სვანეთის, სამეგელსა და აფხაზეთის მთავაითა პიოიეუბეუბი. კასტელი პიოადე იცნობდა და ხატავდა სხვებსაც; მათ შოიისაა: სახელოვანი საუელესიო პიიი, წიკოლო იუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, კოლბი და იმეიელი პოეუბი - სელხან ავთანდილაშვილი და ვომინიკა ბეიძე, ფილოსოფოსი ბაჰიძე ვაჩნაძე, მხატვარი ჰოღია მიქელაძე...

სევე, უხოთ-უახეთის მეფის, თეიმუიზ I-სა და დედამისის, საქართველოსთვის წამებელი ქეთევან დელოფის, დიდი მოუიავის - გოიგი სააყადის, დაუბან უნიდაძის (შაჰ-აბასის მუედიოთავაიი), სხვათა და სხვათა და სუელიც უცნობ უხოთველ დამახმანთა სახეუბი სწოუე კასტელის ჩანახატეუბითა ცნობილი. უცხოელი მოგზაუი აღეუოვანებელია, უხოთველი მანდილოსნეუბი ყვედანაიხად აღემატებინა ეუიოპედ ქალებსო.

საუეხადლებოა იმ ეპოუის უხოი საინტეიესო ეპიზოდი: 1654 წელს კონსტანტინოპოლში, ეუიძოდ, საფხანგეთის საეღროში მოწყობილა ბანკეტი, სადაც კასტელიც ყოფილა მიპატიეუბელი; წვეულების საპატიო სტუმიებს შოიის იყო, აგუთვე, უხოთველი ეღიც, გვახად სულხია (ნახატეუც ასე მოიხსენიებს მას კასტელი). საფხანგეთისა და პოლონეთის ეღებს ფეხზე ადგომით შეესვამთ საქართველოს სადღეუბელსო.

ამეუხად გადაწყვიტეთ, "ილქნის" ტადიციული ჩანახოთი შემოიფაჰგლოს მხოლოდ აფხაზეთში შესულებელი ჰამენიმე ესეიზოთ; ასე იუვეთება XVII ს.-ის აფხაზეთის უელბოს ახოთი ეპიზოდი; ვეცნობით აფხა მთავეებს - ბესლაკო და სუემან შაჰმიებს, სახელოვან სახდალს - ავიბაიას, ანაკოფიის ნავთსაყუეიის მფლობელს - დავით ჩიფავაძეს, უცნობ აფხაზ აზნაუხს... გვხობდავს ნახატეუზე ამ უეთის საუელესიო სინმიდებების - ბეიის, მოუის, დანდის, ანდიის მოციქელის სახელობის ტაძეუბის სიღა.

უხოთელად და მეგუელად თავისუფლად მოლაპაჰაე იტალიელმა მისიონეიმა საქართველოში და უხოთველბის გვედიოთ 26 წელი იცხოუვა. მან სუელად გააცნობიუხა საქართველოს - ამ უდიესი სულიეი მისიის მატაეუბელი ქვეყნის ჰოლი და მნიშვნელობა ქიხსტანელი სამეუხოსავთის.

ღონ ქიხსტოფოხო დე კასტელის წიგნი მთავეება ამალევებეული ფაზით:

"მხავალი წლის მანძილზე საქართველო ჩემი სატეი იყო".

(იხილეთ "ილქნის" ჩანახოთი).



ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I ესაუბრება დე კასტელს



შეიარაღებული აფხაზი აზნაური

* - ვიხელმძღვანელეთ კასტელის წიგნისათვის („ცნობეუბი და აღბომი საქართველოს შესახებ“) თანდართული ბეუან გოორგადის თარგმანებით, ფოტოეუბითა და კომენტარებით.



ზვიად გამსახურდია

თავისუფლებისათვის მებრძოლი ეროვნული გმირის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას, გამოჩენილი ლიტერატორისა და მთარგმნელის მიღწეის შემოქმედებას ამშვენებს ორიგინალური იგავ-ახაყებიც.

ზვიად გამსახურდია დაუნდობლად ახერხებდა მახინჯი სისტემის მანქანებას, აშიშვლებს მის ფასადს, მოჩვენებით ბრძენობდა. მწიგნობარს ფიქრით მუხრანს მხედველობიდან ახიჩება დაცემულ საზოგადოებაში მეტასტაზით ფესვადგმული, სულიერებისგან დაცილი უთიუხითობები, ბიუროკრატიული ჰიერარქიის მიუღებელი ჯანსაღი ახი, ყოფითი თუ ადამიანური ეგზისტენციის უსიამო ეპიზოდები.

ყოველ დღეს და ეპოქას თავისი სათქმელი იგავ-ახაყებითაც მოაქვს (თვით იესოც იგავებით უდავლად უდავლად ხაზს).

თვალსაზრისითვის კმახა ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი მინიკატეგორიული იგავ-ახაყი "ფუტყების ჯონჯონი", სადაც ფუტყათა შიხის გამაჩვიებელი ბუზი გამოდის. მებრძობელია

სამაჩთარი, დახლვეულია ანდაზის კონცეფცია.

სამწახაიოდ, დღესაც მხავედ ბუზიან ბუზები, ფუტყობას ხომ იჩემებენ და კეთილშობილი ფუტყის ადგილს თავხედურად იკავებენ. ამაში მათ ხელს უწყობს ზნედაცემული საზოგადოება (ამ შემთხვევაში - ვიუჩი), ხომელიც თავისი უბედურეი ახსებობის გასამაჩთებლად მზადაა, ბუზის უქსეხემენტიც* კი თაფლად გაასაღოს. მაგამ, ხომოც იესო ამბობს, ხე ნაყოფით იცნობა.

ბუზი, ხომელიც ყვავილების ნუქის ნაცვლად აყიოლებდ ნეხვს ეტანება, ვეხაფხით ჩანაცვლებს ლთიუხი თაფლის მომცემ ფუტყას. თუმცა, თუ მაინც ვინმე ფუტყას ბუზს ამჯობინებს, ეს მისი აჩვენაია; იმისთვისაც მზად უნდა იყოს, ბუზის "ნახელავს" დასჯიდეს.

იგავები

ზვიად გამსახურდია

ბრმების ქალაქი

ბრმებმა თავიანთ ქალაქში ცალთვალა გაამეფეს, ხოლო თვალხილულს უარი უთხრეს მეფობაზე:
– ცალთვალა ცალი თვალთ მინც გვავს ჩვენ, შენ კი ორთავე თვალთ უცხო ხარ!

ორი ლომის ამბავი

ერთხელ ცირკის მხეცები ზოოპარკში ჩამოატარეს. სურდათ, ენახათ, თუ ვით შეხვდებოდნენ მათ გალიაში დამწყვდეული თვისტომნი. ერთი, ყველაზე სამაგალითოდ განვრთნილი ლომი, თავისი მოძმის გალიასთან შეჩერდა და უთხრა:

– ეჰ, რარიგ მებრალეები, ძმობილო, აქ ჩამწყვდეული! გაძვალტყავებულხარ, თვალეში შუქი ჩაგქრობია ნიადაგ ერთ ადგილას გდებთა და გალიაში წრიალით. ნამოდი ჩვენსას ცირკში, ჩვენი ბატონი კარგად გაჭმევს, არაფერს მოგაკლებს, საზოგადოებაც დიდი გეყოლება. აბა, აქ გდება რას მოგცემს?! შენს სანატრელ უდაბნოში, ხომ იცი, მაინც არავინ გაგიშვებს! რახან აქ მოხვდი, სიკვდილამდე აქ უნდა გალიო შენნი დღენი!

გალიის ლომმა კი მიუგო:

– ეჰ, ძმობილო, რარიგ გადაუგვარებხარ კაცს, თავისუფლება მონობაზე რომ გაგიცვლია! ისევ ის მირჩენია, აქ ვიჯდე მონყენით, ვიდრე კაცის მონა ვიყო და მისი მათრახის ტკაცუნზე ვიხტუნო და ვიჯამბაზო! აქ ის მაინც ვიცი, რომ არავის მონა ვარ და იმასაც ვერავინ ამიკრძალავს, ხანდახან დავიქუხო გულდარდიანად და უდაბნოს სევედა განვიქარვო! შენ კი ხმის ამოლებაც აკრძალული გაქვს, რათა შენმა გრუხუნმა ცირკის მაცურებლები და მოსამსახურენი არ შეაშფოთოს. ჩვენი მოდგმა მაინც გადაშენების გზაზე დამდგარი! მალე ასპარეზო ლომ-ვეფხვთა ნაცვლად ვირთხებსა და ტურა-მელებს დარჩებათ! ასე რომ, აქაც მშვიდობიანად დავლევ ჩემს დღებს!

ფუტყარი და პეპელა


ფუტყარმა უთხრა პეპელას:

– მე და შენ ორივენი ყვავილების ნექტარს ვისრუტავთ, მაგრამ სად შენი სარგებლობა და სად ჩემი: მე თაფლს ვაძლევ ადამიანს, შენ კი ქარს ატან შენს მონაგარს!

პეპელამ მიუგო:

– სამაგიეროდ, მე ყვავილების მშვენების სული მეუფლება და უცხო მისატავს ფრთებს, რათა ადამიანი დავატკბო ჩემი სილამაზით. შენ კი ვაგლახად მოკუზულხარ გესლისაგან და ხშირად ადამიანს თაფლის ნაცვლად მომაკვდინებელი შხამით უმასპინძლები; ასე რომ, შენგან საფრთხე მეტია, ვიდრე სარგებლობა.

მორალი: ასევე, უჭირს ზოგიერთ გონებაშეზღუდულ მეცნიერს ხელოვანის დანიშნულების გაგება.



ცრემლნარევი ღიმი

ერთი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და ეკონომისტი სასეირნოდ გამოსულიყვნენ. გზაზე ჭას წაადგნენ. შიგ კაცი ჩავარდნილიყო და იხრჩობოდა.

- მეგობარო, რა გაგჭირვებია? - ჩასძახეს მათ.
- ვიხრჩობი, თოკი მომაშველეთ! - ამოსძახა კაცმა.

ფილოსოფოსმა, ფსიქოლოგმა და ეკონომისტმა იწყეს თათბირი, თუ რა ელონათ. ფილოსოფოსმა თქვა:

- უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ლოგიკური დასაბუთება იმისა, რომ ეს კაცი კაცია, რომ ეს ჭა ჭაა და რომ ეს კაცი იხრჩობა ამ ჭაში. ლოგიკურად უნდა დადგინდეს, აგრეთვე, რარიგ უკავშირდება თოკის ცნება მოცემულ სიტუაციას!

ფსიქოლოგმა თქვა:

- საჭიროა, აღწეროთ ამჟამად ამ კაცის ფსიქიკის მდგომარეობა: შევისწავლოთ გამლიზიანებელთა ზემოქმედება მის ფსიქიკაზე და სუბიექტის რეაგირება მათზე. უნდა შევისწავლოთ, ნამში რამდენი აზრი და წარმოდგენა გაუელვებს მას ამჟამად თავში. ამისათვის კი საჭიროა აპარატურა. საჭიროა, აგრეთვე, მოტივირება, თუ რად აღეძრა მას ფსიქოლოგიური ასოციაცია - „თოკი“!

ეკონომისტმა თქვა:

- საჭიროა, გავიგოთ, რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის ეს კაცი; რახან თოკს ითხოვს, ისიც, რა წარმოებით ურთიერთობებთან აქვს მას საქმე.

მალე მათ გზად მიმავალი იურისტიც შემოუერთდა და ასეთი რამ ურჩია:

- ამ მოქალაქემ სასწრაფოდ უნდა დაწეროს განცხადება ჭიდან ამოყვანის შესახებ!

შემდეგ თავი მოიქექა და თქვა:

- ოჰ, სულ დამავინწყდა, რომ დღეს კვირაა და კანცელარია დაკეტილია; განცხადებას არავინ მიიღებს!

ამასობაში ერთმა გლეხმა გამოიარა. დაინახა, კაცი იხრჩობა; სასწრაფოდ მოარბენინა სახლიდან თოკი და ამოიყვანა ჭაში ჩავარდნილი.

ადგილობრივმა გაზეთმა მადლობა გამოუცხადა „მეცნიერთა ჯგუფს“ კაცის გადარჩენისათვის, ხოლო გლეხს დაევალა ჭის გადახურვა, რათა ხელმეორედ აღარავინ ჩავარდნილიყო შიგ.

კოვზი და ზღვა

ერთმა კაცმა განიზრახა კოვზით წყლის დაღვევა და რჩევა ჰკითხა მეგობრებს. ერთმა ურჩია:

- წადი, ზღვისხელა კოვზი იშოვე სადმე და იმით დალიე!

მეორემ ურჩია:

- წადი, კოვზისხელა ზღვა მოძებნე სადმე და ერთ ყლუბად არ გეყოფა!

ხოლო მესამემ უთხრა:

- კაცი თვითონ არის ზღვა; ყველა სხვა ზღვა კოვზით დაიღვევა, მაგ ზღვას კი ვერაფერი დაღვეს; ზღვა შენშივეა, რალად გინდა სხვა ზღვის ძებნა!

მინის მოკალე

ერთ დილას გლეხმა ღორი გამოიყვანა მინდორში დასაკლავად, ვაგლახად აჭყვივლებული. ხარები ხნავდნენ ამ დროს მინას და ერთ-ერთმა მათგანმა მიაძახა ღორს:

- აბა, რა გეგონა, ძმობილო! უქნარობა, მუცელმერთობა და განცხრომა რა სიკეთეს მოგიტანდა!

შუადღისას თავად ეს ნიკორა გამოხსნა პატრონმა უღლიდან, უკვე დაბერდა, მოუსუსტდა მუხლიო და დასაკლავად წაიყვანა. მის ნაცვლად კი ახლადგახედნილი ხარი შეაბა.

ყოველივე ამას ყურს უგდებდა თხუნელა, მინაში დამალული. თხუნელამ თქვა:

- ეჰ, ამიტომაც ავარიდე თავი ღვთისა და კაცის სამსახურს. აქ, მინის სიღრმეში, ველარ მომწვდება კაცთა გულბოროტი მოდგმა!

მაგრამ ხარები ძლიერ ღრმად აბრუნებდნენ გაზაფხულის სითბოსაგან დარბილებულ მინას და სწორედ ამ დროს გამოფატრა სახნისმა თხუნელა.

იქვე, მახლობლად, ხეზე მჯდარი ტოროლა მოსწყდა ტოტს და ეთერში აიჭრა:

- ფრთები არ გაგაჩნიათ, ბედშავნო, მხოლოდ ფრთები თუ დაგიფარავთ ჩემებრ

სიკვდილისაგან!

- მაშ, გავიწყდება, რომ სიკვდილი

შენზე ფრთამალია!

დაინივლა ალაღმა* ღრუბლებში, მეხივით დაეცა ტოროლას და ბუდისკენ გააქანა.





- ტყვიაა შენზე ფრთამალი! - ჩაიცინა მონადირემ და ერთის გასროლით ჩამოიღო ალალი ციდან. ხოლო ანგელოზმა, რომელმაც იმავე საღამოს მიიღო ამ მონადირის სული, ჩაილაპარაკა:
- ყველანი სტუმრები ხართ მიწისა, მიწის ვალი გაძვეთ ყველას! მიწას კი როდი უყვარს თავის მოვალეთა გათამამება. თქვენი სახლსამყოფი ღვთის საუფლოა, ამას ნურასოდეს დაივინყებთ!
- ამის თქმა და ანგელოზმა ზეცისაკენ გააქროლა მონადირის სული.

ია და მზე

- იამ უთხრა მზეს:
- შენ რომ სხვა ყვავილებსაც არ ჩუქნიდე სხივებს, უფრო მეტად მეყვარებოდი!
- მზემ კი მიუგო:
- მე რომ სხვა ყვავილებს არ გაუუნანილო ჩემი სხივები და მთლიანად შენ მოგასხივო, მხურვალელებს ველარ გაუძლებ და დაინვები!

არწივი და თხუნელა

ერთმა თხუნელამ განიზრახა მზის შესახებ ტრაქტატის დაწერა და გადაწყვიტა არწივის მონვევა სპეციალისტ-კონსულტანტად.

- თქვენზე ამბობენ, - უთხრა მან არწივს, - რომ მზეს ყველაზე ახლოს იცნობთ. მამცნეთ, რა ფაქტობრივი საფუძველი აქვს ხალხის ამგვარ მტკიცებას!

არწივმა დაწერა რეფერატი და წარუდგინა. თხუნელა გაეცნო რეფერატს და უთხრა:

- მართალია, მე მხედველობა არ გამაჩნია, მაგრამ სიზმარში მინახავს მზე. თქვენს მიერ აღწერილი მზე კი ოდნავადაც არ ემთხვევა ჩემს მიერ ნახახს! თქვენს მონათხრობს დამაჯერებლობა აკლია. კარგი იქნებოდა, თუ განავრცობდით და არგუმენტებით განამტკიცებდით თქვენს რეფერატს!

- მეტს ვერას მოგახსენებთ თქვენთვის გასაგები ენით, - მიუგო არწივმა, - თქვენი ბიძაშვილი ვირთაგვა კი ჩემზე უკეთ განგიმარტავთ მზის რაობას; მზეს ისიც ხშირად ხედავს ხოლმე, როდესაც მიწისპირზე ამოდის. ამიტომ მისთვის დამითმია სპეციალისტ-კონსულტანტის ადგილი!

თვითმფრინავის „გამომგონებელი“

ერთმა კაცმა გააკეთა თვითმფრინავის მოდელი და უჩვენა ერთ ავიაკონსტრუქტორსა და ათ ავტოკონსტრუქტორს. ათივე ავტოკონსტრუქტორმა მოიწონა მოდელი, ხოლო ავიაკონსტრუქტორმა დაინუნა.

„გამომგონებელმა“ ბანკეტი გადაუხადა ავტოკონსტრუქტორებს, ავიაკონსტრუქტორს კი სამუდამო მტრად მოეკიდა.

ფუტკრების კონკურსი

ფუტკრების კონკურსში, საუკეთესო თაფლისა და საუკეთესო ბზუილისათვის რომ მოეწყო, გაიმარჯვა ბუზმა. ჟიურიმ მოიწონა მისი ბზუილი, ხოლო თაფლად გასაღდა მისი ექსკრემენტი. ჟიურიმ შექმნა ახალი ანდაზა:

- ფუტკარი ბევრი ბზუისო, მაგრამ ბუზთან ყველა ტყუისო!





*ძველი ქართული წყაროების მიხედვით სოხუმს ეწოდებოდა „ცხუმი“. ამ სახელწოდებით იგი, როგორც აფშილეთის ქალაქი, პირველად იხსენიება ქართველი ისტორიკოსის – ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებაში.

უძველეს ხელნაწერში გადმოცემულია V ს.-ის ქართლის ცხოვრება; უფრო ზუსტად, ვახტანგ გორგასლის ცხოვრება (საინტერესოა, რომ მკვლევართა ნაწილი ჯუანშერს მიიჩნევს VIII ს.-ის მოღვაწედ; უმრავლესობის აზრით კი, ისტორიკოსი ცხოვრობდა XI ს.-ში).

ჯუანშერის ცნობით, მურვან ყრუმ VIII ს.-ში „შემუსრა ქალაქი აფშილეთისა – ცხუმი“ (ისტორიული ფაქტია: VIII ს.-ის 30-იან წლებში, როცა დაუნდობელი მურვან ყრუ შემოიჭრა საქართველოში, არაბებთან გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ აფხაზეთში მოხდა).

„ცხუმს“ მოიხსენიებს მეორე ქართველი ისტორიკოსიც – ლეონტი მროველი (XI ს.-ში მცხოვრები), რომლის განმარტებით, ანდრია მოციქული შევიდა აფხაზთა ქვეყანაში და „სევასტე ქალაქად მოვიდეს, რომელსა აწ ეწოდების „ცხუმი“.

ბერძნული წყაროების მიხედვითაც, სოხუმს ჯერ დიოსკურია, შემდეგ კი სებასტოპოლისი ეწოდებოდა. „სებასტოპოლისი“ ბერძნული ტოპონიმი და ნიშნავს „სებასტის ციხეს“; „სებასტო“, იგივე „სევასტი“, ბერძნულად ნიშნავს „დიდებულს“, ანუ, „ღირსეულს“. ამდენად, სებასტოპოლისი ითარგმნება, როგორც „ღირსების ქალაქი“.

დიოსკურია ბერძნულ წყაროებში მოიხსენიება ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ.-ით V ს.-დან. დაახლოებით 2000 წლის წინ დიოსკურია, სავარაუდოდ, სტიქიამ იმსხვერპლა. მისი ნანგრევები ნაწილობრივ ზღვითაა დაფარული.

რომის იმპერიის არსებობის ხანაში (I-V ს.ს.) ქალაქს უკვე სებასტოპოლისი ეწოდება.



ცნობილი აფხაზი მწერლის – ბაგრატ შინკუბას ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული და პოპულარული ნაწარმოებია „უკანასკნელი უბიხი“. წიგნი აფხაზეთის უძძიმესი პერიოდის, მუჰაჯირობის ტრაგიკული დღეების შესახებ მოგვითხრობს.


გასული საუკუნის 70-იან წლებში ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რომელიც ძალზე დაინტერესდა უბიხების ხვედრით, გადამწყვეტა თურქეთში ჩასვლა და იქ გადასახლებული უბიხების მოძიება.

ჟურნალისტი შეეცადა, შეძლებისდაგვარად შეესწავლა უბიხთა ცხოვრება, წარსულის დღეები, დაძლეული სირთულეები; გაეგო, როგორ დაატოვებინეს აფხაზებს საკუთარი მშობლიური კუთხე და რა ბედი ეწიათ მათ ემიგრაციაში.

საინტერესოა, რომ კორესპონდენტმა გაიცნო 100 წელს მიტანებული ბერიკაცი; პიროვნება, რომელსაც სთხოვა, გაეხსენებინა შორეული გადასახლების დღე, სხვა კონკრეტული დეტალებიც; მოხუცი ანერვიულდა; ბევრი რამ ვერ გაიხსენა; წვალობდა, უჭირდა კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

რამდენიმეწუთიანი ფიქრის შემდეგ რესპოდენტმა „საუკეთესო“ გამოსავალი იპოვა:

– ახლა მივხვდი, რით ჰგავს ერთმანეთს ქალი და გონება, ორივენი მოღალატეები არიან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ერთი ახალგაზრდობაში გღალატობს, მეორე კი – სიბერეში!



* – თეიმურაზ მიბჩუანის წიგნის – „აფხაზეთის ისტორია“ – მიხედვით.



დეკანოზი მაქაშიმე (ჭანტურია)

"იაცანი", ხოგოყ ნინა ნომეში იყო დაანონსებული, გთავაზობთ ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის კადხის (სანაპიროზე) წინამძღვის, ჟეანოზ მამა მაქაშიმეს (ჭანტურია) მოხიგ წეხილს, სათაუხით "ისტოხიის ღვთისმეტყველება".

ცნობილია, ხომ ისტოხიას, ხოგოყ "ახაზუსტი მეცნიეხების ხეჰუცაციის მქონეს", ბეჰი ეჭვით უყუხებს (ახყ თუ უსაფუძვლოდ). ზოგიეხითი ისტოხიეოსი ფაქტებს დამახინჯებუდა, ხოლო მოვლენებს მიეხიძობებუდა აღწეხს. მაგხამ, ხოგოყ მამა მაქაშიმე აღნიშნავს, "ისტოხიას საწყისი მოცემული აქვს ღმეხთისგან"; ამიტომ, "ისტოხიის ღვთისმეტყველებს მასზე, ვინც შექმნა ისტოხია".

ავტოხი ისტოხიას განიხილავს ბიბლიეხი ჯონსტეჰსკი, ბიბლიეხი ისტოხიეუბი ჯი, ხომეღეც მზინდა წეხილებში გვხვებუდა, უმციხეს ცდომილებასაც გამოხიცხავს. სხვაგვარად შეუძლებელია, ხადგან ამ ისტოხიეებს ღვთიეშთაგონებელი ადამიანეუბი ქმნიდნენ.

"ანი"-დან "ჰოე"-მდე, ანუ "დაბებუდან" "გამოცხაებებამდე" - ყველაფეხი ეხთმანეთს საოცხი წეხიგით უჯავშიდებუდა. სწოხედ ეს ღვთიეხი ეხთიეხთაჯავშიხია ის მამოძხაებელი ძაღა, ხომელსაც დღემდე წინ მიჰყავს ჯაცობიხიობა.

ისტორიის ღვთისმეტყველება

დეკანოზი მამსიმი (ჭანტურია)

თანამედროვე გაგებით, ისტორია არის წარსულის ღირსსახსოვარი მოვლენების თხრობა, რომელიც ხელს უწყობს ერების თვითშეგნებისა თუ კაცობრიობის თვითშემეცნების პროცესს.

ფაქტობრივი მასალების სიუხვისა და უწყვეტობის გამო ბოლო სამ ათასწლეულთან მიმართებაში ისტორია საკმაოდ ღირსეულად გამოიყურება, რაც კიდევ ერთხელ აძლიერებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კაცობრიობის თანამედროვე ისტორია იწყება რომის ისტორიით.

ისტორიკოსები თანხმდებიან იმ საკითხზეც, რომ ისტორს (ისტორიის აღმწერს) არ შეუძლია, არ იყოს სუბიექტური, ხოლო ისტორიკოსისათვის, მცოდნესათვის, მეცნიერისათვის მიუტევებელია, არ იყოს ობიექტური.

ისტორიკოსის კეთილსინდისიერება, გულწრფელი და ობიექტური კვლევა ღირსებას სძენს მის მიერ აღწერილ ისტორიას. ამავე დროს, ფარავს ისტორიაში დაფიქსირებულ თითოეულ ხარვეზს.

უპირობო ჭეშმარიტებაა, რომ ისტორია არ შეიძლება, იყოს სიცრუე; სიცრუე არ არის ისტორია (რადგან სიცრუე არის სიცრუე!); ამიტომაც იმ ერებს, რომლებსაც სიმართლით არ აღუწერიათ თავიანთი ისტორია, არ აქვთ ისტორია.

ისტორია უძველეს წარსულთან მიმართებაში საკმაოდ სავალალოდ გამოიყურება, რადგან ის არ შეიძლება, შემოიფარგლოს მხოლოდ სამი ათასწლეულით. ამიტომაც, სამყაროს შექმნის, ადამიანის, სიცოცხლის წარმოშობისა და სხვა არსებით საკითხებთან დამოკიდებულებაში, რომელთა მიმართაც არანაკლებ ინტერესს გამოხატავს სხვა მეცნიერებებიც (მაგალითად: ფიზიკა, ბიოლოგია და სხვა), ისტორია განიარაღებული ჩანს და სავალალო მდგომარეობაშია. განიარაღებულია იმიტომ, რომ მას, როგორც მეცნიერებას, არა აქვს უფლება (რა თქმა უნდა, თანამედროვე გაგებით), იხელმძღვანელოს რწმენის, წმინდა წერილისა თუ გამოცხადებითი ჭეშმარიტებების შესაბამისად. ეს მას ანიჭებს კონფესიონალური* მსოფლმხედველობის იარლიყს. ისტორიას ისედაც აქვს სხვა იარლიყი – რომ ის არ არის ზუსტი მეცნიერება (როგორც მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა და ა.შ.; თუმცა მათი სიზუსტეებიც პირობითია).

ისტორია მის მთავარ ფიგურანტს – ადამიანს (პიროვნებას) აბსოლუტურად დამოუკიდებელ ინდივიდუალად აქცევს, ისტორიულად აღმოცენებული ყოველგვარი პირობის გარეშე მდგომად.



იგი ცდილობს, გათავისუფლდეს წინასწარი აზრებისა და დოგმატებისგან, რაც არსებობის უმაღლესი გამოვლინება – აზროვნებაა.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, აუფერულებს ისტორიის როლს ადამიანის ცხოვრებაში და ბადებს მისდამი სკეპტიციზმს; უკანა ფლანგზე წევს ადამიანის მიერ ისტორიისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების პერსპექტივას.



როგორია ისტორიის ნამდვილი ბუნება, როგორია ისტორიის ღვთისმეტყველება? უნდა ჩავუღრმავდეთ ორ შეკითხვას:

- 1) როგორია ისტორიის საღვთისმეტყველო გაგება?
- 2) როგორ ღვთისმეტყველებს ისტორია, როგორც ღმერთის შემოქმედების ნაყოფი?

ცხადზე უცხადესია, რომ ისტორიას საწყისი მოცემული აქვს ღმერთისგან. ღვთისგან მისი წარმომავლობა მიაჩნდება ისტორიის საიდუმლოებრივ მხარეზე და მის განსაკუთრებულ ღვთიურ საზრისზე. დროისა და სივრცის თვალსაზრისით მარადიულობაში შობილი ისტორიის ორბუნებოვნება – მატერიალური და არამატერიალური – ისტორიას ხდის ღვთისმეტყველების განსაკუთრებული შესწავლის სფეროდ.



ისტორიის ემპირიული ბუნების მიუხედავად, მხოლოდ აზროვნების გამოვლენის უმაღლეს ფორმას - რწმენას შეუძლია, გადალახოს ღმერთის შესაქმისა და საღვთო წყვდიადის საიდუმლო. ამიტომაც, ისტორიის შესწავლას საფუძვლად უნდა ედოს და უდევს გამოცხადებითი ჭეშმარიტებების ცოდნა.

ქრისტიანული მოძღვრების ზეისტორიული ბუნების მიუხედავად, წარმართულ ანუ არაქრისტიანულ სამყაროსთან მისი რეცეფცია იძლევა საერთო-ისტორიულ ღირებულებათა იერარქიის გამოყოფის საშუალებას. ყოველივე ეს, როგორც ჭეშმარიტების მარცვლები, მიმოფანტული იყო სხვადასხვა ხალხისა და რელიგიის უმთავრეს დოქტრინებში, მათ საუკეთესო წარმომადგენელთა ფაქიზ გონებაში (როგორებიც იყვნენ: ლაო-ძი, სოკრატე; ასევე, ბერძნული ფილოსოფიური აზრი, სწავლება „აბსოლუტური ერთის“ შესახებ; ეგვიპტელთა, სპარსელთა თუ ბაბილონელთა ძველი ალთქმის წიგნებისადმი ინტერესი). მეტიც: ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ომების წარმატებამ ხელი შეუწყო ანტიკური ფილოსოფიის მიღწევების განვრცობას აღმოსავლეთში, რამაც, გარკვეულწილად, წარმართული სამყარო ქრისტეს მისაღებად მოამზადა.

ქრისტიანობამ ჭეშმარიტების ძიების გზაზე ნათელი მოჰფინა არაქრისტიანული სამყაროს წინათგრძნობებს. ეს ნათელი ქრისტიანობის ანუ გამოცხადებითი ჭეშმარიტებების ის ზეისტორიული ბუნებაა, რომელიც ორგანულ ერთობაში აქცევს კაცობრიობის გამოხსნისა და გადარჩენის ერთიან ისტორიულ გზას.

მისი გაუთვალისწინებლობა, რბილად რომ ვთქვათ, ჩრდილში აქცევს ნებისმიერ განსხვავებულ შეხედულებას ისტორიაზე. ამიტომაც, ისტორია არ არის მხოლოდ ფაქტები, თუმცა ეს მისი ძალიან ძვირფასი მხარეა. ის, პირველ რიგში, თავისი დიდი მოცემულობით არის საღვთო წინაგანგებულების გამოვლენის ღრმა შინაარსი.

ისევე, როგორც ღვთისმეტყველების შესწავლის სფეროს წარმოადგენს ყოველივე, რაც ღმერთისგანაა შექმნილი, ასევე, ისტორია ღვთისმეტყველებს მასზე, ვინც შექმნა ისტორია.



ისტორია, რისიც არ უნდა იყოს ის, რომისა ან რომელიმე ერის, ღვთისმეტყველების, ფიზიკის, ლიტერატურის, მუსიკისა და ასე შემდეგ, მთავარ ფიგურანტთან – ადამიანთან ერთად, მისი თანამონაწილენი ყოველთვის არიან და იქნებიან ღმერთი და ანგელოზები (მიუხედავად იმისა, აცნობიერებს თუ არა ამას რომელიმე სივრცისა თუ ჯგუფის წარმომადგენელი).

ამ რეალობის გაუთვალისწინებლობა ვიწრო ჩარჩოებში აქცევს ისტორიის მეცნიერებას.

ისტორიული სინამდვილე, ისევე, როგორც





ღმერთის სიტყვა, ქვემარტების ბუნებიდან გამომდინარე, საღმრთო განგების ხელშია. ის ნათელს ჰფენს ადამიანთა მოდგმის გარკვეულ ღირსსახსოვარ მოვლენებს. ისტორიული სინამდვილის მიერ მოფენილი ნათელი ქმნის სივრცეს აზროვნებისთვის, აზროვნება კი მიმართავს ადამიანს ღმერთისაკენ. მხოლოდ ასეთი, ღმერთთან დამაკავშირებელი აზროვნება ინოდება ქვემარტი აზროვნებად, ყოველ ინტელექტსა და ფიქრზე აღმატებული.

წმინდა წერილს აქვს თავისი განსაკუთრებული სიმბოლოური ენა. ძველი აღთქმა იცნობს წინასწარმეტყველთა სკოლებს, რაც თავის თავში გულისხმობს ერთს: რომ გარკვეული წინასწარმეტყველების ნიჭის მქონე ადამიანს უღრმავებდნენ ამ უნარს.

ამის შესანიშნავი მაგალითია ელია წინასწარმეტყველის მიერ ცეცხლის ეტლით ატაცების ამბავი; ყოველივე გარკვეულნილად გვაფიქრებინებს, რომ ისტორია არანინასწარმეტყველურად, მაგრამ გარკვეული დაკვირვებებითა და კანონზომიერებებით,

ანალოგიებითა და მინიშნებებით, ადამიანურ გონებასა და განსჯის სათნოებაზე დაყრდნობით ისტორიის წინასწარ დანახვის გარკვეულ უნარს გვანიჭებს. ამიტომაც, ისტორია ითვლება არა მხოლოდ ერებისა და მათი მმართველების, არამედ ყველა ადამიანის საჭირო და აუცილებელ საგნად.

მისი მეშვეობით ადამიანი შეიცნობს ღმერთს, სამყაროსა და საკუთარ თავს. ამ მხრივ ისტორიის როლი ღმრთისმეტყველურია, ხოლო მისი სიზუსტე და სიღრმე კი იკონოგრაფიული.*

არის ისტორიაში გარკვეული განმეორებადობა, სოლომონ მეფის სიტყვისამებრ, „იქნება ის, რაც იყო“; გარკვეული სწორხაზობრიობაც არის ხოლმე ანალოგიებშიც.

პირველქმნილი ცოდვა, ეშმაკის არსებობა, სამყაროს რღვევისაკენ მისწრაფება, ადამიანის თავისუფალი ნება ზრდის ისტორიაში ცხოვრებისეულ რისკებს; წინააღმდეგობათა მთელი სიმძიმე ინვნია თავის თავზე არა მარტო კაცობრიობამ, არამედ ისტორიაში შემოსულმა, განკაცებულმა ძე ღმერთმა, რომელიც თავისი ენით გამოუთქმელი გამოძსნელობითი საიდუმლოთი ამაღლდა ჯვარზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ისტორიისა მაინც არის წმინდა სამების შესახებ სწავლების გაცხადება კაცობრიობისათვის. კაცობრიობის ყრმობის, მონიფულობისა და სრულ მამაკაცად ყოფნის ეპოქებში, მაცხოვრის განკაცებამდე, მოსეს სწავლების მიხედვით, კაცობრიობა ღმერთს აღიქვამდა ერთ ჰიპოსტასში – „მე ვარ, რომელიც ვარ...“ მე ვარ მყოფი (გამოსვლათა 3, 14).

მაცხოვრის განკაცების ეპოქა ემთხვევა კაცობრიობის მონიფულობის ეპოქას, უცნობი ღმერთის მოლოდინს, როდესაც მაცხოვარი განსწავლის მონაფეებს ძისა და სულიწმინდის შესახებ. უკვე IV ს.-დან, კაცობრიობის სრულ მამაკაცად ყოფნის ეპოქაში, მსოფლიო კრებების ეპოქა სრულყოფს წმინდა სამების შესახებ სწავლებას (რომელიც მაინც ვერ დაიტია სოფელმა).

ქრისტიანობა არ არის მხოლოდ სწავლება ქრისტზე, ქრისტიანობა ცხოვრებაა ქრისტში.



ისტოხიას საწყისი მისცა ღმერთმა, აღწეა ჰიქვეად ანგელოზმა, გადმოსცა ჯაცთა შოხის ყველაზე აღმატებულმა ისტოხიქოსმა - მოსემ, შეასწოხა მაცხოვრის ჯახმა, შეადება და გაამთიანა ჰიხსტიანედმა მოძღვრებამ, იმემჯვიდრევა ჰიხსტიანედმა ექესიამ, ისტოხიუდ სინამდვილედ აქცია (განახოხიქიქედ) მონამეთა და წმინდა მამათა აუხაცხედმა დასმა.

ისტოხიას ჯეხ ჯიღევ ახ ამოუვსია მახიდისობისა და სულის უფსიქელის მაცხანე, ხომლის სიღმეუბი მხოლოდ იმისთვისაა ცნობილი, ვინც თქვა: "ვიდრე აბაჰამის ყოფამდე მე ვაჰ" (იოანე 8, 58).

* – მითოლოგიური და ისტორიული პირების, ან სიუჟეტების გამოსახულებათა სისტემატური აღწერა, სწავლება.



სუთი პოეტური ენების ავტორს, ქალბატონ ლელა მეტრეველს ვახგად იცნობენ პოეზიის ქვეყნის მესვეურნი (სხვათა შორის, ის პიროვნებით ქიმიკოსია, გამოცემული აქვს ქიმიის სახეობის აკადემიური სახელმძღვანელო).

პოეტი ეძებს ლექსის მხავადეუხოვან სამყაროში აღმოსაჩენ "თავის" სიტყვას, ცისა და მიწის, ადამიანისა და ქვეყნის სიყვარულის თანაზიხს. და ფაქიზობს სტიქონებად გაშლილი სული, მახთადი, კვირიანი. ასეთია ლელა მეტრეველის ლექსით ახსნილი სიყვარული.




ლელა მეტრეველი

* * *

აღარ გერქმევა, ალბათ, შენობა,
ჩამონგრეულო ჩემო ქვითკირო,
დავჯდე, ეს ბედი (თუ უბედობა!),
ცხარე ცრემლებით გამოვიტირო?!

თუ თვითონ ვიქცე ქვითკირის ზღუდედ,
გარს შემოგველო, ისე დაგფარო,
რომ გადამირჩეს ეგ ჩიტის ბუდე
და ჩაქსოვილი მასში სამყარო?!



გაზაფხულის გზა

რაჭას

თუ მოგენატრო, ნუ დაღონდები,
ბოლოს და ბოლოს, ხომ მოვალ გაისს,
რიკოთზე ისევ შევეფეთები
კესანეებით მოჩითულ მაისს!

თერჯოლის ახლოს გზად კვლავ გაკრთება
პატარა ბიჭი, მონწულ კალათით,
ნისლის ფთილებში ჩაიკარგება
ნაქერალასთან მწვანე ბალახი.

ჯერ არ ეცლება, ვერას გაიგებს
რიონის ტალღა, ცივი და ურჩი,
დამორცხვებული თვალს მომარიდებს
უკვე ჩამქრალი იელის ბუჩქი.

და ბარაკონის თეთრი გუმბათის
სინათლეს სევდა შეცვლის მაშინვე,
რომ ხიდიკარის სათოფურები
მოყვრად მოსულ მტერს ველარ აშინებს.

ირგვლივ კი მაინც ირიალებენ
მერცხლის ფრთები და ცისკრის ჰანგები
და სხვა გოგონებს ეცმევათ უკვე
ჩემი ბავშვობის ჭრელი კაბები.





სულხან-საბა ორბელიანი

სულხან-საბა ოხბელიანის დიპლომატიური მოღვაწეობა, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები შესწია, მხოლოდ ევროპაში მოგზაურობით აჩის ცნობილი.

მაგჩამ, რომელიც იხვევა, ამ სფეროში მისი უაღრესი მანამდეც ყოფილა საყმაღ ნაქმარებელი: სულხან-საბა ეხპანად ჩასულა იხანსა და ხვახასანში.*

და მინც: მწეხის მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისია უკავშირდება ვიზიტს საფხანგეთში - იმუიხაგოი ლეი XIV-თან და რომში - პაპა კლემენტე XI-თან.

ევროპაში გამგზავნების მთავარი მიზეზი მინც იყო სპახეთის შაჰის მიუი ვახტანგ VI-ის, თავის ქალქში - ქიხანში დაცუეევა. სულხან-საბას იმედი ჰქონდა, რომ ევროპელი მოწახიების ჩახევით ქახთველ მეფეს გაანთავისუფლებდნენ და იხანის შაჰი მას ახე ხეჯლის გამოცვლას მოსთხოვდა.

მამინდელ ქახთველ პოლიტიუი განწყობას მეტ-ნაეებად ნახმოარენს ვახტანგ VI-ის წეხილი საბასადმი:

"ვწეეუმბ თქვენს მშვიდობით მისვლას საფხანგეთსა, სადაც, იმედი მაქვს, ნახოთ ამ ქვეყანაზე დიდი და ყველაზე გულეხვი მეფე, ევროპის საუკეთესო აღყვაეებული მთავრობა".

თვითონ სულხან-საბა კი საქახთველოში ჩამობიძანებულ ფხანგ მისიონერს - იმედი უცხადებს:

"დიდი ხანია, საფხანგეთის სახელმწიფოს ნახვა მინდოდა; უკეთესი შემთხვევა ახე მექნება".

ცნობა იმის შესახებ, ხა გზით ჩააღწია საბამ უონსტანტინოპოლამდე, სამწუხაროდ, ახ ახსებობს; მაგჩამ ის ცნობილია, რომ უონსტანტინოპოლში მას შეეება საფხანგეთის ეღრი - ბეზალეი და მციხე ხნის შემდეგ მახსელით პახიზში გაამგზავნა.

მახსელის ქალქის თავმა - ახნემ საბა "ისეთი პაკივით მიიღო, რომელიც მოითხოვდა ამისი ჩამომავლობა და ლიხება".

1714 წლის 23 იანვარს მახსელში ქახთველი ეხპანის ჩასვლა იმედი დაუყოვნებლივ აცნობა საფხანგეთის საგაეო საქმეთა მინისტრს - კუხისს, ხოლო თვითონ საბამ - რომს.**

– ჩ –

ჩაბალახი – ესე არს თავსაბურავი (ჯაჭვის) საომარი, გინა წვიმაში თავს ჩამოსაცმელი

ჩადალი – თივის ძნეული

ჩალათა – მშვილდისა, შუბისა და მისთანათა, გინა წიგნთა, უსტართა შთასადები (მსოფლიონი ბუდედ უწოდებენ)

ჩალახეში – ჩვილის საგებელი (საფენი)

ჩალიკვა – მარცხენა ხელის მხმარებელი

ჩალხანა – სხვათა ენაა; იგივე კარდალა, მომცრო ქვაბი

ჩანთა – თურქთა ენაა, ქართულად ხილინდარი ჰქვია

ჩანჩალა – ცხენცუდა (ცუდი ცხენი)

ჩანჩხურა – ასხმული მიღინი

ჩარა – კათხასავით სასმისია (ყურიანი)

ჩარბი – არწივთა, შავარდენტა, ქორთა და მისთანათა ნისკარტს ჩარბი ჰქვია, სხვა ფრინველთასა – ნისკარტი

ჩარდახი – მალალთა კედელთა დერეფანი (სახლის ნაწილი)

ჩაფულა – ფეხსაცმელი (მონაზვნის წულა)

ჩაჩი – გრძელი ქუდი

ჩეფიჩი – ვაციკი (წლის თიკანი)

ჩექმა – სხვათა ენაა, ქართულად – მოგვი (ფეხსაცმელი)

ჩიბა – ასაკმცირე ძალღი

ჩიბე – ღორთა და თავგთა სანოღი (ბუნაგი)

ჩიგორგალი – ხამი (გამოუხარშავი, დაუმუშავებული) აბრეშუმი

ჩიკორი – ქვის დიდი გუნდა

ჩილინგარი – ზეინკალი (აბჯრის მკეთებელი)

ჩინჩლი – წვრილი ფეხვები (დაფსავით ხისა და ბალახის ფეხვი)

ჩიორა – სამამლე ქათამი

ჩირთი – ახალი ჩვილი ფურცელი (ფოთოღი)

ჩიჩვირი – სპილოს ხორთუმი

ჩილე – ენამრუდი

ჩოდოღო – მცირე სახლი გლახაკთა

ჩოღოტი – უღონოდ მოსიარულე

ჩრჩნა – ფრინველთაგან ნისკარტით ფხანა

ჩუბინი – კაცი, ისართა, თოფთა მარჯვედ ისროდეს

ჩუბუტო – ხეთა, ქვათა მცირედ ჩახვრეტიღი, ფოსო

ჩუკუნა – მცირე სახლი

ჩულუხი – დიდი საჭრეთელი

ჩუმპე – დაშვებული მუცელი

ჩუსტი – ფეხსაცმელი (ფაფუჭი)

ჩქაფი – წვიმა, ღვარად ჩამონადენი

ჩქერა – მდინარის ჩქარი სიარული

ჩქოღი – ნორჩი ხე

ჩხუნკალი – მცირე კინკლაობა

* – თანამედროვე თურქმენეთის ყოფიღი ნაწიღი. ** – ევროპაში მოგზაურობის სხვა მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ ვისაუბრებთ „ივლეხის“ მომდევნო ნომრებში.



ყასაბი და მყიდველი



ერთი კაცი მივიდა ყასაბთან და უთხრა:
 – ძმაო, ფული არა მაქვს; ერთი ცხვრის ფეშხო* მომეც და ხვალ ფულს გადავიხდი.
 ყასაბმა უთხრა:
 – შენ ასეთი რამ არ გეკადრება, სისხლიანი ხორცი გეპყრას ხელთ. ახლა წადი, ერთის მონის ხელით შენი თმის ბენვი გამომიგზავნე; ვინიშნებ და მერე გამოგიგზავნი ხორცის ნაჭერს. წავიდა კაცი იგი და ერთის მონის ხელით ბენვი გამოუგზავნა. მიუტანა მან კაცმან და უთხრა:
 – მან კაცმან გამოგიგზავნა ნიშნად ბენვი და ხორცი გთხოვა.



ყასაბმან უთხრა:
 – ვაჟო! თვით აქ იყო, წვერიცა და უღვაშიც ზედ ესხა; არამც თუ თმის ბალანი, ერთი გამოსაცოცხლენიც არ მივეც და ახლა ერთის ბალნით ბევრს რად გავუგზავნიო?

მეფე და ვეზირი

იყო ერთი მეფე; ღმერთობას იჩემებდა და ვერც ვერავინ ეუბნებოდა, ღმერთი არა ხარო. ჰყავდა ერთი ჭკვიანი და კარგი ვეზირი. მან მოახსენა:

– შენ თუ ღმერთი ხარ, მე შენი ანგელოზობა მიბოძე! უბოძა მან, ამ ღმერთმა, ვეზირს ანგელოზობა. გამოხდა ხანი. უბრძანა მან, ღმერთმა, ანგელოზს:
 – მოდი, სასწაული ვქმნათ!

მან, ანგელოზმა, უპასუხა:
 – თუ მომისმენ, უცხოსა და კარგ სასწაულს გაქნევიანებ!

დაუჯერა. მერე ვეზირმა დააცლევინა მეფეს სახლი და იგი მთლიანად ნეხვითა და ცხოველთა ფაშვით აავსებინა. კარებიც გამოიხურა. იყო ზაფხულის ჟამი. ასე განვლო ათმა დღემ. მეთერთმეტე დღეც გათენდა. თქვეს:

– ვნახოთ ჩვენი ნაქნარი სასწაული! სახლის კარი გამოაღეს და რა ნახეს: ოთახებს მატლი, ჭია და ფუნდურა** დაჰხვეოდა და ყველაფერი დია*** აყროლებულიყო.

მეფემ ვეზირს მიმართა:
 – ეს როგორი სასწაულია! ვეზირმა მოახსენა:

– შენ რომ ღმერთი ხარ და მე შენი ანგელოზი, ჩვენგან ესეც დიდი სასწაულის ქმნა არის. ჩვენი უფროსობა ასეთია!



* – დაკლული საქონლის ნახევარი. ** – ნეხვის ჭია. *** – ძალიან, მეტად.



პაატა ქურდოვანიძე

იმენი ხამ დანეხილა ქათუე-აფხაზეხი ქთიეითობაზე, ომაძე თუ ომის შემდგომ ისტორიებზე; და მინც: ეს თემა ამოუნეხავია.

პაატა ქედოვანიძე, ხომელსაც კახგად იცნობს "იადენის" მკითხველი (შეხსენებისთვის: ექიმი, ყოფილი პახლამენკახი, მნეხადი და საზოგადო მოღვაწე, გიოხგი შახვაშიძის სახელობის სახელმწიფო პხემიის დეჟეატი), ფაქიზად ეხება და გამომწვიღვით განიხილავს ქათუე-აფხაზეხი ქთიეითობას და მისთვის ჩვეული გუმოდგინებითა და პხოფესიონალიზმით ხელისგულზე გვიღებს სათქმელს; საშუალებას გვაძღვეს, კიდევ ქთხედ თვალი გადავავლოთ ამ ოხი მოძმე ხაღის თანაცხოვრების მაგინანეს და დავთიქედით ჩვენს ნიდ შეცდომებზე.

გვიჩება შთაბეჭდილება, ხომ ავტოხი უშუალოდ აფხაზი მკითხველისთვის პყვება ხაინდელი სელით გაელენთიდ ქათუე-აფხაზეხი ქთიეითობის ამსახვედ ამბებს; ეფხო მეტიც, აფხაზისთვის ხელსაყერი პოზიციიდან დაპახაჟობს (ხაც სხელიდაც ახ აენინებს ქათუეის ლიხსებას). ამ ქთგვახი ხაინდელი ეესკით (თავდაც ქათუედ და აფხაზ თავადიშვილთა

პიხდაპიხი მემკვიდეჟ) პაატა ქედოვანიძე პიხველი უწვის ხელს შესახიგებდაე აფხაზ ხაღს და, ხოგოხც ფსადმენტომოდუხადი, ნაჟიხობს: "ხა კახგია დხო, ხოცა ქთთად ცხოვრობენ ძმები ქთობაში".

"...და გაიხსნება გზა იგი..."

ყველა ომი მოდაპარაკების მაგიდასთან მთავრდება

პაატა ქურდოვანიძე

„ისტორია“ პირადი განცდაა. ამბავი, მომხდარი ათას წელს უკან - თითქო შენი საკუთარი ამბავია და შენი საკუთარი ამბავი, მომხდარი ახლა – თითქო შორეული ამბავია შენი ხალხის...”

გრიგოლ რობაქიძის ეს სიტყვები ქართულ-აფხაზური ურთიერთობის კონტექსტში მოვიზარე: აფხაზეთი „ჩემი“ ამბავია, თითოეული ქართველის, აფხაზის და, როგორც არ უნდა ეცადოს ვინმე, ამ „ამბავს“ – პირად განცდას – შობილს ისტორიად, უხეშად ვერავინ შეეხება, ვერავინ ნაშლის.

ნამდვილად მსურს, თავი ავარიდო პოლიტიკას, შეფასებებს, შეცდომებისა და სწორი გზის, ან მტყუან-მართლის ძიებას და ყველაფერი სწორედ რომ პირად განცდამდე – ისტორიამდე დავიყვანო. და ამ პრიზმაში აშკარად ჩანს, რომ ის ანამყო, რომელიც ორ ერს გვაქვს, ნამდვილად არ არის შობილი წარსულისგან.

„ჭირმა თავი არ დამალაო“, უთქვამს ჩვენს წინაპარს და, აგერ, ჩვენც თვალნათლივ ვხედავთ ჭირს, ავადობას, რომელიც ორ ერს შეგვეყარა. ისტორიის აქსიომურობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ომი მოლაპარაკების მაგიდასთან მთავრდება; და თუ ჩვენ, დღევანდელი თაობა, მერკანტილიზმის, პოლიტიკური კონიუნქტურისა და, თუნდაც, ყველაზე უარყოფითი ემოციის უძლეველობის გამო ამას ვერ შევძლებთ, სამომავლოდ კიდევ უფრო უსუსურნი გამოვჩნდებით მომავალ თაობათა წინაშე.

დიას, მომავალი თაობა პასუხს მოგვთხოვს იმის გამო, რომ პირადი განცდები ვერ ვაქციეთ ისტორიად. არადა, განა ამის მაგალითები საძებარი გვაქვს?

რა ვქნათ? დღევანდელი პრობლემები ვის მივანდოთ? თუ დროის დინებას მივყვით და ჩვენი უმოქმედობის გასამართლებლად კვლავ სხვადასხვა მიზეზი მოვიშველიოთ? განა ასეთმა ტენდენციამ არ შვა ხალხში უიმედობა, ხოლო მმართველ ნომენკლატურაში – კონფორმისტული განწყობილება?! განა სწორედ დღევანდელმა ქართველებმა არ უნდა შევიმუშაოთ ისეთი კონცეფცია, მომავალი თაობებისათვის ეროვნული სახელმწიფოს აღორძინების მყარი საძირკველი რომ გახდებოდა?!

მესამე ერის ენაზე საუბრით

200 წლის წინანდელი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური გამოცდილება დღევანდელობას არას შველის; ისტორიული რეალობა დღევანდელობას უნდა შეეუსაბამოთ და სახელმწიფოს ისეთი მოდელი შეექმნათ, როგორშიც იცხოვრებდნენ (და მჯერა, იცხოვრებენ კიდევ) ეროვნული თვითშეგნების, ნაციონალური ღირსების მქონენი – ქართველები, აფხაზები, სხვა ერები.




აფხაზი მეცნიერი შალვა ინალ-იფა წერდა: „სპეციალისტებმაც და არასპეციალისტებმაც უნდა ვილაპარაკოთ, ვიდავოთ აფხაზეთის ისტორიის, აფხაზების ეთნოგენეზის, აფხაზეთის ტერიტორიაზე კულტურულ-ისტორიული ცხოვრების საკითხებზე... ეს მშვიდ გარემოში უნდა მოხდეს... არა ქუჩაში, არა კრებებსა და მიტინგებზე; ასეთი პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ კომპეტენტურ სწავლულებს ხელენიფებათ“.

სავალალოდ, ნანატრი „მშვიდი გარემოს“ ნაცვლად ენით აუნერელი ტრაგედიის მონმე-მონანლიენი და მსხვერპლნი გავხდით. ქართველმა და აფხაზმა პოლიტიკოსებმა საქმე კატასტროფამდე მიიყვანეს... დღეს კი, როცა ჩვენი ურთიერთობის წერვი ასე შიშველია, ძნელია გულდინჯობა და ძმობა-ნათესაობის მრავალსუკუნოვან ტრადიციებზე საუბარი.



და მაინც – აუცილებელია დიალოგი, რათა ისეთ უფსკრულში არ გადავიჩნხოთ, საიდანაც ამოსვლა ძალზე გაგვიჭირდება (თუ საერთოდ შევიძლებით!).

„მე კატეგორიულად ვგმობ იმ თეორიას, რომ აფხაზი ქართველისათვის იგივეა, რაც კახელი, იმერელი, გურული... დროა, შევიგნოთ, რომ კახელები, გურულები, მეგრელები, სვანები, იმერლები – ქართველები არიან, ქართველი ერია, ხოლო აფხაზები – აფხაზი ერი და ეს არასოდეს არ გვიშლიდა ხელს, გვემეგობრა და გვემოყვრა, – წერს ლორიკ მარშანია „აფხაზეთის ტრაგედიაში“ და დასძენს, – არის რეალური სიტუაცია, დღევანდელია და აფხაზთა უდიდესი უმრავლესობის ეროვნული მრწამსი და ჩვენც – ქართველობამ – ამას თვალი უნდა გავუსწოროთ.“



თუ დღეს აფხაზი ხალხის ნაწილი ქართველობას მტრად მიიჩნევს, ესეც რუსული ბოლშევიზმის „დამსახურებაა“. ბოლშევიკებმა პირველივე დღეებიდან იწყეს ამოძიკვა იმ ძირებისა, საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთთან რომ გვაკავშირებდა. ერის სულიერ წინამძღოლთა – სამღვდელოების, თავადაზნაურობის, ღირსეული მამულიშვილების მასობრივმა უღელტაპ თანდათან დაგვაშორა ერთმანეთს. თვინიერ სულიერი წინამძღოლობისა მოგვიჩლუნგდა ეროვნული სიფხიზლე, „მღვიძარება სულისა“, დაგვარგეთ სახელმწიფოებრიობის შეგნება.

თავიდათავი უბედურებისა ის იყო, რომ ქართველ-აფხაზნი ერთმანეთს მესამე ერის ენაზე ვესაუბრებოდით. რუსული იმპერია დღენიდაგ იმას ლამობდა, ერთურთს გადავიკიდებოდით. შუამავალი ენით ურთიერთობათა გარკვევა დღითიდღე ძნელდებოდა...

ღრმად მწამს, დღეს რომ გვყოლოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, კირიონ-კათალიკოსის, ამბროსი ხელაიას, ალექსანდრე ოქროპირიძის, გიორგი მიხეილის ძისა და გიორგი დიმიტრის ძის, ივანე და ალექსანდრე შარვაშიძეების, ასთამურ ინალ-იფას, მუშნი დადიანის, ვარლამ და პეტრე ანჩაბაძეების, გიორგი ჩიჩუას, არზაყან და მელიტონ ემუხვარების, გვანჯი ჩიქოვანის სადარი პირები, აფხაზური ტრაგედია არ დატრიალდებოდა.

შარვაშიძეები - ბედისწერის გზით

ისტორიული ქართული სახელმწიფოს დაშლა-დანანერების შემდეგ ქვეყანა ფეოდალურმა შინააშლილობამ, ნგრევამ და ანარქიამ მოიცვა; სახელმწიფოებრიობის იდეას, რომელსაც დავით აღმაშენებელმა – „მეფემ აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომხთა“ – დაადგა გვირგვინი, მუშლი შეესია.

ერთიანობის იდეა იმდენად ძლიერი იყო, რომ აფხაზი თავადაზნაურობის უდიდესი უმრავლესობისა და სრულიად აფხაზთა მრწამსის წყალობით, აფხაზეთი ქართული ორიენტაციის ფეოდალურ სამთავროდ დარჩა. აქ მნიშვნელოვანი იყო სამეგრელოს როლიც – გეოგრაფიული მდებარეობა, ეთნოგრაფიული სიახლოვე, მათ შორის ნათესაობა და მორღუობა.

ბუნებრივია, პოლიტიკური სიტუაციების კვალად, სამთავრობათაშორისი ურთიერთობანი იცვლებოდა (აფხაზი თუ ქართველი – გლეხიც და მეომარიც – შეტაკებიან ხოლმე ერთურთს), მაგრამ ძმობა-ნათესაობის შეგნება არასოდეს შებღალულა.

დღესაც სიამაყით ვისხენებთ აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს – მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძეს, რომლის მამულიშვილობასა და პატრიოტიზმზე ბევრი დაწერილა. აქ მინდა, მოვიყვანო ერთი ამონარიდი, მისი ნათესავის – 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მოთავის – მუშნი დადიანის მოგონებებიდან:

„დალესტნის დაცემის შემდეგ მთელი რუსი ჯარის ძალა და ყურადღება მიქცეულ იქნა დასავლეთის კავკასიაზე. წინათაც ხშირად და, მით უფრო, უკანასკნელად რუსის მთავრობამ მიმართა წინადადებით აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს, ჰამუთ-ბეი შარვაშიძეს, რომ მას, როგორც გავლენიან პირს, მიეღო მონაწილეობა მეზობელი ხალხების დამორჩილებაში; ამისთვის შეჰპირდნენ ჯარების უფროსობასა და დიდ ჯილდოს, მაგრამ ვერავითარმა დაპირებამ და ჯილდომ ვერ გასჭრა და აფხაზეთის მთავარმა არ გაისვარა მათ სისხლში ხელი. ისტორია ჯეროვნად დააფასებს ამ დიდებულ ადამიანს, რომელმაც თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებას, მათ ტყვეობას თვითონ ტყვეობა არჩია, დაკარგა ტახტი და ბოლოს, როგორც დამნაშავე, ვორონეჟში გადაასახლეს და იქ აღმოხდა სული! მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაენერება აფხაზეთის „სულის ამოძრობის“ ხანის ისტორიაში“.

ჰამუთ-ბეის უფროსი ვაჟიც – გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე – ასეთივე ღირსეული მემკვიდრეა შარვაშიძეთა გვარისა. მას ცხოვრების მიმწუნს-ლა დაერთო ნება (რუსეთის იმპერატორისაგან), დასახლებულიყო აფხაზეთში. მანამდე კი ხშირად მოგზაურობდა სამშობლო მხარეში.

მთავრის შვილი „აღსარების მიცემასავით ემზადებოდა წინასწარ, შეიკერავდა ახალ ჩოხას და ყოველ ზაფხულს მოივლიდა მშობლიური მიწის ყველა კუთხე-კუნჭულს“ (ამონარიდი მეგობრის წერილიდან).



გაგრა: ძველი სასტუმრო



ქართველი საზოგადოება სიამაყით გამოარჩევდა გიორგი შარვაშიძეს, როგორც ქედუხრელ კაცს, არისტოკრატს, ოდნავადაც რომ არ დაიმცირა ღირსება თავისი ერის მჩაგვრელი და თავის ხალხზე გაბატონებული დამპყრობლის წინაშე.

აი, როგორ ახასიათებდა გრიგოლ რობაქიძე მთავრის შვილს: **„მრავალი ენის მცოდნე, გამორჩეული სიამაყითა და შინაგანი ღირსებით ისეთ აფხაზურს გადმოაფრქვევდა ბავთაგან, რომ მსმენელნი ენის ასეთი ცოდნით აღფრთოვანებულნი რჩებოდნენ“.**

მართლაც, მშობლიურ აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებულ კაცს თუ შეეძლო შეექმნა ისეთი შედეგრი, როგორიცაა აფხაზურ მოტივებზე შექმნილი ქართული ლექსი „ვარადა“.

“სოხუმის ოკრუგი” - იმპერიული იდეა

გიორგი შარვაშიძე მარტო არ იყო; მასთან ერთად აფხაზ მოღვაწეთა მთელი კოჰორტა იღვწოდა მშობელი ერისა და მომავლისათვის: ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის – ერეკლე მეფის შთამომავალი, რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდი გავლენის მქონე – გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე, რომლის მეგობრობა ქართველ მოღვაწეებთან ძმობის ტოლფასი იყო; სოხუმელი ძმები, აფხაზეთში ილია ჭავჭავაძის სტუმრობისას მისი მასპინძლები – ალექსანდრე, ივანე და კონსტანტინე გრიგოლის ძე შარვაშიძეები, მელიტონ ემუხვარი, ასთამურ ინალ-იფა, სამურზაყანოელთა თავკაცი – პეტრე ანჩაბაძე და აფხაზთა სხვა მრავალი ღირსეული შვილი.

მათ, 1916 წელს, საქართველოს მთავარმართებელს ულტიმატუმი წარუდგინეს:

„დარწმუნებულნი ვართ, რომ ისტორიული გარემოებებით შეკავშირებულნი მოძმე ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ, შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურება და საკუთარი ადმინისტრაციული მმართველობა. ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველებთან გვიხსნის მრავალნაირი განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთან“.

სწორედ მაშინ იდგა აფხაზეთის სამხრეთ-ზღვისპირა რაიონების რუსეთთან მიერთების საკითხი. აფხაზი ხალხის წინამძღოლთა მტკიცე წინააღმდეგობამ იმპერიას ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1917 წელს, გიორგი შარვაშიძემ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას საეტაპო სიტყვა უძღვნა – „ბრწყინვალე მზეს ერის განთავისუფლებისა, გამოცოცხლებისა“.

როგორც კი საქართველომ სცადა სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთისაგან გამოყოფა, გართულებული მდგომარეობის კიდევ უფრო გასართულებლად რუსმა ბოლშევიკებმა „სოხუმის ოკრუგის“ (ასე მონათლა რუსეთმა აფხაზეთი) ჩრდილო კავკასიასთან მიერთების იდეა წამოაყენეს. უფრო ზუსტად, ძველისძველი იმპერიული იდეა გააცოცხლეს!

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იგონებს: ფრიად პატივცემული პიროვნება, 80 წელს მიღწეული ალექსანდრე შარვაშიძე, თავის თანამოაზრეებთან ერთად მივიდა სახალხო გვარდიის შტაბის უფროსთან, ვალიკო ჯუღელთან და მას ბოლშევიკებთან ბრძოლაში თანადგომა შესთავაზა; მაგრამ მისი წინადადება არ მიიღეს – მენშევიკური მთავრობის სარდალმა იუკადრისა აფხაზი თავადის დახმარება. სოციალ-დემოკრატები ბოლომდე არ ენდობოდნენ ერის ყოფილ მეთაურებს; მათთვის თავადი – აფხაზი თუ ქართველი – „კლასობრივი მტერი“ იყო.

ალექსანდრე შარვაშიძესთან ერთად აფხაზეთის თავადაზნაურთა საუკეთესო ნაწილსაც გულით სურდა, ბოლშევიკური სისასტიკისგან ეხსნა მშობლიური მიწა. გაღებულნი მსხვერპლის მიუხედავად, 1918 წლის მაის-ივლისში მაინც მოხერხდა რუსული ბოლშევიკური აგრესიისაგან აფხაზეთის დაცვა და ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება (რა თქმა უნდა, დროებით). გამორჩეული იყო აფხაზი კაცის – თავისი ქვეყნის პატრიოტის, არზაყან ემუხვარისა და მის თანამოაზრეთა ღვაწლი.

1939 წლის მარტის ცივ დღეს, პარიზის ერთ-ერთ სასაფლაოზე არზაყან ემუხვარის ცხედარს ასეთი სიტყვებით გამოეთხოვა მისი მეგობარი – კონსტანტინე კანდელაკი: **„მთლიანად და უნაკლოდ შენ იყავი განსახიერება იმ ერთი არსების, რომელსაც თავისუფალი, გაერთიანებული საქართველო გამოხატავდა, იყავი აფხაზეთის დიდი მამულიშვილი და საქართველოს უსაზღვრო პატრიოტი!..“**

სოხუმის საზღვაო პორტი



მინარის სხვადასხვა ნაპირზე

მრავალი ისტორიული ფაქტის გახსენება შეიძლება აფხაზ-ქართველთა ურთიერთობის ისტორიიდან (ძიძიშვილობა-მორდუობა, ნათესაობა-მოყვრობა). დღეს ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რომ დიდი აფხაზი მამულიშვილის – პეტრე ანჩაბაძის სულიერი მეგობარი და სიძე იყო სვანეთის უკანასკნელი მთავრის მურზაყან დადუშქელიანის ვაჟი – კონსტანტინე.

ერთხელ ორივეს ერთად მოუნახულებია სამურზაყანოელი თავადის – შერემ-ბეი შარვაშიძის მრავალშვილიანი ოჯახი. შუა ქეიფისას გაჭირვებულმა მასპინძლის უმრწემესი



ვაჟი და ტირილით აუკლია სახლი. შექეფიანებულმა ამაცმა სვანმა დანანებით ჩაილაპარაკა თურმე: „რა იქნებოდა, უფალს ჩემთვისაც ერთი ვაჟიშვილი ეჩუქებინა!“ წამს აინკიპა შერემ-ბეი შარვაშიძე და დეეკაც სტუმარს თავისი ნაბოლარა აკვნიანად ჩაუსვა კალთაში. პატარა კონსტანტინე ღირსეულ მამულიშვილად გაზარდეს. შერემ-ბეის კი ის პატივი მიაგეს, რომ დადემქელიანების ოჯახში გაზრდილი ვაჟი შარვაშიძეთა გვარის მატარებელი დარჩა.



აი, ასეთი ისტორიული ტრადიციის მქონე ხალხს გვჭირს ის, რასაც ეროვნული ტრადიცია ჰქვია – ერთნაირად მიუღებელი, როგორც ქართველი, ისე აფხაზი ერისთვის.

რუსეთის იმპერია იმთავითვე ცდილობდა, აფხაზეთი ექცია რუსული არისტოკრატისათვის ახალ რივიერად შავიზღვისპირეთში. გაგრის მამულები ოლდენბურგებს ამიტომაც გადაეცათ. მანამდე კი, აფხაზ ხალხს მუჰაჯირობა გადაატანინეს. აფხაზეთის არისტოკრატამ შეძლო, აფხაზეთი საქართველოს არ ჩამოსცილებოდა.

ასე მოვედით ბოლშევიკების გამარჯვებამდე, მათ მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებაამდე...

აფრიალდა თუ არა წითელი დროშა საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლება, უპირველესად, აფხაზ ხალხს, არისტოკრატისა, სამღვდელთა და, საერთოდ, მოაზროვნე საზოგადოებას დაუპირისპირდა. მაშინ, როცა კახეთში ჭავჭავაძეებს, ჩოლოყაშვილებს, ვაჩნაძეებს ხდიდნენ სულს, აფხაზეთში კი შარვაშიძეებს, ემუხვარებს, მარღანიებს, ჩქოტუებს უსწორდებოდნენ, სამეგრელოში დადიანებისთვის, ჩიქოვანებისთვის, ფალავებისთვის, დგებუაძეებისთვის გამოჰქონდათ განაჩენი... ქართველ ბოლშევიკებს პატრიოტ აფხაზებს ახვერტინებდნენ, ხოლო აფხაზი ბოლშევიკები ქართველ მამულიშვილებს არ ინდობდნენ.

1950-იანი წლების მიწურულიდან აქტიურად ამუშავდა აფხაზ-ქართველთა შორის შუღლის გაღვივების საბჭოთა სახელმწიფო მანქანა. დადგა მედროვეთა ხანა. აფხაზმა ახალგაზრდობამ ქართული არ იცოდა და არც სურდა, ესწავლა. ჩვენ კი ჩვენზე ბედოვლათობით ამას ყურადღება არ მივაქციეთ; აფხაზურის სწავლა გონებაშიც არ გაგვივლია და თავისუფლების ისტორიული შანსის მიღებისთანავე მდინარის სხვადასხვა ნაპირზე აღმოვჩნდით...

რას ვაპირებთ?!

დღევანდელი აფხაზი ხალხის წინამძღოლები პრორუსულად აღზრდილი ხალხია. ისინი, როგორც სწამთ და რასაც სიმართლედ მიიჩნევენ, იმას აკეთებენ. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი ერის არსებობა არცთუ საიმედოა, უკან არ იხევენ და მოურიდებლად აცხადებენ, ჩვენ ქართველთაგან თავისუფალი ტერიტორია გვჭირდებაო. აფხაზი ინტელიგენცია ან დუმს, ან გადახვეწილია.

დღეს აფხაზი ხალხის ბედი სავალალოა – მისი გენოფონდი განადგურების პირასაა და, თუ ასე გაგრძელდა, მომავალში კიდევ უფრო სავალალო სიტუაცია შეიქმნება. თუ ვინმეს შესტკივა მათზე გული, უპირველესნი ჩვენა ვართ. დღეს აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა ინფორმაციულ ვაკუუმშია, მმართველი ელიტა და რუსეთის საინფორმაციო საშუალებები რეალობას ისე ამრუდებენ, თითქოსდა ქართველები გამალებით ხმაღს ვლესავდეთ. „საქართველოზე გამარჯვება“ მათთვის ეროვნული დღესასწაულია. და ამ ზეიმში მონაწილეები საერთოდ არ ფიქრობენ „პირად განცდაზე“ – ისტორიაზე, რომელიც აგერ, ჩვენს თვალწინ დევს.

სხვა რომ არაფერი, ვერანაირი პოლიტიკა, შეხედულება ადამიანებს სიყვარულსა და ერთგულებას ვერ აუკრძალავს. აბა, გაიხსენეთ, იმ საშინელი დაპირისპირებისას რამდენმა აფხაზურმა ოჯახმა იხსნა ქართველები, და პირიქით... იმ გაუცხოების წლებში რამდენი ქართულ-აფხაზური ოჯახი შეიქმნა სიყვარულით?!

ახლა ხას ვმხეებით, ხას ვაპირებთ? ხოგოი უნდა ვიცხოვროთ მომავალში?!

მჯეხა, დანამდვილებით მჯეხა იმისა, ხომ აფხაზები და ქართველები საკუთარ გონებასა და გულში გაატახებენ ყოველ წამსა და წუთს ჩვენი წახსენისა, ჰიხად განცდამდე დაიყვანენ ამ დიდებულ ემოციას და სწოხად შეაფასებენ ისტოხიას, ხომლის გაგხქებდაც ვეხა და ვეხ იქნება ის ხეალობა, ხომელიც ამჟამად გვაქვს.

და, აი, მაშინ გაიხსნება ჩახეხილი შახა, ხომელზეც კონსტანტინე გამსახეხიას "მთვახის მოტაცების", ეო ქიჩელის "ჰაჟი აბბას", ნიჟო ეოხოქიქვანიძის "ხაინებებისა" და სხვათა გმიხები მიმოდიან; გზა, წინ ბიბლიეხი მოსეს დახი აჟაჟი წეხეთის ჰაჟი-ესებ ხომ მიუძღვება...





იონა მეუნარგია

XIX ს.ის ცნობილი ჟიტიკოსი, მწეხალი და ჰუბლიცისტი იონა მეუნარგია დაიბადა ზუგდიდის ხაიონის სოფელ ცაიშში. სწავლობდა ქუთაისისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში. 1874 წელს ის გაემგზავრა ეფხოპიაში; მოგვიანებით ვენეციის უნივერსიტეტის სტუდენტი ცოდნის გასაღრმავებლად გადავიდა პარიზში, სადაც დაუახლოვდა ფრანგული მწეხლობის კლასიკოსს - ვიქტორ ჰიუგოს.

იონა მეუნარგიამ პიხველმა დაამყვიდია ქართული ლიტერატურაში ბიოგრაფიული ფანხი; ასე შეიქმნა მისი მოგონებები და ნახევრები გიგოლდ ოხბელიანის, ნიკოლოზ ბახათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წეხეთისა და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მას სამატილიანად ეძახდნენ "ქართული ლიტერატურის პეტეჩაქეს", თვითონ კი საკუთარ თავს ქართული ლიტერატურის "მწეხილმანესა და ფაქტების მომქეჩებელს" ეწოდებდა.

ამჯეხად ვბეჭდავთ ფეხამენეს მისი წეხილიდან - "სამახსოვრო ფეხელები აკაკის შესახებ", ხომელიც დაინეხა დიდი მწეხლის 50 წლის საიუბილეოდ, 1890 წელს. პუბლიკაციაში საყუხადლეობა კითხი მონაყვეთი - ასე ვთქვათ, ბლიც-ინტეხვიუ სახელოვან მგოსანთან. საინტეხესოა, თითქმის 130 წლის წინათ იონა მეუნარგიას მიუი გაახეხებული 22 შეიუთხვა და ბეხად მნიშვნელოვანი ხესპოდენტის პასუხებით შექმნილი მისივე პიხტეხეტი.

ეხისა და პიხოვნების თავისუფლებისათვის მებეხოდეს ახედა ოცნება - იონა მეუნარგია მოესწეხო საქათველოს დამოუკიდებლობის აღდგენას; თუმცა, მადევე, 1919 წლის 15 მაისს, ხანმოყლე ვადემყოფობის შემდეგ გახდიაცივდა. დაეხადეს მშობლიუი ცაიშის ეელეხიის ეხოში, წინაპახითა საგვახეულო საძვალეში.

სამახსოვრო ფურელოები აკაკის შესახებ*

იონა მეუნარგია

აკაკის რა არ უწერიო ამ ნახევარ საუკუნეში: მოთხრობები, ფელეტონები, დრამატული და კრიტიკული ეტიუდები, მაგრამ, როცა სულ ყველა ესენი ჩაიძირება დროების მორევეში, მისი ლექსები და მოსწრებული სიტყვები ამოტივტივდებიან და იცოცხლებენ სამუდამოდ. სამუდამოდ არა არის რა ამ ქვეყანაზე, მაგრამ, სანამ ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა ცოცხალი იქნება, აკაკის მახვილი სიტყვაც დავინყებული არ იქნება. აკაკის ლექსი დარჩება სკოლაში, ქრესტომატიოში.

...იმას იგივე შარავანდედი ამშვენებს ჩვენს ქვეყანაში, რა შარავანდედიც გარს ეხვია საფრანგეთში მასავით მოხუც ვიქტორ ჰიუგოს.

...ილია ჭავჭავაძის ლექსი ნაჭედიო; ნაჭედიო, აგრეთვე, ლექსები გრიგოლ ორბელიანისა, ვახტანგ ორბელიანისა, ნიკო ბარათაშვილისა, რაფიელ ერისთავისა. მსუბუქია, ნარნარია, პეპელაო, ფურჩქენილი ვარდია, ნაზი იოო ლექსი აკაკისა. ილიას, ორბელიანს, ბარათაშვილს, ერისთავს შეგიოდები ცოტა ჰყვანან, აკაკის სკოლა კი მთელი ჩვენი თანამედროვე მწერლობაო.

...ახლა, თუ გინდათ, იცოდეთ აკაკის ხასიათის თვისება, მისი აზრი ჩვენს მწერლობაზე, ხელოვნებაზე, მოისმინეთ ეს პასუხები, რომელიც აკაკიმ მოანერა ჩემგან მისდამი მიმართულ კითხვებზე.



მარჯვნიდან (სხედან): ვარლამ რუხაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, იონა მეუნარგია, იო ეკალაძე, იასონ ნიკოლეიშვილი; (დგანან): შიო არავისპირელი, ისიდორე კვიციარიძე

მე ვკითხე აკაკის; იმან მიპასუხა:

- რომელი თვისება უფრო მოგწონს კაცისა?
- მამაცური სულგრძელობა.
- რომელი თვისება მოგწონს ქალისა?
- გულწრფელი დაუდგრომლობა.
- რას უფრო გინდა, აკეთებდე?
- მისთანა საქმეს, რომელიც თავაშეებულს ჰლაგმავდეს და გულგატეხილს ამხნევებდეს.
- რითი განსხვავდება შენი ხასიათი?
- საფუძვლიანში სიმტკიცით და წვრილმანში უხასიათობით.
- რომელია ყველაზე დიდი ბედნიერება?
- გარემოების ატანა.
- რომელია ყველაზე დიდი უბედურება?



- გულუმაძღრობა.
- რა ფერი უფრო გიყვარს?
- დროზე მოხდენილი.
- რა ყვავილი?
- ვარდი.
- შენ რომ აკაკი არ იყო, ვინ გინდოდა, ყოფილიყავი?
- მაინც აკაკი.
- სად უფრო გინდა, ცხოვრობდე?
- ყველგან და არსად.
- რომელი მწერლის პროზა უფრო მოგწონს?
- არდაზიანის.
- რომლის პოეზია?
- გურამიშვილის.
- ვინ უფრო მოგწონს კაცთაგან ისტორიაში?
- გიორგი ბრწყინვალე.
- „ვეფხისტყაოსანში“ ვინ გირჩევნია კაცთაგან?
- ავთანდილი.
- ქალთაგან ვინ მოგწონს „ვეფხისტყაოსანში“?
- ნესტან-დარეჯანი.
- რა სახელები უფრო გიყვარს?
- ელენე და არჩილი.
- რა უფრო გძულს ქვეყანაზე?
- წვრილმანობა.
- რა შეცდომას უფრო აპატიებ კაცს?
- ყოველგვარს, თუკი შეინანიებს.
- ვინ არის ყველაზე ლამაზი ქალი ქუთაისში?
- ის, რომელიც მე შემეყვარდება.
- შენი ცხოვრების დევიზი რა არის?
- შრომა და მოთმინება.
- რომელი ადგილი უფრო მოგწონს „ვეფხისტყაოსნისა“?
- ჩვენი კრიტიკოსებისგან დანუნებული.



აკაკი წერეთელი

თანამედროვე კაცი ხან სწამს და ხან არა აკაკის. ჩემს ალბომში კითხვებზე, რომელი მწერლის პროზა უფრო მოგწონს, რომლის პოეზია, პასუხად ჯერ დასწერა: „გოგოლის“ და „შექსპირის“; მაგრამ მერე წაშალა და ზედ დაანერა, აბა, გამოიცანით, ვინ?! თქვენ გგონიათ, ილია ჭავჭავაძე, ყაზბეგი, გიორგი წერეთელი, გოგებაშვილი, ორბელიანი, ბარათაშვილი და სხვა ვინმე ახალთაგანი; არა! პროზა აირჩია არდაზიანისა და პოეზია – გურამიშვილისა.

ამ წუთისოფელში ყველას აქვს სახლი, კარი, ოჯახი; აკაკი კი, რაც თავი მახსოვს, სულ მუდამ მარტოხელა კაცად, ობლად გამომწყვდეულია სასტუმროს ნომრებში – თბილისსა და ქუთაისში და თავის ჩემოდანს დაჰყურებს ზემოდან, თითქოს საუკუნო სამგზავროდ გამზადებული.

თვითონ მითხრა ერთხელ:
- საკვირველი კაცი ვარ: ცოლი მყავს – არა მყავს, შვილი მყავს – არა მყავს, პენსია მაქვს – არა მაქვს!

აკაკის გამოუცხადა ექიმმა თოფურიამ, „Расширение сердца“ გაქვსო.

- Я-бы желал, что-бы было расштрение кармана! – უპასუხნია პოეტს.

თუ გინდათ, აკაკის ბიოგრაფია იცოდეთ, წაიკითხეთ ბაირონისა და შელის ბიოგრაფიები.



პარასკევა ანჯაფარიძე, აკაკი წერეთელი, იონა მეუნარგია. 1909 წლის 25 აპრილი. ფოთი



რუსკა შორშოლიანი

ამ სამოედ წლის წინათ ვეხნად "ილქანმა", ქათუე მედია-სივჩეში ჰივქედმა, საზოგადოებას ნახედგინა ხუსკა ვოხჟოლიანი, იტალიაში მოღვაწე ახალგაზრდა, ნიჭიერი მწეხალი აფხაზეთიდან. მისი ჰომანი "შენი აქ ყოფნა, ჰოგოჩე ქაქაქი" ევე იყო გამოცემული იტალიეი ენაზე (გამომცემლობა "Corrimano"-ს მიეხ).

იტალიაში დაიბეჭდა ვიყელი ხეცენიები. ამ ფაქტს ადგილობრივმა ტელევიზიებმაც თავიანთი საეთეო დო დათუმეს. მაშინ ხუსკა ვოხჟოლიანს საქათველოში ვეი ახ იცნობდენ.

ამ ცოტა წნის წინათ ქათუედმა ჰეხამ, სხვადასხვა გამოცემლობამ თუ ტელესააგენტომ აქტიუხად გააშუქა ხუსკა ვოხჟოლიანის ნახმატების ისტორია, ანუ, ჰოგოჩე გახდა ქათველი ევენილი გოგონა იტალიელი მწეხალი.

ხუსკა ქათუედ თავისუფედ დაჰაჩაგობს, მაგჰამ აზოვუნებს იტალიუხად! - ეს ახე თუ სასიამოვნო მოსასმენია; ესეც ხომ ომის დალია, მოცემელობაა, ომის შედეგითი მძიმე.

"ზოგჯეი ახის ხოღმე ლამეები, გამომელოძება და ვხედები, ჰომ ქათუედ ვნახე სიზმაში.

ჰოდესაც ამ ჩემს ჰივქედ ჰომანს ვნეხი იტალიუხად, ისეთი შეგძნება მქონდა, ჰომ ხალაცისთვის ვემზადებოდი, ჰომ ეს უფო დიდი ხალაცის წინაჰიობა იყო; აღბათ, იმიტომ, ჰომ ჩემი ცხოვრების მთავაი ჰომანი ოდესმე ქათუედ დავნეხო", - ამბობს ხუსკა ვოხჟოლიანი.

მინიატეები, ჰომელიც ხუსკამ თბილისში ყოფნის დომს დაგვიტოვა, მომავალი იტალიეი წიგნის წანილია. აფხაზეთი იმდენად მტეივნიელი თემაა, ჰომ ეს ჩემთვის სახვადილო სათქმელია, თვის მწეხალი. ახადა, ამ მინიატეებში, ჰოსტმოდენისტეი აზოვუნების განუსაზღვრედ სივჩეში სიმბოლეხად იეთხება ჰედეი და ახაქედეი ჰეხსონაეების სეიეი ჰოხეხეები, ომით ფეიშევილი, ცნობიეებითი გადალილი, უფხაზეთობითი ნალვინი.

"მე ვაი ქათველი მწეხალი, ჰომელიც შემთხვევითობის გამო იტალიუხად წეხს", - ხუსკა ვოხჟოლიანი ამით თავს ახ იმათლებს. ეს მისი ჰეხსონაეებითი სევიანი ჰედეობის კონსტატაციაა.

ხუსკა ვოხჟოლიანის წანაჰმობებს ამეხადაც თან ახლავს მისი დის, ჰედეომს სამხატვო აკადემიის ფეხნეის ფაქტეის ეხსდამთავრების - ქეთი ვოხჟოლიანის საინტეხესოდ გაზხეული გჰაფეიელი ნამეშეხეები.

წანყვეტები ავტობიოგრაფიიდან, რომელსაც არასოდეს დავწერ

რუსკა შორშოლიანი

იტალიურიდან თარგმნა დარეჟან კიკოლიაშვილმა

საკვირველი ყაბარდოელი ბედეხეები

ჩვენს მხარეში საგმირო ამბავთა თხრობა ჰგავდა იმ ნაფოტს, რომელსაც ჩვენი სამეშაო მაგიდის ფეხს შეუყენებდენ ხოღმე, რომ არ ეყანყალა. დაზგაზე კი ელაგა იაფფასიანი ხელსაწყოები, რომელთაც ყველა თან დაათრევედა, როგორც დაუსრულებელ და მომქანცველ ზამთრებს. და ჩემს ბავშვურ ფანტაზიაში სხვაზე ადრე ჩასახლებული არსებები იყვნენ ცხენები, მშიერნი და დავრდომილნი, მაგრამ მაინც ცხენები... ვხედავდი ხოღმე, ყოველ დილით როგორ მოახტებოდა თავის ქურანს ჩვენი მეზობელი ჩიკო. შალის უხემ ქუდს შეისწორებდა, ერთს დასჭყვივლებდა და მთებს იქით იკარგებოდა თქარუნით.

ერთ არსებად იქცეოდნენ ხოღმე ცხენი და სადავეებს ჩაფრენილი ჩიკო. მათ შეეძლოთ, კაცზე უწინ ბუნების მიერ დადგენილი კანონის საზღვრებს გასცდენოდნენ, ექროლათ და სხვა ჰაერის, ადამიანის თვალისგან დაფარული სულ სხვა სამყაროს სუნი აეკვრათ. ოციოდე კილომეტრი უნდა გაველო ცხენით, მერე ჩამომხტარიყო და ფეხით შესდგომოდა აღმართს, თორემ, შეიძლებოდა, ცხენი უფსკრულში გადაჩეხილიყო. მერე ტბამდე უნდა მიეღწია, გაზაფხულზე – მწვანე, ზაფხულში კი ცისფერ ტბამდე, რომელზეც ვერავინ გეტყოდათ, რა ფერისა იყო შემოდგომაზე ან ზამთარში – ვერავის გაებედა წელიწადის ამ დროს იქამდე მისვლა. ბოლოს კი მთა უნდა დაენახა, სადათას ძილში ჩაძირული გველეშაპის კუდივით განვრილებული. და შორს კიდევ, სხვათა, უცნობთა, სხვა ღვთაებათა შვილების – ყაბარდოელთა სახლებიც დაელანდა...



ყაბარდოელი ჩემს დღეში არ მინახავს და ჰაპაჩემს რომ ვეკითხებოდი, მართლა არსებობდნენ თუ არა, ან როგორნი იყვნენ, მხრებს იჩეჩავდა: „ჩვენსავით საზღვრისპირა ხალხია, მე მგონი“.

ჰაპაჩემი, ისევე, როგორც ჰაპამისი, არასდროს მოსწრებია, რომ ყაბარდოელები შემოგვესოდნენ; მაგრამ სულ იმას ამბობდა, შეიძლება,



ერთ დღეს ასეც მოხდესო; შეიძლება, ერთ დღეს მთის გველეშაპმა გაიღვიძოს, ტბა ამოხაპოს და ჩვენსაზე ათასჯერ უფრო ღონიერ და სწრაფ, ყაბარდოულ საარაკო ცხენებზე ამხედრებულ სხვა ღმერთთა შვილებს გზა გაუკვალოს ჩვენი მიწისკენო. მუდამ მზად უნდა ვყოფილიყავით.

ამიტომ იყო, რომ დიდი გატაცებით, შიშნარევი მოკრძალებითა და მტკიცედ აშენებდნენ და აშენებდნენ ქვის კოშკებს – ყაბარდოელი იქნებოდა თუ სხვა ვინმე; არავის ისე არ უნდა გაეგლო ამ მიწებზე, თითქოსდა დაუცველი ხეობები ყოფილიყო, რადგან აქ ყოველი გოჯი რომელიმე ღვთაებას ეკუთვნოდა და არაფერს ჰქონდა მხოლოდ ფიზიკური სახე: მდინარეები იქნებოდა თუ სიმღერები, ამ მდინარეებს რომ ეხმებოდნენ... მკვდრები, რომელთა სულები წელიწადში ერთხელ შინ ბრუნდებოდნენ... და ცოცხლები, რომლებიც იარაღსა და ყოველნაირ ნვეტიან ნივთს მალავდნენ, სულებს რომ არ შეშინებოდათ...



ჩვენ, საზღვრისპირა ხალხმა, ბრძოლა დიდი ხნის წინ წავაგეთ. უფრო ადრე, ვიდრე საზღვრის, ბრძოლისა და ბრძოლაში ჩაბმული საზღვრისპირა ხალხის მნიშვნელობას კარგად გავიაზრებდით... და ცხენის ზურგზე გაკრული ჩიკო სხვაგან სად წავიდოდა, თუ არა იმ საგმირო ამბავთა საჭვრეტად, რომელიც არასდროს მომხდარა; იმ ეპოსისა, რომელიც დროის ჩარჩოში ვერ თავსდება და ამიტომ მუდამ დროის მიღმაა, იმ სიქველეთა საცქერლად, რომელიც არასდროს გადახდენია თავს, ყველაზე რთულად გადასაკვეთ, თანაც გაფერმკრთალებულ, უკვე დაძლეულ საზღვართან შესაჭიდებლად...



თუ განაპირდები, უკეთ დაინახავ საგნების ფორმებს. ყაბარდოული ცხენებიც ძველებურად ავსებენ ჩემს კიდევ უფრო მშფოთვარე სიზმრებს და, მიუხედავად, დამარცხებისა, მიუხედავად იმისა, რომ ყაბარდოელი ჩემს დღეში არ მინახავს, ზუსტად ვიცი – უფრო შორსაც რომ მომისროლოს გეოგრაფიისა და ისტორიის საერთო ზრახვებმა – ერთ დღესაც, შინ დაბრუნებულს, იქვე დამხვდებიან მომლოდინე საზღვრისპირა ადამიანები, არარსებული რალაცის მოდარაჯენი: პაპაჩემი, მისი ყაბარდოელები და საკვირველი ყაბარდოული ბედაურები.

ომი სამ სუხითაჲ

ჩემებისთვის, მთის ხალხისთვის, ყველანაირ თევზს, ვეშაპის ჩათვლით, კალმახს რომ ეძახის, ნებისმიერი დაპირისპირება ჩხუბია, უბრალო კამათიდან დაწყებული და მეორე მსოფლიო ომის „დიდი ჩხუბით“ დამთავრებული.

მამაჩემს უყვარდა ხოლმე კალმახის ამბის მოყოლა, თანაც, მცოდნე კაცის ეშმაკური ღიმილით, ვიდრე ერთხელაც ორიოდ საათის წინ გაცნობილმა ვილაც ტიპმა, რამდენიმე ჭიქა ღვინის მერე არ გამოუცხადა: „ეგ ყველაფერი სისულელეა. სხვა სახელები, დიახაც, გვაქვს სხვა თევზებისთვის“. „აბა, რომლები?“ – ჰკითხა მამამ ღიმილით. „როგორ თუ რომლები? აი, მაგალითად...“ – და თქვა რომელიღაც უცნობი თევზის რალაც რთული სახელი. „მე აქ დავიბადე და გავიზარდე, – შეეპასუხა მამა, – მაგრამ მსგავსი არაფერი მსმენია“. „ეგ არც არაფერს ნიშნავს, – მიუგო იმან, – ან, შეიძლება, იმას ნიშნავს, რომ უვიცი ხარ და მეტი არაფერი...“ მამა აღარ იღიმებოდა და თვალებს ატრიალებდა იმ კაცივით, რომელსაც მუშტი-კრივისაც ბევრი გაეგება...

ჰოდა, იმ ომმა რომ მოგვისწრო, არა იქიდან, საიდანაც პაპაჩემს





ემინოდა, არამედ სულ სხვა მხრიდან, ველარავინ გაბედა მისთვის „ჩხუბი“ დაეძახა. შეიძლება, იმიტომაც, რომ ენა შეიცვალა, ან, იქნებ, ომები შეიცვალა. უფრო ხშირად, სიტუაციების მიხედვით, სურათებს იშველიებდნენ, ზოგად ან დანვრილებით აღწერებს, იმ პერიოდის აღსანიშნავად, როდესაც „ლტოლვილებმა მთა-მთა ვიარეთ“, „ჩვენ ვცადეთ, მდინარეში გავსულიყავით, მაგრამ მეორე ნაპირი, მოახლოების მაგივრად, უფრო და უფრო შორს მიიწვედა“, „ტანსაცმლის ქვეშ ზოგს ჯერ კიდევ პიჟამო ეცვა“.

მე მხოლოდ სამ სურათს ვხედავ, ალესილი და მჭრელი კიდები აქვს. და ზოგჯერ ღამით, როდესაც თავდაცვის მექანიზმი მომიდუნდება, ეს სურათები ისევ და ისევ თვალწინ ჩამივლიან ხოლმე, როგორც მოშლილ სტერეოსკოპში, თითქმის კინემატოგრაფიული სიზუსტით. ოღონდ ერთი ესაა, რომ სამივე ეს სურათი ფერების გარეშეა, რადგან დრო, პირველ რიგში, საგანთა ფერებს არ ინდობს.

პირველი სურათი (ერთადერთი ფერი დაბალვოლტიანი ნათურის მკრთალი ყვითელია): მამაჩემი შინ ბრუნდება, შუალამეა, შფოთავს, სწრაფი მოძრაობით კარადაში მალავს „კალამნიკოს“. ტანსაცმლიანად წვება ჩემს სანოლზე, ლოყაზე მკოცნის და წვერით მჩხვლეტს, დედას წვრილი კისრის ქვეშ მკლავს ამოსდებს და ამბობს: „მორჩა. მე ამ ომში აღარ ვიომებ“.

მეორე სურათი (ცა ნაცრისფერია): პაპა, უკვე მოხუცი და სრულიად ბრმა, ბალის სკამისკენ მიდის ფრთხილად. პირველმა ყინვამ უკვე დააზრო ბალის ბუჩქები და ბალახი. კეპიანი ქუდი ახურავს, რკინის ჯოხს ეყრდნობა, კარგად ესმის განგაშის სიგნალი, თვითმფრინავების გუგუნიც, დაბლა რომ მოფრინავენ და უცებ ამბობს: „კიდევ კარგი, ბრმა ვარ. ნეტავ, ყრუც ვიყო, ჯანდაბა, ნეტავ, ყრუც ვიყო“.

მესამე სურათი (მგონი, ერთ მათგანს წითელი ჯემპრი აცვია): დედაჩემმა შეიტყო, რომ მის ბიძაშვილს, სამი შვილის მამას, ტელევიზორი აუფეთქდა და დაიღუპა. ამ დროს ჩვენთან მეზობელია სტუმრად, მკაცრი და წაწვეტებულნაკვთებიანი ქალი, რომელიც დედაჩემს ეუბნება: „ეს რა სიკვდილია? ომში მაინც დაცემულიყო“. სიფრიფანა და ტირილით აცახცახებული დედა თავს სწევს, დაჟინებით უყურებს – იმის თვალეში პირველად ვხედავ დიდ სიძულვილს ამ ქალის მიმართ, ან რალაც იმისადმი, რაც მისი სიტყვების უკან დგას.



სიტყვები



კითხვა იმიტომ ვისწავლე, რომ პაპასთვის ახალ-ახალი ამბები მომეყოლა, რაკი საკუთარი ნელ-ნელა შემოაკლდა (პირველი წიგნი, რომელიც წავუკითხე, ერთ ახოვან, ცალხელა კაცზე იყო, ციმბირის მიყრუებულ ქალაქში ძმის საძებნელად რომ წავიდა). ვუკითხავდი ამბებს პაპაჩემს და, ალბათ, მრავალი წლის მერე, სწორედ ამის გამო დავინწყე წერა.

დღეს კი, ფერსაჭერი მჟავის მსგავსად, რომელიც მე და სამყაროს თან გვყოფს და თანაც აადვილებს ცხოვრების ფერთა ჩემზე აღბეჭდვას, სიტყვები რელიეფურ ყალიბებად, ანაბეჭდებად, პროფილებად გარდაიქმნება, და ვფიქრობ, ადამიანი ამით ფასდება; ესე იგი, იმით, თუ როგორ ეჭიდება სიტყვებს ანდა როგორ რეაგირებს თოვლში გადაკარგული ძმის საძებნელად წასული კაცის თავგადასავალზე.

თეთრი ფურცლის შიში არა მაქვს, უკვე დაწერილი ფურცელი



მაფრთხობს. ჩემი ხელით გამოყვანილ ყოველ ფრაზას ავიღებდი და ხელახლა დავწერდი. დროის უკიდურეს საზღვრამდე ვინვალეობდი, ამ საზღვარსაც უყოყმანოდ გადავცდებოდი, რადგან ერთადერთი, რაც მალეღებებს, უსაზღვროების, „ამის იქით რა იქნება“ ჭვრეტაა, როგორც ნიგნში, რომელსაც თუ კიდევ ერთხელ გადაიკითხავ, სულ სხვა ნიგნია; და ასევე მეგობრებთან დროსტარებაში, რომელსაც აზრი მაშინ ეძლევა, თუ მეგობრები უკვე აღარ ხართ, ან წინანდელზე უფრო მეტად ხართ.



თეთრი ფურცელი მუნჯია იმ ხალხივით, ვისთვისაც სიტყვებს აზრი არა აქვს, ან, პირიქით, მეტისმეტი მნიშვნელობა აქვს, რაც ძალზე ხშირად ერთი და იგივეა. ამ ორსავე შემთხვევაში გაბედულება არ გყოფნის, სიტყვებში ჩაება, როგორც ყველაზე უარეს სასიყვარულო ისტორიებში. ყველაზე უარესი კი ის ისტორიებია, რომლებში ჩაბმაც ვერ გავბედეთ. მე კი სიტყვებს ვებლაუჭებოდი მუდმივად: ჩემი ყოველი დღის როგორღაც გამართლება სულ რამდენიმე სიტყვაა.

ყოველი თავის ბოლოს დასმული წერტილი იმ სხვაობის ხსოვნაა, რაც მინდოდა, დამეწერა და რაც რეალურად დავწერე. სამაგიეროდ, ჩემი ყოველი ღამე სავსეა პაპაჩემისა ან ჯიხვებზე მონადირე ბებერი ჩიკოს მონაყოლი ამბებით. ყოველ დღით ვფენ და ვაშრობ ამ ისტორიებს და ვუქარგავ ზედაპირს, რაც ხელთ მივარდება, ქალაქი იქნება თუ ყოველდღიურობის თეთრი ტილო.



და თუმცა კარგად ვხედავ მოსალოდნელ სინანულსაც, ვიღაც ან რაღაც, ღამით შობილი სიტყვების უკან რომ დგას, მეუბნება, რომ ერთადერთი, რაც მევალება, დღით ამ სიტყვების ავანსცენაზე გამოყვანაა, დამწყები მსახიობებივით, და მათი შეცდომებისა და, თუნდაც, სულ ერთი მისხალი სიხარულის საზღაურის ჯიხვში ჩადება.

ერთხელ მესიზმრა, თითქოს რაღაც უნდა მეთქვა. ვიძაბებოდი, მთელი მონდომებით ვცდილობდი, მაგრამ ვერ ვახერხებდი საჭირო სიტყვის ზუსტად წარმოთქმას. ვიბრძოდი, ვფართხალებდი, ყელის ძარღვები მებერებოდა. და ეს იმას ჰგავდა, თითქოს პაპა მოკვდა, ან ცნობა მოვიდა, ჩიკო ნადირობიდან აღარ დაბრუნებულაო...

ყოველთვის მხოლოდ ის მაინტერესებს, „შემდეგ“ რა არის, მაგრამ ეს „შემდეგ“ იმასთან არის დაკავშირებული, რაც არავინ იცის, როდის დაიწყოს. ვინ იყო პირველი, რომელმაც ცეცხლის პირას ამბის მოყოლა წამოიწყო ან ბრტყელ ზედაპირზე სურათი ამოკანრა და

შემდეგ ინანა, რადგან იფიქრა, რომ უკეთაც შეეძლო; ან, სულაც, არ უნდა ექნა ეს, მაგრამ მეორე დღესაც ისევ იგივე გაიმეორა. და ვიღაცამ, უფრო ახალგაზრდამ, იმ ღამით სიზმარი ნახა და მოგვიანებით მის კვალს გაჰყვა.

და აი, ასე – მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ კვალს მივყვე. ვინანო. შემდეგ, თითქოს უდაბნოდან ან წვიმის ხმაურში ჩემამდე მოღწეული სუსტი ხმა მომესმას და გზა გავაგრძელო.

და ეს იქამდე, ვიდრე ჩემი ღამეები პაპას ღამეებივით არ დასრულდება, როდესაც მოსაყოლი აღარაფერი ჰქონდა და უბრალო მელოდია წამილილინა, უსიტყვო სიმღერა.

მაშინ გარდაიცვალა, როდესაც მე შორეულ ქვეყანაში იმის ამბებს ვწერდი იმ ენაზე, რომელიც არ იცოდა. რამდენიმე დღით ადრე ტელეფონით ველაპარაკე. გული რომ წაუვიდა, იმაზე შევეკითხე და ასე მიპასუხა: „ყველა ერთად გნახეთ, მაგიდასთან ისხედით. ყველანი კარგად იყავით, მხიარულობდით. მერე შევამჩნიე, რომ პატარავდებოდით. ოთახიც პატარავდებოდა... ან, შეიძლება, მე გმორდებოდით. სახეებს ველარ ვარჩევდი და ვიფიქრე, ეს აღსასრულია-მეთქი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ასე არ მოხდა“.





ბუზის თვალე

როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ეს ბუზის თვალეა, რომელიც შედგება ძალიან, ძალიან ბევრი დანაყოფისაგან (დაახლოებით 3000-მდე); ამიტომაც ამ მწერს არასოდეს არაფერი გამოეპარება. წინ, უკან და ირგვლივ თანაბრად ხედავს ყველაფერს.

1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. იმავე დღეს სომხეთის ეკლესიამ კათალიკოს იოსებ არღუთინსკის მოთხოვნით ქ. თბილისში „ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან“ დაკავშირებით გადაიხადა პარაკლისი.

ალექსანდრე დიუმა წერდა: „რა ლამაზადაც არ უნდა ილაპარაკოს ადამიანმა, თუ ის ბევრს ლაპარაკობს, ბოლოს მაინც სისულელეს იტყვის“.

ბოლო 5 წლის განმავლობაში გაერომ კანადა 4-ჯერ გამოაცხადა ცხოვრებისათვის საუკეთესო ქვეყნად.

ევროპელები პირველად რომ ჩავიდნენ ავსტრალიაში, დიდი მოგზაურის ჯემს კუკის მეთაურობით, ადგილობრივი ტომის მცხოვრებლებს ეკითხებოდნენ იქ ნანახი ერთი ჩანთოსანი ცხოველის შესახებ, რა ქვია ამ უცნაურ მსტომელ ცხოველსო. ისინი კი პასუხობდნენ, „კენ-გურე“, რაც თურმე მათ ენაზე ნიშნავდა, „არაფერი გვესმისო“. ევროპელებმა ჩათვალეს, რომ კენგურუ ამ ცხოველის სახელი იყო. ასე შემორჩა ეს სახელი ჩანთოსან ოთხფეხა არსებას.

1979 წლის ბოლოს 150 000-იანი საბჭოთა არმია (იგივე რუსეთი) შეიჭრა ავღანეთში. დამპყრობლებმა აიღეს პრეზიდენტის სასახლე, დახოცეს პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები. შეუდგნენ ქვეყნის ოკუპაციას. ომი 10 წელიწადს გაგრძელდა. საბჭოთა არმიას ამ ქვეყანაში ერთი დღით ყოფნა რამდენიმე მილიონი მანეთი უჯდებოდა.

1966 წელს რუსმა მფრინავ-კოსმონავტმა იური გლაზოვმა კოსმოსში გაფრენისას თან წაიღო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა (პოეტის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით).

ნობელიანტმა მწერალმა გაბრიელ გარსია მარკესმა თავისი პირველი რომანის „ავბედითი საათის“ გამოქვეყნების შემდეგ (1962 წ.) ღვანლმოსილი კრიტიკოსისგან – გილიერმო დე ტორესაგან მიიღო შენიშვნა: წერა არაა შენი საქმე! ისეთ რამეს შეეჭიდე, რასაც მოერევი!

შორეულ წარსულში, სიცილიაში, ქალაქ გენის სამუროს ფულზე იის ემბლემა ყოფილა გამოსახული. როგორც ამბობენ, გასული საუკუნის უდიდესი მსახიობის – სარა ბერნარის ბინა წლის ყველა დროს იის თაიგულებით ირთებოდა; ტანსაცმელიც და პირადი ნივთებიც მუდამ მისი სურნელით იყო გაჟღენთილი. დიდი დრამატურგი – შექსპირი – თავის თავს იაზე შეყვარებულ ადამიანად მიიჩნევდა. როცა დიდი გოეთე მშობლიურ ვაიმარში სასიეროდ გამოდიოდა, ხშირად თან მიჰქონდა იის თესლი და ქურჩა-ქურჩა თესავდა.

1912 წელს მეცნიერმა პეტრე ჭაბუკიანმა ნიკო მარს „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის სათაურად შესთავაზა „Витязь в тигровой шкуре“. თავდაპირველად რუსთაველის პოემას ერქვა „Ворска* кожа“.

სირაქლემას, ისევე, როგორც კენგურუს, არ შეუძლია უკუსვლა. საინტერესოა, რომ ამ თვისების გამო ორივე ეს არსება გამოსახულია ავსტრალიის გერბზე.

1824 წელს პარიზში გამოვიდა ფრანგი დედოფლის – მარია ანტუანეტას მოდელიორი ქალის, მადმუაზელ ბესტიენის მემუარები. ამ ქალბატონმა განაახლა დედოფლის ძველი კაბა. სწორედ ამ მოდელიორს უკავშირდება ცნობილი ფრთიანი ფრაზა: „ყველაფერი ახალი კარგად დავინყებული ძველია“.

კითხვაზე, ვინ მიგაჩნიათ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ აფერისტებადო, მწერალმა ბერნარდ შოუმ უპასუხა, ექიმებიო; ხოლო შეკითხვაზე, ვინ მიგაჩნიათ კაცობრიობის ყველაზე დიდ სულელებადო, უპასუხა, მათი პაციენტებიო.

პასკალი თვლიდა, რომ ადამიანები იყოფიან სამ ნაწილად: ვინც შეიმეცნა ღმერთი და მას ემსახურება, ის გონიერი და ბედნიერიაო; რომელმაც არც შეიცნო და არც ეძიებს, ის უგუნური და უბედურიაო; თუმცა ვინც არ შეიცნო, მაგრამ ეძიებს, მეცნიერის აზრით, ის გონიერი ჯერჯერობით უბედურიაო.

პალესტინა – ძველი წ.აღ.-ით XI ს.-ში შექმნილი ისტორიული ოლქი, ისრაელ-იუდეველთა სამეფო დაკავშირებული ბიბლიაში მოთხრობილ ამბებთან. 928 წელს ის გაიყო ისრაელთა და იუდეველთა სამეფოებად, რომელთა შორის დაიწყო ხანგრძლივი წინააღმდეგობები. ამ ბიბლიური ქვეყნის მიწა-წყალზე ოდიტგან მოქმედებდა ქართველთა სავანეები. 1952 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯალიო კორბომ იუდას უდაბნოში (?) აღმოაჩინა ქართული წარწერა; საინტერესოა, რომ უძველეს ქართულ წარწერად მიჩნეულ ბოლნისის წარწერაზე 50-იოდე წლით ძველია პალესტინის რელიგიური შინაარსის ეს ასომთავრული ფრაგმენტი (V ს.).

როგორც რენტგენმა აჩვენა „მონა ლიზას“ ქვეშ კიდევ სამი თავდაპირველი ვარიანტია.

გზა სკოლისაკენ – სოფელი პილი აღმოსავლეთ ჩინეთში ეს ერთადერთი გზაა, რომლითაც ბავშვები სკოლაში მიდიან!



გზა სკოლისაკენ!



თამაზ ფაჩუკიძე, ისტორიის დოქტორი, პოეტი. მისი ჯიშის საგანია საქართველოს განათლების ისტორია. ახის მხავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; მათ შორისაა: "მეფობის მახვანდეი", "ცოდნის, ხოგოხვ საღვთისმეტყველო კატეგორიის ზოგადმეცნიერული ასუქტები", "ანტონ ჯათიციოსის ჯეტუხოლოგოიქი მემევიდეხოზა", "ჰეტიხონონისა და გენათის სიმბოლოები - ჰიხვეი ქაიოელი საგანმანათლებლო ემბლემაი" და სხვა. ამ უქანასენე სავითხთან დაჯავშიებით, მისი სამეცნიერო ჯიშის შედეგები ავადმეცოსმა მახიამ ლოიოქიფანიქემ შეაფასა, ხოგოხვ "ახალი სიყვავა ქაიოელი ისტორიოგრაფიაში".



თამარ ფარჩუკიძე

თამაზ ფაჩუკიძე ხამენნიმე წიგნის ხედაქოი და თანავავტორია. ახის ქიხიტანელი ჰოეზიის ფესტივალის "წმინდა ნინოს ჯვაიი" და ლიტერატურული ჯონქუხის "შოთაოზა" ახიოთგზის გამახვებელი და მთავარი ჰიოზების მეღობელი. გამოქვეყნებული აქვს ლექსების ჯიბული "ზმა სამხეჯლოდან".

წახმოდგენილი სტაკიოთ ეუხნად "ილქნის" მეოთხველები, მეცნიეროთა გახივეული წიხების შემდეგ, ჰიხველები ახიან, ვინე ქაღბაკონი თამაზის მიეხ დაგენილ შუა საუქუნეების საქიოთველოს ისტორიის ეიო-ეიო უმნიშვნელოვანეს სიახეს გაეცნობიან.

პეტრიწონი აღმოსების ებოქის სათავებთან

თამარ ფარჩუკიძე

„ბოლოღარეთის“ ქართული სავანე

მიმდინარე წელს პეტრიწონის მონასტერს დაარსებიდან 935 წლისთავი უსრულდება. ბიზანტიის იმპერიის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის, ქართველი უფლისწულის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ 1083 წელს დაფუძნებული ეს სავანე, ბულგარეთში, პლოვდივიდან სამი ათეული კილომეტრის დაშორებით, როდოპის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს. ის ერთ-ერთი უდიდესი და უძველესია აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებლურ მონასტერთა შორის.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ საზღვარგარეთ არსებულ იმ ქართულ მონასტრებს შორის, რომელთაც დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე მფარველობდნენ, დასახელებულია „ბოლოღარეთის“ ლავრაც. უძველესი თრაკიის მიწაზე* დაარსებულ სავანეს სახელი თავად დამფუძნებელმა – გრიგოლ ბაკურიანის ქემ შეურჩია. მანვე შეადგინა სამონასტრო ცხოვრების წესდებაც, რომლის მიხედვით, აქ მხოლოდ ქართული ენის მცოდნეებს ჰქონდათ მოღვაწეობის უფლება.

მონასტერმა, როგორც იმჟამინდელი განათლების ერთ-ერთმა უმთავრესმა კერამ, დიდი წვლილი შეიტანა ქართული და ბულგარული კულტურის ისტორიის განვითარებაში.

დროთა განმავლობაში პეტრიწონის მონასტრის შესახებ ცნობებმა თანდათან იკლო და მის ირგვლივ ცოდნაც დაიწყებას მიეცა. ქართველთა მონასტრის არსებობა თანამემამულეებს შეახსენა გიორგი ჯორჯაძემ, რომელმაც რუსეთ-თურქეთის ომში (1877-1878 წ.წ.) თავისი რაზმით გაანთავისუფლა მონინალმდეგეთაგან გარშემორტყმული პეტრიწონი. მაღლიერების ნიშნად, დარბევას გადარჩენილი სავანის მოსაგრეებმა კაპიტანს მოუთხრეს მისი თანამემამულე ძმების მიერ დაარსებულ ქართველთა მონასტერზე, რომელსაც იმხანად უკვე „ბაჩკოვო“ ეწოდებოდა.

XIX საუკუნის მიწურულს საფუძველი ჩაეყარა პეტრიწონის მონასტრის ისტორიისა და XI ს.-ში აქ მოღვაწე მეცნიერ-ფილოსოფოსის – იოანე პეტრიწონის სამეცნიერო მემკვიდრეობის კვლევას, რომელშიც ჯერ უცხოელი, მოგვიანებით კი, ქართველი მეცნიერები ჩაერთვნენ. აღმოჩნდა, რომ თავის დროზე, მონასტერი ქმნიდა განსაკუთრებულ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციებს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საქართველოს, ასევე, ბულგარეთის ისტორიისა და ამ ორი ქვეყნის სულიერი ცხოვრების განვითარებისათვის.

მონასტერში არსებული მძლავრი ლიტერატურულ-ფილოსოფიური ტრადიციების მიერ შემორჩენილი მემკვიდრეობა პეტრიწონის სკოლის სახელითაა ცნობილი.



პეტრიწონის მონასტერი. ბულგარეთი

უმნიშვნელოვანესი სიახლე

ბოლო წლების სამეცნიერო გამოცემებში ხშირად გვხვდება გელათის ემბლემა – ეს არის აკადემიის კარიბჭეზე ამოკვეთილი გადამლილი წიგნისა და მზის ბარელიეფური კომპოზიციის გამოსახულება. უცნაურია, მაგრამ ჩვენს მატიანეებში მასზე არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. ოციოდე წლის წინათ, პირველი მინიშნება ამ საკითხზე გააკეთა პროფესორმა რევაზ სირაძემ, რომელმაც მანამდე „გელათის ჩუქურთმად“ მიჩნეულ გამოსახულებაში ხსენებული სიმბოლოები ამოიცნო.

* – დღევანდელი ბულგარეთის, საბერძნეთისა და თურქეთის ტერიტორიათა ნაწილი.



გელათის აკადემიის ემბლემა

საკითხის ირგვლივ ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გელათის ემბლემაზე არსებობდა პეტრინონის ქართველთა მონასტრის საგანმანათლებლო სიმბოლო. გელათური ბარელიეფი იმეორებს რა თავისი წინამორბედის ანუ „დედაემბლემის“ ფორმასა და კომპოზიციურ შინაარსს, წარმოადგენს პეტრინონის სიმბოლოს მოდიფიცირებულ, განვითარებულ ვარიანტს. პეტრინონის მონასტრის (1083 წ.) და გელათის აკადემიის (1106—1110 წ.წ.) შორის სხვაობა 23-27 წელია; ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ გელათის აკადემიის მშენებლობისას გათვალისწინეს პეტრინონის მონასტრის გამოცდილება და კარიბჭის თაღში გამოკვეთეს ანალოგიური ემბლემა.

მონასტრის სიმბოლოების მსგავსება საშუალებას იძლევა, განსხვავებულად გავიაზროთ არსებული შეხედულებები და, შესაბამისად, გამოვიტანოთ ახლებური დასკვნები. კერძოდ, აქამდე მიჩნეული იყო, რომ გელათის აკადემია წარმოადგენდა მანგანას აკადემიის* ასლს. ხსენებული სიახლე ცვლის ამ თვალსაზრისს. პეტრინონისა და გელათის ემბლემათა

ანალოგიის მიღმა მსგავსებები შეინიშნება მონასტრის იდუარ-მსოფლმხედველობრივი საფუძვლების თანხვედრაში, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრების დანიშნულებაში, სწავლების პრინციპებსა და პროგრამებში. ასეთი მიდგომით, შესაძლებელია, მოვახდინოთ ჩვენი ცოდნის შევსება და გაფართოება ორივე მონასტრის ისტორიის გათვალისწინებით.

ემბლემათა ქვითმეტყველება

სიმბოლოთა ენა, როგორც კაცობრიობის კულტურის ერთ-ერთი უძველესი ნიშანი, ცივილიზაციის ყველა საფეხურზე სხვადასხვა სახით ვლინდებოდა. პეტრინონის ემბლემა სრულიად ორიგინალური მოვლენა არა მხოლოდ იმჟამინდელ საგანმანათლებლო სივრცეში, არამედ, სიმბოლოთა არსებობის მრავალფეროვნებაშიც.

ნიგნისა და მზის გრაფიკული ნიშნების სადად შერწყმული პიქტოგრამის** გელათურ ბარელიეფში მისმა პირველადომჩენმა რევან სირაძემ ნიგნი ღვთისმშობლის მხატვრულ სახედ მიიჩნია, მზე კი – მაცხოვრის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როგორც ნიგნი იტყვას, ასევე, ღვთისმშობლის ღვთაებრივი ნიალი დამტვევი და მშობელია განკაცებული სიტყვის – იესო ქრისტისი.

სახელოვანი მეცნიერის ეს თვალსაზრისი, რეალურად, ემბლემის საღვთისმეტყველო განმარტებაა და ეფუძნება ეგზეგეტიკურ*** სწავლებას, რომლის მიხედვით, ნიგნი ღვთისმშობლის ერთ-ერთი მეტაფორული სახეა, მზე კი – მაცხოვრის, რომელსაც ეწოდება „სიმართლის მზე“, „მარადმყოფი მზე“, „დაუვალი მზე“.

საზოგადოდ, ქრისტიანულ ტაძრებსა და ფრესკებზე ხშირად ვხვდებით ორივე ამ ნიშანს. მზე და მისი სხივები საღვთო ნათლის გამომხატველია. ნიგნის გამოსახულება მაცხოვართან, მოციქულებთან და წმინდანებთან ერთად სახარების სიმბოლოს წარმოადგენს. ჩვენი ემბლემების შემთხვევაში კი, ამ ნიშნებმა ახალი შინაარსი შეიძინეს.

აღნიშნული საღვთისმეტყველო კონცეფციის გარდა, ემბლემებს გააჩნიათ კიდევ ერთი, მკაფიოდ გამოკვეთილი მსოფლმხედველობრივი იდეა, რაც გულისხმობს ცოდნისა და რწმენის ერთიანობას. ამ სიმბოლოთა ორგანულმა სინთეზმა მოიცვა საღვთო და საკაცობრიო სიბრძნე, ერთმანეთთან „შეარიგა“ ზეციერი და მიწიერი სამყაროები.

როგორც ჩანს, პეტრინონის დამაარსებლებსა და პეტრინონისა და შემდგომ გელათის აკადემიების პირველ მოძღვართ-მოძღვარს – იოანე პეტრინს იმთავითვე ზედმინევენით ზუსტად და ნათლად ჰქონდათ გააზრებული ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა და ანტიკური კლასიკური ფილოსოფიის კავშირის აუცილებლობა.

სწორედ ამ იდეის გამოძახილს ვხედავთ გელათის ქვითმეტყველებაში და აკადემიის მისიის დავით აღმაშენებლისეულ განსაზღვრებაშიც. „მეორე იერუსალემად“ და „სხუად ათინად“ გელათის დაარსება სარწმუნოებისა და სიბრძნის, ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის ჰარმონიზაციას ისახავდა მიზნად.

პირველი ქართული ანუ პირველი ევროპული



ემბლემა გელათის აკადემიის კარიბჭეზე

ხსენებული ქართული მონასტრების სამეცნიერო-კულტურული ცენტრების ემბლემები თავისი ფორმითა და შინაარსით მხოლოდ ქართული მოვლენა როდია. როგორც კვლევამ გვიჩვენა, იმჟამინდელი ევროპული სივრცის განათლების სფეროში არ არსებობს პეტრინონის ემბლემაზე ადრეული და, შესაბამისად, მისი წინმსწრები სიმბოლო.

კერძოდ, დაარსების მომენტში, ევროპის ადრეული უნივერსიტეტებიდან (ბოლონიის – 1088 წ., ოქსფორდის – 1167 წ., კემბრიჯის – 1213 წ. და პარიზის – 1215 წ.), უმეტესს, არათუ არქიტექტურულად გამოსახული საგანმანათლებლო სიმბოლო, კუთვნილი შენობაც კი არ გააჩნდათ. მოგვიანებით, მათ ჰერალდიკაში გაჩნდა ცალკეული – ან ნიგნის, ან მზის გამოსახულებები.

გამოდის, რომ პეტრინონის ემბლემის კომპოზიციამ

* – XI ს.-ის კონსტანტინოპოლის საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც სწავლობდა იოანე პეტრინი.

** – ხატოვანი დამწერლობა, პირობითი ნიშანი. *** – მოძღვრება ძველი ტექსტების განმარტების შესახებ.



დასაბამი დაუდო სწავლების პროცესთან ასოცირებული ამ ორი სიმბოლოს დამკვიდრებას. შემდგომში ეს ნიშნები თანდათან გავრცელდა ევროპულ სივრცეში და განათლებისა და მეცნიერების სფეროთა ჰერალდიკურ გამოსახულებებში. **სადღესოდ, წიგნისა და შვის ნიშნებს ყველაზე ხშირად ვხვდებით მსოფლიოს უნივერსიტეტების, უმაღლესი და სხვა სკოლების, აგრეთვე, სხვადასხვა ინსტიტუციის სიმბოლოთა მრავალფეროვნებაში.**



იოანე პეტრინი

გარდა აღნიშნულისა, პეტრინონის მონასტერთან არსებულ აკადემიაში სწავლება მიმდინარეობდა ტრივიუმ-კვადრივიუმის პრინციპით* (არითმეტიკა, ასტრონომია, გრამატიკა, გეომეტრია, მუსიკა, რიტორიკა და ფილოსოფია). ისწავლებოდა, აგრეთვე, ასტროლოგია, ღვთისმეტყველება, საერო და კანონიკური სამართალი, მედიცინა და უცხო ენები. ეს კი ის პროგრამაა, რომელიც პეტრინონის აკადემიის კვალდაკვალ გახსნილ შუა საუკუნეების ევროპის საუნივერსიტეტო განათლების საფუძვლად იქცა და რომლითაც XVI საუკუნემდე სარგებლობდნენ უმაღლესი სკოლები.

რენესანსის ქართული საწყისები

პეტრინონის ემბლემის კონცეპტუალური და ესთეტიკურ-კულტურული ბუნება რენესანსულია. იგი შედგენილია ზედროული, ზერელეიური, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ნიშნებისაგან. ერთი შეხედვით, ქრისტიანულ სიმბოლიკას მოკლებული ამ უნივერსალური, ინტერკულტურული სიმბოლოებით გამოხატულია საქართველოს ეკლესიისა და ქართული სახელმწიფოს რელიგიურ – მსოფლმხედველობრივი პრიორიტეტები: ქვეყნის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რანგში გააზრებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რჯულთშემწყნარებლობა, უმაღლეს სასწავლებელთა საერო, საყოველთაო და ინტერნაციონალური ხასიათი.

პეტრინონის სიმბოლო გამოხატულებაა ქრისტიანული რწმენისა და მეცნიერული აზროვნების განვითარების იმ გრძელი გზისა, რომელიც ჩვენმა ცნობიერებამ პეტრინონისა და გელათის აკადემიების დაარსებამდე გამოიარა. მაგრამ, ამავდროულად, მასში ანტიკური და კიდევ უფრო ადრეული, ის ისტორიული შრეებიც უნდა განვჭვრიტოთ, რომლითაც ჩვენი შორეული წინაპრები ქმნიდნენ უძველეს ცივილიზაციათა თანასწორ კულტურას.

ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ **პეტრინონის აკადემიაში უძველესი საერო-საკაცობრიო სიბრძნისა და საღვთისმეტყველო ცოდნის ჰარმონიზაცია მოხდა მაშინ, როდესაც, შუა საუკუნეების დასავლეთის ქრისტიანობას ჯერ კიდევ კანონგარეშედ შქონდა გამოცხადებული ანტიკური სიბრძნე.**

სულ ცოტა ხანში გახსნილმა ევროპულმა უნივერსიტეტებმა სწორედ ამ იდეოლოგიაზე დაამყარეს თავიანთი მსოფლხედვა. ჩვენი დიდი წინაპრების შორსმჭვრეტელობის წყალობით, პეტრინონის ემბლემა მონასტრის სამეცნიერო ცენტრში არსებული სულისკვეთების განსხეულება და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის ამსახველი ნივთიერი მტკიცებულებაა. ეს არის საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა მეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

ამ ყოველივეს შემოქმედნი არიან გრიგოლ ბაკურიანის ძე და იოანე პეტრინი. მონასტრის დამაარსებლის, დიდი მხედართმთავრისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის ძის საღვთისმეტყველო ცოდნა და ლიტერატურული გემოვნება კარგად ჩანს მის მიერ შედგენილი მონასტრის წესდებაში.

მოძღვართ-მოძღვარი იოანე პეტრინი, როგორც მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი და სახელოვანი ნეოპლატონიკოს-ფილოსოფოსი, ბიზანტიელ სწავლულთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ის, რომ დიდი მღვდელმთავარი თეოფილაქტე ღრმა პატივისცემისა და სასოების ნიშნად, მას „ღვთაებრივ იოანედ“ მოიხსენიებდა. „ღვთაებრივს“ კი, სიბრძნის გამო, ბერძნები მხოლოდ პლატონს უწოდებდნენ.

სწორედ ამ ორი დიდი მოაზროვნის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია ის, რომ პეტრინონის მონასტერში იშვა ის პროგრესული იდეები, რომლებიც „აღორძინების ეპოქად“ წოდებულ ჯერ ქართულ, ხოლო შემდეგ ევროპულ რენესანსს დაედო საფუძვლად.

P.S. ისტორიის დოქტორის, ქალბატონ თამარ ფაჩიჯიძის მონოგრაფიული ხასიათის პუბლიკაციას მისივე დასმული ნუსხით ვუი დავასხელებდით.

იმედია, ქალბატონი თამარის ახალ ისტორიოგრაფიულ სიყვას - საუხო და საღვთისმეტყველო აზროვნებაში საგანმანათლებლო ემბლემათა პახაღელებს, უხოპული ჰენესანსის წინმსხებ ქართულ ქვითმეტყველებათა (ეს ავტორის დამკვიდრებული სიყვავა) სიმბოლოებს - დასავლეთის ინტელექტუალური სამყარო გაიზიარებს.

წინასიტყვაობაში უკვე აღვნიშნეთ, ხომ მეღია-სიხიკეში "იანქანი" პიხეღია, ვის გეღიღებუე გაღელღა მეწნიღის აკადემიური აღმორენა; თემამ, ხომღემღაც მომღავღში, შესაღღო, სასაღოლ სახემღძღვანელღში თავისი უთღვნიღი აღღიღი დაიღკვიღღოს.



კომპოზიცია გელათისა და პეტრინონის მონასტერთა სიმბოლოებით. ხატის ავტორი – თენგიზ ფარჩუკიძე (თამარ ფარჩუკიძის მამა)

* – შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში: საერო განათლების მაღალი კურსი შვიდი სხვადასხვა დისციპლინის სწავლებით.



ანატოლ დე სენტ-ეკვიპერი

ანტუან დე სენტ-ეკვიპერი - დიდი ფიანგი მოაზროვნე, მწეხარი და ჰუმანიტარული დაიბადა 1900 წელს ქ. ლიონში, საფრანგეთის ერთ-ერთ სახელმწიფო ანტიკონსტიტუციურ ოჯახში.

პარიზის ნატივი ხელოვნების სკოლაში აქტიუტუტის ფაქტუტის დასხუების შემდეგ, 1921 წელს, ანტუანი გაიწვიეს ჯახში, სადაც იმსახუა ჰილოტა ჯგუფში. ერთი წლის შემდეგ მიიღო მფინანავის წოდება, ხომელმაც განსაზღვრა ჯიდეუ მისი ჯახიუა, მომავალი...

ეჟინარისტუკი და სამწეხლო მოღვაწეობასთან ერთად მსახურობდა ჰილოტად ავიაციამი; ამასთან, იყო სხვადასხვა აჟიოსააგენტოს ხელმძღვანელი.

ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს მან, ხოგოხუ ფიანგელი გაზეთების ჯოხუჰომენეცმა, იმ ჯვეყანაში განახოხიუეა ახაეთი სახიფათო საბოლოო გადაფიენა. ეჟიუჰუის აშფოთება ეჟიოჰის ბედი, მომავალი, ხომელსაც ფაშიზმი ემუქებოდა.

მოგვიანებით ის გაემგზავრა აშშ-ში, სადაც შექმნა თავისი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული ნაწახმოები "პატახა უდისწელი" (ის მიწნეულია ყველა დროის ერთ-ერთი მოწინავე ბესტსელერად.

XX ს-ის საეეთესო წიგნად; მსოფლიო მასშტაბით გაყიდულია წიგნის 140 მილიონზე მეტი ეგზემპლარი).

აშშ-ში მწეხარი საგანგებო მისიით ჩავიდა: დაეხმუნებინა ჯვეყნის ხელისუფლება, სასწახთოდ ჩახოუიყო ნაციონალისტური გეჰმანიის წინააღმდეგ ომში.

წეხილი, ხომელსაც დღეს მეთიხველს ვთავაზობთ, ამეიჟეუ საავიაციო ბაზაზე ყოფნის დროსაა დაწეხილი. შეუძლებელია, ახ თანაეგდრო ავტოხის, ახ შეუზიახო ადამიანის ფიქიებს, ომის, ჯაცთა ევლისა და შეუბახებლობის გამმ ასე ტევილითა და ცხემლებით სავსეს. თავისი სიმძაფრითა და მწიშვნელობით ჰუმანიტარული აქტუალუი და დღესაც, ხოცა თანამედროვე ახასტაბილუი მსოფლიოში ომის გამჩალებელი და დამჰიოი ასე მოუხიებლად "ანონსებს" ეამიჯ "ცხედ წეხილს" და ანეჟიხებუე ტეიოოხიას (ხაც ასე ამძიებს უდნაშეუელო სამყახოს).

1943 წელს, მიღებული ჰილოტებისგან ევე თითქმის ხეიბაი (ამხანაგების დახმახებლად ჯომბინიზონის ჩაცმა და თვითმფინავის ჯაბინაში ჩაქლომაც უქიდა) მაინც დაუბუნდა ავიაციას; საბოლოოდ შეუწია მოხიგ სადაზვეჟო მისიას, ეუნქედ სახილნიაზე გადაფიენისას, საიდანაც ალახ დაბუნდა.

ეს იყო 1943 წლის 31 ივლისს.

წერილი გენერალ X-ს *

ანტუან დე სენტ-ეკვიპერი

თარგმნა ნანა ჭანტურიამ

მე ახლახან განვახორციელე რამდენიმე გაფრენა ხომალდით – „11-38“. ეს საუცხოო მანქანაა. ოცი წლის ასაკში, მართლაც, უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდი, მიმელო ასეთი საჩუქარი; მაგრამ დღეს დანაზებით ვაცხადებ, რომ სხვადასხვა ჯვეყანაში განხორციელებული 6.500 ზეციური საათის შემდეგ უკვე უძღური ვარ, გავერთო ამ თამაშით. დღეს თვითმფრინავი პირადად ჩემთვის, არც მეტი, არც ნაკლები, გადაადგილების საშუალებაა, ომისთვის კი ის – ომის იარაღია.

და მე მგონია, რომ მთელი ჩემი ცხოვრება სულელად დავრჩი... წარმოიდგინეთ, ამერიკული ბაზის ცენტრი უშინაარსო, ჯოგური ურთიერთობების პრინციპებით: სადილით, რომელიც 10 წუთში და, ისიც, ფეხზე მდგარმა უნდა შთანთქა, „სუ-2.600“ – ამ ერთადგილიან გამანადგურებლებს შორის წინ და უკან უაზრო სიარულითა და ადგილის ტკეპნით, სამი ადამიანისათვის განკუთვნილ კუნჭულა ოთახში, ამ აბსტრაქტულ გარემოში ცხოვრებით; ერთი სიტყვით, ესაა საზარელი ადამიანური უდაბნო, რომელიც უკიდურესობამდე მიფორიექებს სულს.



კოლ-ქმარი – ანტუან და კონსტანტინე ეკვიპერი

ესაა დაავადება, რომლითაც გარკვეული დროით „დავსნეული“. და ვერც მივეცი თავს უფლება, გავრიდებოდი ამ ქირს. ესაა და სხვა არაფერი. ამიტომაც დღეს ძალზე სევდიანი ვარ, სულის სიღრმემდე სევდიანი. მე მალეღვებს ჩემი თაობა, რომლის ადამიანური რესურსი განადგურებული და ძალაგამოცლილია...

ავილოთ 100 წლის წინანდელი ომი; დაფიქრებულხართ იმაზე, რა ძალისხმევა იყო საჭირო, რომ ომის პირობებშიც კი ადამიანთა სულიერი და პოეტური ცხოვრება, თუნდაც, მათი ყოფითი ყოველდღიურობა შეემსუბუქებინათ; და დღეს, როცა ჩვენ აგურზე მეტად გამომშრალები ვართ, ამ სისულელეებზე გვეცინება. არადა, ხომ იყო მუნდირები, ეპოლეტები, დროშები, სიმღერები, ორკესტრები, გამარჯვებები (ჩვენს სინამდვილეში კი არ ვიცით არც ერთი გამარჯვება, რომელიც თავისი პოეტური სისავსით აუსტერლიცს** შეედრებოდა).

ჩვენთვის ხომ დღეს სრულიად სხვა ფენომენია მისაღები: საჭმლის მონელების ნელი ან ჩქარი პროცესი;

* – იბეჭდება შემოკლებით.

** – აუსტერლიცის ბრძოლა – ნაპოლეონი იპყრობს ევროპას (1805 წ.).



ადამიანებს სასაცილოდ ეჩვენებათ ყველანაირი ლირიზმი და არც სურთ გამოფხიზლება, სულიერი ცხოვრებით ტკობა; ისინი უბრალოდ კეთილსინდისიერად ენევიან შრომის კატორღულ ქაპანს. ამერიკელი ახალგაზრდები აცხადებენ კიდეც, უმაღურ სამუშაოს ჩვენ კეთილსინდისიერად ვასრულებთო.

და მთელს მსოფლიოში გაშლილი პროპაგანდა მხოლოდ ამაოდ გახარჯული სიტყვებია. დღეს ახალგაზრდები დაავადებულნი არიან არა ნიჭიერების დეფიციტით, არამედ შიშით, უდიდეს ტრადიციებს მინდობილნი არ აღმოჩნდნენ სასაცილონი.

მე მთელი არსებით მძულს ჩემი ეპოქა, სადაც ადამიანი წყურვილით კვდება.

ოჰ, გენერალო!..

არსებობს მხოლოდ ერთი, მთელს მსოფლიოში ერთადერთი პრობლემა: ადამიანებმა ხელახლა გააცნობიერონ სულიერ ფასეულობათა მნიშვნელობა, იცხოვრონ სულიერი საზრუნავით, მიეცეთ უნარი, წვიმასავით გადმოეღვაროთ ზეციდან ღვთიური საგალობლები.

არ შეიძლება, გესმით თუ არა, უკვე არ შეიძლება, იცხოვრო მხოლოდ მაცივრებით, პოლიტიკით, ბალანსებითა და კროსვორდებით! არაფრით არ შეიძლება! შეუძლებელია, იცხოვრო პოეზიის, ფერების, სიყვარულის გარეშე! საკმარისია, მოვისმინოთ XV ს.-ში იცხოვრები გლეხის სიმღერა და იმთავითვე გავისიგრძეგანებთ ჩვენი დაცემის სიღრმეს. მართლაც, არაფერი შეგვრჩა რეკლამა-რობოტების გარდა!

რობოტების გარდა 2 მილიარდ ადამიანს დახშული აქვს სმენა, არავისი და არაფერი ესმის; მეტიც: 2 მილიარდი ადამიანი თვითონ არის რობოტად ქცეული.

ადამიანებმა უკვე გადააფასეს დეკარტის მოძღვრება*: ამ ღირებულებებიდან არაფერი შეგვრჩა, გარდა მეცნიერებისა ბუნების შესახებ; და ახლა ჩვენს წინაშეა მხოლოდ ერთი პრობლემა, ერთადერთი: ხელახლა შევიმეცნოთ სულიერი ცხოვრების არსი, გონებრივ შესაძლებლობებზე ბევრად ძლიერი და უზადო, ის ერთადერთი, რაც ადამიანს ანიჭებს სიმშვიდეს.

სულიერი ცხოვრება იწყება იქ, სადაც ადამიანებს ერთმანეთი ესაკლისებათ. სულიერი ტკივილის გამოვლენაა მშობლიური კერისადმი სიყვარული, გრძნობა, რომელიც სრულიად უცხოა დღევანდელი ამერიკელებისათვის.

ამის შესახებ გულისტკივილით იმიტომაც ვამბობ, რომ სწორედ ჩემი ჩამოსვლის შემდეგ აქ სამი პარაშუტისტი დაიღუპა, მაგრამ ამქვეყნად მათი არსებობა უკვე არავის ახსოვს; ძალზე მარტივად ამოშალეს ისინი ცხოვრების სიიდან და დაასრულეს კიდეც ამით ყველაფერი. ეს უკვე ეპოქის პრობლემაა და არა ამერიკის: ადამიანი არაფერს ნიშნავს.

უნდა ვესაუბროთ ადამიანებს, უნდა ვიურთიერთობოთ ერთმანეთთან!

ღირს კი ომში გამარჯვება, თუ ამ ჩვენი ასწლეულის შემდეგ დაგვეწყება რევოლუციური ეპილეფსია? თუნდაც ახლა, როცა, ბოლოს და ბოლოს, გადაიჭრება გერმანული პრობლემა, კაცობრიობა აღმოჩნდება სხვა უდიდესი გამოწვევის წინაშე: დავინახავთ სოკოებივით მომრავლებულ პარტიებსა და ურთიერთბრძოლას სავარძლებისთვის. დაჩაჩანაკებული მარქსიზმიც კი ნეომარქსისტულ სექტებად დაიშლება (ესპანეთში ხომ ეს ყველაფერი ძალზე თვალშისაცემი იყო).

ო, რა უცნაური საღამოა და ასეთივე უცნაური ამინდიც! ჩემი ოთახის ფანჯრებიდან ვხედავ, როგორ თანდათან ქრება შუქი ესოდენ უსახური სახლების სარკმლებთან; რადიოდან ჩამესმის მუსიკის პრიმიტიული ხმები, რომელიც ართობს პლანეტის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოყრილ უმაქნისთა ხროვას, მას, ვისთვისაც უცხოა მშობლიური კუთხის ნოსტალგია.

სიყვარულის სიმები, რომლითაც დღევანდელი ადამიანი დაკავშირებულია სხვებთან თუ საგნებთან, იმდენად სუსტია და ძაფისებრი, რომ მას უკვე არ აღელვებს განშორება. დაქორწინებული წყვილები ერთმანეთს, ისევე, როგორც ნივთებს, მარტივად ეყრებიან. წარსულში კი ყველაფერი სხვაგვარად იყო.

დღევანდელი ადამიანი, განურჩევლად იმისა, რომელი სფეროს წარმომადგენელია, სად მოღვაწეობს, ჰყავთ მორჩილებაში. ჩვენ ამპუტირებულები ვართ, მოჭრილი ხელებითა და ფეხებით, მაგრამ მონიჭებული ფუფუნებითა და უფლებით, ჩვენს ნებაზე გადავადგილდეთ! მე მეზიზღება ჩემი ეპოქა, რომელმაც



მფრინავი მეზღაპრე – ანტუან დე სენტ-ეკვიუპერი



ამერიკული სამხედრო-საავიაციო ბაზა (II მსოფლიო ომის დროს)

* – რენე დეკარტი, XVI ს.-ის უდიდესი ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი. ცნობილია მისი მოძღვრება თავისუფალი ნების შესახებ.



ანტუან დე სენტ-ეკვიპერი თავის ხომალდთან ერთად

უნივერსალური ტოტალიტარიზმის პირობებში ადამიანი აქცია მშვიდ, თავაზიან, მაგრამ მორჩილ არამზადად!

მე მარქსიზმში მეზიზღება სწორედ ტოტალიტარიზმი; მარქსიზმი ადამიანში ხედავს მწარმოებელსა და მომხმარებელს და მისი მთავარი პრობლემა გაიგივებულია მოხმარების წესებთან. ნაციონალიზმშიც ტოტალიტარიზმი ვერ ამიტანია... საკონცენტრაციო ბანაკებში შიმშილით კლავენ მომავალ ვან გოგებს, სეზანებს, მომავალ ნონკომფორმისტებს, მორჩილ არამზადებს კი კვებავენ ქრომოლიტოგრაფიით*. საითკენ მიდის აშშ და საითკენ მივდივართ ჩვენ ამ უნივერსალური ბიუროკრატიზმის ეპოქაში?

იცით, ვინ არის დღევანდელი ადამიანი? ადამიანი – რობოტი, ადამიანი, რომელსაც დაკოდილი აქვს შემოქმედებითი ნიჭი, რომელიც, უუნაროა, თავის ქონებაში შექმნას სიმღერა და შეთხზას ცეკვა, ადამიანი, რომელსაც კვებავენ სტანდარტის კონფექციონური (მზა პროდუქციის მასობრივი დამზადების წესი) ცივილიზაციით (როგორც საქონელს თვით).

დღეს მე ვიგონებ მათაც, უიღბლო სიყვარულის გამო სამუდამოდ მონასტერში რომ მიდიოდნენ. თავს დღესაც იკლავენ; მაგრამ თვითმკვლელთა ეს განცდები უფრო შეშლილის ინსტიქტია, თავშეუკავებლობაა, რომელსაც წმინდა გრძნობასთან არაფერი აკავშირებს.

დღეს თვით ჩვენი არსებობაც საშიშია. მაგრამ თუ მაინც გადავრჩებით,

ისევ დიღემის წინაშე აღმოვჩნდებით – ეს იქნება განსხვავებული დროება; ამ ვითარებაში გამოიკვეთება ადამიანი და კითხვა, მისი ამქვეყნად დანიშნულების რაობაზე. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დედამინაზე არსებობის (ისტორიის) ყველაზე შავბნელი დღეები გველოდება.

ჩემთვის სულერთია, მომკლავენ თუ არა ამ ომში, რა დარჩება იმისგან, რაც მიყვარდა? ვგულისხმობ არა მარტო ადამიანებს, არამედ ზნე-ჩვეულებებს, განუყოფელ ინტონაციებს, სულიერ სინათლეს.

ვიმეორებ, მიმიფურთხებია იმისთვის, მომკლავენ თუ არა ომში! შევეწირები თუ არა მფრინავი ტორპედოს ველურ გასროლას, აფეთქებას, რომელიც უკარგავს აზრს ნებისმიერ გადაფრენას და პილოტს, საომარი ხომალდის ღილაკებთან და ციფერბლატებთან ერთად მას ჩვეულებრივ მოანგარიშედ რომ აქცევს!

მაგრამ თუ მაინც არ შევეწირები „ამ სავალდებულო და უმადურ“ სისტემას, საკუთარ თავს დაუუსვამ ერთ შეკითხვას: კიდევ რამე დამრჩა სათქმელი ადამიანებისთვის?

მე სულ უფრო და უფრო ვაცნობიერებ, რატომაც გიყვებით ამ ყველაფერს. იმიტომ, რომ, თუნდაც, ვილაცას გაუფიხარო ჩემი ფიქრები. იმიტომაც, რომ არ მაქვს არანაირი უფლება, მივიქციო თქვენი ყურადღება (უნდა გაუფრთხილდეთ ერთმანეთის სიმშვიდეს და არეგ-დარეგა არ შევიტანოთ ურთიერთობებში). ახლა ყველაზე კარგი მაინც ისაა, რომ ჩვენი სამხედრო თვითმფრინავის ბორტზე მოანგარიშის ფუნქციას მაინც ვასრულებ.

მას შემდეგ, რაც დავჯექი სანერად, ოთახში უკვე ჩაეძინა ორ ჩემს მეგობარს. მეც უნდა დავიძინო, რადგანაც მალეღვებს, რომ ანთებული ლამპა მათ ანუხებთ. ისინი შესანიშნავი ბიჭები არიან. მათნაირია უშუალობაც, კეთილშობილებაც, სისუფთავაც და ერთგულებაც. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, როცა მათ ვხედავ, აი, ასეთებს, ჩემს თვალწინ მთვლემარეებს, მეუფლება დაუცველობის, უმწეობის განცდა. ალბათ, იმიტომ, რომ ისინი ვერც აცნობიერებენ საკუთარ განსაცდელს, მე კი ეს გასიგრძეგანებული მაქვს. ხო, ისინი უშუალონი, კეთილშობილნი, ალაღნი, ღირსეულნი და, ამასთან, საშინლად უმწეონი არიან. როგორ ჭირდებათ მათ უფლის წყალობა!



20 წლის წინათ ზღვაში ნაპოვნი ანტუან დე სენტ-ეკვიპერის სამაჯური

მაპატიეთ, თუ ამ აუტანელმა ელექტროლამპამ, რომელსაც მე ახლა ჩავაქრობ, თქვენც დაგიფრთხოთ ძილი, მაგრამ, მჯერა, ინამებთ ჩემს მეგობრულ რჩევებს.

* * *

P.S. დიდი ხნის მანძილზე ანტუან ეზიუპეის დალუპვის შესახებ ახავითახი ცნობა ახ ახსებობდა. მხოლოდ 1998 წელს, მახსებთან ახლოს, ზღვაში, ეხომ მეთევზემ იპოვა სამაჯური მისი წახსილით: "Antoine" და "Consuelo" (ახე ეჩქვა ანტუანის ცოლს).

გამოძიების შედეგად დადასტუდა, ხომ ეს სამაჯური ეკუთვნოდა საბიძოლო ოპიხაციის ეხოს გმიხედა დალუპედ დიდ მწეხალსა და მწეხინავს - ანტუან დე სენტ-ეზიუპეის.

* – ტირაჟული ბეჭდვის მეთოდი, სხვადასხვა ფერის გამოყენებით.



1. XI ს.-ის 30-იან წლებამდე ქუთაისში ბაგრატს III-ის მეფობის დროს ბაგრატის ტაძრისა და მცხეთაში სვეტიცხოვლის გარდა კახეთში რომელი ცნობილი ტაძარი აიგო?

- ა) ბოდბეს დედათა მონასტერი;
- ბ) ალავერდის მონასტერი;
- გ) გრემის მონასტერი.



2. ვისი მშობლები იყვნენ ღირსი მამა ზაბულონი და ღირსი დედა სუსანა?*

- ა) წმინდა გიორგის;
- ბ) წმინდა ნიკოლოზის;
- გ) წმინდა ნინოსი.

3. 1629 წელს რომში გამოცემული პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნის „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ შემდეგ 1670 წელს სად გამოიცა მხედრული შრიფტით შესრულებული პირველი „ქართული ენის გრამატიკა“?

- ა) მოსკოვში;
- ბ) რომში;
- გ) პარიზში.

4. როდის გაიხსნა სოხუმის თეატრი თავისი მუდმივი პროფესიული ქართული და აფხაზური დასებით?

- ა) 1927 წელს;
- ბ) 1928 წელს;
- გ) 1929 წელს.

5. რას ნიშნავს სიტყვასიტყვით „კარატე“?

- ა) ძლიერ ხელებს;
- ბ) შიშველ ხელებს;
- გ) მოხერხებულ ხელებს.

6. რა ერქვა ქართული მითოლოგიის გამირის – ამირანის ერთგულ ძაღლს?

- ა) ბუჩო;
- ბ) ცუგა;
- გ) ყურშა.

7. რომელია ის ხე, რომელზეც ამბობენ, რომ მეხი არ ეცემაო?

- ა) დაფნა;
- ბ) ბზა;
- გ) კაკლის ხე.

8. რომელი ესპანელი მხატვრის ნამუშევარია 1660 წელს შესრულებული „მწყემსი კეთილი“ (პრადოს მუზეუმის ტილოებს შორის)?

- ა) ბარტოლომე მურილიოს;
- ბ) დიეგო ველასკესის;
- გ) ფრანცისკო გოიას.





ნონა გიორგაძე

"ჯეიმ სელინჯერის ჩემთვის საოცრად ახლობელი და საყვარელი პეისონაჟის, ჰოდენ კოდერდის მსგავსად მეც დიდად ახ მსიამოვნებს ხოლმე საკეთილ აზრებზე საუბარი..."

უხალღო, ვთვლი, რომ ლიტერატურა ჩემი ბედისწევაა... ამ უცნაურ, ხელოვანისთვის საკმაოდ დამთავრებულ ეპოქაში მასზე ვახ მინდობილი... ლიტერატურით ვცხოვრობ.

ღია... ლიტერატურა ჩემი თავშესაფარია, ჩემი განცდების... ფიქლების... სუნთქვის საიმედო თავშესაფარი", - გვითხარა საუბარში პუბლიკაციის ავტორმა, თსუ-ს ასოცირებული პროფესორმა, ჰოეტმა ნონა გიორგაძემ.

თავისი ღია წეხილით, გუდახილი მოწოდებით თხოვს და ამუნათებს შვილსა და მის თანატოლებს: "დაიბრუნე ის, ხაც შენია, ხაც შენ გეკუთვნის..."

ღია წერიდი ჩემს შვილსა და მის თანატოლებს

ნონა გიორგაძე

თუ ქართველი ხარ, გაზაფხულივით აყვავდი ხნულში, შემოსე მწვანით მდელოები, ჩაუსახლდი კვირტში აპრილებს, ნაწვიმარ ცაზე ცისარტყელას ფერებად იბრწყინე, წვიმასავით ჩამოჰყვევი ღრუბლებს და დამშრალ მიწას დაუნამე ფეხისგულეები.

მიდი, დაბრუნდი ბავშვობაში და სიხარულით თვალებანთებულმა სდიე ეზოში ციციანათლებს.

თუ ქართველი ხარ, სიცოცხლეზე არ თქვა უარი!

თუ ქართველი ხარ, შენი სისხლი დაგებმარება, იმოდროა ქართული რიტმით; აღზარდე შენში გულწრფელობა; გამოიხმე წარსულის სიშორიდან ბავშვობის ტკბილი მოგონებები.

გამუდმებით აგროვე ფიჩხი სიკეთისა.

თუ ქართველი ხარ, იცხოვრე ქართულად; წერე...

იმეტყველე ქართულად!..

დაიცავი და უკიდევანოდ გიყვარდეს შენი სამშობლო, რომელიც დღესდღეობით სულაც არ არის უკიდევანოდ, თუნდაც, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გადაჭიმული!

დაიცავი ის, რაც გაქვს!..

დაიბრუნე ის, რაც წაგართვეს!..

არანაკლებ უჭირს მას დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, ვიდრე ოდესმე, ანუ ჩავლილ ბედუკუდმართ საუკუნეებში უჭირდა.

„ქართლის ჭირსა ვერავინ

მოსთვლისო“... „ენამჭევრი“ დღესაც

ბევრია, „ბრძენობისა“ რა მოგახსენო?!

„აი-ია“-ში დაიწყე და ნურც

დაამთავრებ, მარადიულად იარსებე „აი-ია“-ში!

ჰოე – სასრულია;

„აი-ია“-თი დაწყებული

საქმის ზოგადი

სასრული.



ჰოე – ხანგრძლივია, უსასრულოა, როგორც სამყარო; არ მოგატყუოს, არ მიგინდოს მისმა რიგითობამ, ბოლო ადგილმა ანბანში –
ოცდამეცამეტემ.

გიფიქრია ამაზე?! ჯერ, ალბათ, არა... მე კი ნიადაგ
ვფიქრობ, ვფიქრობ: ნუთუ უბრალო დამთხვევაა ქრისტეს
ასაკთან?!

ვერ ვიჯერებ! შენ?..

სიმართლე ისაა, რომ განსაკუთრებული
ერის შვილები ვართ. დიახაც, ერთადერთია
ჩვენი სამშობლო, ჩვენი წალკოტი, უკიდევანო
სამყაროს თვალსაწიერში განფენილი.

დიახაც, ჩვენ დავასწარით მთელ
მსოფლიოს, გვრქმეოდა „ცივილიზაციის
აკვანი!“

დიახ, ჩვენ ჩავიკარით გულში
უფლის კვართი!

ეს კვართია, რომ აძლევს
ძალას ჩვენს საბრალო სამშობლოს –
არსებობისას!

ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის
შვილობაც გვერგო... და ნაცვლად იმისა,
ზღაპრული ციკლოპივით თვალფხიზელნი
ვყოფილიყავით, „სულ ძილი... ძილი!“

თუ ქართველი ხარ, ესაა შენი იდენტობის
მკაცრი დასტური!

„როსლა გვეღირსოს?!“-ო, – იკითხა ერის მამამ.

კიდევ ბევრი სასიკეთო, სასიქადულო და
საშვილიშვილო საქმენი ქმნა; თუმცა, „როგორ გაგვიბედე
ამის კითხვაო“ და სულმჭლე ქართველობამ დაგვარისხა
„უფლის ზარტეხილი“ – წინამური!

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო!..“

ა რ ა ს დ ი დ ე ბ ი თ !..

ჩვენაო, აი, ასეთი გეოგრაფიული მდებარეობა გვაქვსო...

ესაო... ისაო...

პურისა და ერთმანეთის ჭამაო...

თქვლეფაო...

ჯანდაბა და დოზანაო...

„იპოვნეთ თუ ათნი? და თქუა: არა წარვწყმიდო ათათავის

(დაბ. 18.32).

სოდომს მისი შემოგარენით ათი მართლისათვის დაინდობდა ღმერთი, თუკი
ისინი ქალაქში აღმოჩნდებოდნენ.

...იპოვა?... ვერა!

...იპოვის?..

???

იოანე ოქროპირმა ბრძანა, სამი რამ გამაკვირვებსო:

როცა მოვკვდები, სამოთხეში რომ მოვხვდე;

ვისაც არ ველოდები, ისინი იქ რომ დამხვდნენ

და – ვისაც ველოდები, პირიქით, არაო...

რად ავიკვირებ ბოლო დროს ოქროპირისეული
გაკვირვების ეს სამი სტრიქონი?!

თუ ქართველი ხარ, ყველაზე

ნიშანდობლივი პოეზიით

დასნეულებაა...



თუ ქართველი ხარ, აუცილებლად იქნები პოეტი... ან დანერ... ან გადაიწერ... ან... ან... ან... (ნამდვილი პოეტები დიდი მოხერხებით არ გამოირჩევიან).

თუ ქართველი ხარ, აუცილებლად ისწავლე შენი ერის შეუღამაზებელი ისტორია, დაიცავი ქართული ტრადიციები, იყავი ღირსეული ქრისტიანი! იყავი მართალი ადამიანი... აირჩიე ჩაგრულისა და არა მჩაგვრელის მხარე.

თუ ქართველი ხარ, ბუნებრივია, გეცოდინება, თუ როგორ თვალწარმტაც ქვეყანაში გაჩნდი. ნუ იქნები უმაღური. საყვედურებს ნუ დააყრი უფალს: „მანცდამაიცი აქ რატომ, სხვა ქვეყანაში რად არაო?!“ ნურც სამშობლოს აავსებ საყვედურებით (თავისი გასჭირვებია ჩვენს უნიათო ხელში ჩავარდნილს).

ჩემი და საკუთარი თვალების თუ არ გჯერა, გალაკტიონს დაუჯერე: „შეხედე, რა ცაა“, ანას: „სხვა საქართველო სად არის?!“ ვაჟას მაინც მოუსმინე: „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“-ო... დასაჯერებლისა და თავმოსაწონებელი წინაპრების მთელი კოჰორტა ბრწყინავს. მთავარია, გულისთვალი შეავლო მათ... დამიჯერე, უკეთესი და უკეთესად გახდები!

თუ ქართველი ხარ, მე, როგორც ქართველი დედა, გლოცავ და გამუნათებ. ნურც ერთ ნაბიჯს ნუ გადადგამ უფლის შემწეობის გარეშე: დაე, შენს ბაგეებსა და შენს გულში დაივანოს ლოცვის მადლმა, ლოცვის ამო სურნელებამ.

გახსოვდეს: თუ ქართველი ხარ, გენებით გადმოგეცა საუკეთესო, თუ რამ არსებობს ადამიანში ადამიანური. ათას საცდურს შემოგთავაზებს ცხოვრება, შენ კი ადექი და თავაზიანად უთხარი მას ათასი უარი!..

მე შენი მჯერა... იმიტომ, რომ შენ ქართველი ხარ... შენ შეძლებ იმას, რაც, სამწუხაროდ, მე ვერ შევძელი, ჩვენ ვერ შევძელით და ახლა სასონარკვეთილნი მივჩერებივართ აფხაზეთის სევდიან ცარგვალს.

ახლა კი... უარი სასონარკვეთას და უკეთეს ამბებზე ვისაუბროთ:

გვყავდა მერაბი...

გვყავდა ზვიადი...

ჩემი ერის მწუხარე ბედისწერა ყველა დროში შობს რაინდებს!

თქვენც გყავთ თქვენი გმირები...

შეუდრეკელი ქართველები!..

და მიხარია, რომ ერთმანეთს შევხვდით...

„ყოველი საიდუმლო ენასა ამას შინა დამარხულ არს“-ო...

გულისყურით უსმინეთ ასომთავრულის გამაოგნებელ სიმფონიას, მრავალხმიან ქართულ გალობას; ჩიტების ჭიკჭიკს, დედის ტკბილ, განუმეორებელ იავნანას, ზღვის შრიალს; დაესწართ აის-დაისის უკვდავ რიტუალს, ელოდეთ მერცხლების დაბრუნებას...

თუ ქართველი ხარ, არ გამიცრუო იმედები...

თუ ქართველი ხარ, გაფიცებ ქართველობას, არ დაუძახო „ბაბაია“ ოკუპანტს, არ შეეგუო მის მზაკვრულ ჩანაფიქრს და ჩემსავით, ჩვენსავით მარტო კი არ გახსოვდეს და მარტო კი არ გიყვარდეს... და მარტო კი არ დარდობდე – დაიბრუნე, ის, რაც შენია...

რაც შენ გეკუთვნის...

დაიბრუნე სამაჩაბლო! დაიბრუნე აფხაზეთი!

თუ ქართველი ხარ!

რა თქმა უნდა, ქართველები ვართ!

აბა, დროებით – მთავარ შეხვედრამდე!..





განსხვავებული ხმის ჰოჯის - თინათინ მღვდლიაშვილის ეხოვნელი წილიდან აღმოცენებული შემოქმედება გამოჩენისთანავე შეიყვანა ქართველმა მკითხველმა. მისი ლექსი "ძინა ოფედას"* ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს პეიზაჟში, 1993 წელსაა დაწერილი.

ჰოჯი ლოცავს და ეფეხება საქართველოს უდამაზეს კეთხეს - სამეგჩელოს. ლექსს ხეფენად გასდევს "ძინა ოფედას", ხაც კიდევ უფხო კეთილხმოვანსა და მშობლიუხს ხლის მას. გვიჩვენებს შთაბეჭდილება, თითქოს მის გულზე, ეს-ესაა, ახ გადაიხა სამოქალაქო ომის ქაჩ-ყეცხლმა, თითქოს აჩუ აფხაზეთის ომი მძვინვარეხებს ენგუხს გაღმა. თითქოს და მხოლოდ სადღესასწაულო აღტყინებით დაწეილ სტეიქონებს ვკითხულობთ, მაგჩამ ერთი სიყვავა მანც გასცემს შემოქმედის შინაგან ფოხიას: "და მენატრები, სამეგჩელოვ, და მენანები".

ღიას, თინათინ მღვდლიაშვილი შესანიშნავად გიძნობს სამეგჩელოს ტყვილს და ენანება იგი ამ განსაცდელისთვის. "ძინა ოფედას" სწოხედ ხომ დხოუდად ნათქვამი, ზუსტად მიგნებული სიყვავა.

ლექსმა დხოს გაუძლოს, ამაშია მისი ძალა: თანაც, ისევ და ისევ საქიხოა, გვესმოდეს ქვეყნისთვის გულიანი შემოდახილი: "ძინა ოფედას!"



თინათინ მღვდლიაშვილი

ძინა ოფედას, სამეგრელოვ!

თინათინ მღვდლიაშვილი

ძინა ოფედას, სამეგრელოვ, ძინა ოფედას!
შენს ტკბილ უბეში, ოჯახებში – ძინა ოფედას!
რარიგ მოღელღავს, სახეირო, რარიგ მოღელღავს,
შენს თბილ ბაგიდან საოცარი – ძინა ოფედას!

საბედინოს აღბათ აწვიმს ლურჯი წვიმები
და მფარველობენ ანაკლიას ქერუბიმები,
აღბათ, ოდიში მბრძანებლობენ თეთრი ნისლები,
და ჯიხაშკართან ჩამომსხდარან სერაფიმები.

ო, მენატრები, სამეგრელოვ, ო, მენატრები
და ჩემს ლექსებში ლოცულობენ თეთრი ატმები,
თეთრი ატმები ირხევიან, როგორც ფარდები
და მენატრები, სამეგრელოვ, და მენანები!

ძინა ოფედას, სამეგრელოვ, ძინა ოფედას!
შენს სამზუოში, სალოცავში – ძინა ოფედას!
რარიგ მოღელღავს, სახეირო, რარიგ მოღელღავს
ჩემი გულიდან საოცარი – ძინა ოფედას!

1993 წ. ვარდობისთვე



* – მატება იყოს (მეგრ.).



არაბავშვურად დიდი ნაბიჯებით



სოფია ჭელიძე

სოფია ჭელიძე დაიბადა 2003 წელს, მოსკოვში, მანანა ბულისკერიასა და ზაზა ჭელიძის აფხაზეთიდან დევნილ ოჯახში. 3 წლის იყო გოგონა, როდესაც ჭელიძეების ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. დაახლოებით ამ ასაკიდან შეატყო დედამ ცეკვისადმი სოფიას მიდრეკილება; 4 წლის პატარა გოგონა ასე ჩაირიცხა „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაში.

ქორეოგრაფმა მალევე უჩრია მშობლებს, ბავშვი სპორტული ცეკვების პროფესიულ სტუდიაში გადაეყვანათ. ასეც მოიქცნენ და 7 წლიდან სოფია ჭელიძე უკვე სპორტულ-სამეჯლისო ცეკვების აკადემია „თელას“ მოსწავლეა (სტუდიის ხელმძღვანელები – ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები, პედაგოგები – საქართველოს მოქმედი ჩემპიონები – კარინა ლისენკო და რატი გაჩეჩილაძე).

მონესრიგებული, შრომისმოყვარე და ენერგიული სოფია მალევე გახდა მასწავლებლების ფავორიტი. ქორეოგრაფებმა ბავშვში იმთავითვე „ამოიკითხეს“ გამორჩეული პლასტიკურობისა და მოცეკვავისათვის შესაშური მონაცემები. პედაგოგები ხშირად აგულიანებდნენ კიდევ სოფიას – მომავალი ჩემპიონი იზრდებო!

მართლაც, 2013 წლიდან მოყოლებული 2018 წლის ჩათვლით, სოფია 6-ჯერ გახდა „კავკასიის თასის“ მფლობელი, საქართველოს 6-გზის ჩემპიონი; იგი, ასევე, არის ბევრი სარეიტინგო კონკურსის გამარჯვებულიც. 2018 წლის 1 ივლისს სოფია ჭელიძე გახდა ჩემპიონატ „ბათუმი-2018“-ის მთავარი პრიზიორი.

15 წლის სოფია ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკის“ X კლასის წარჩინებული მოსწავლეა. იგი სრული ათოსანია. განსაკუთრებით უყვარს უცხო ენები. ინგლისურ და რუსულ ენებთან ერთად ეუფლება იაპონურსაც.

სოფია თბილი, მოსიყვარულე, თავმდაბალი გოგონაა. ერთი შეხედვით, მორცხვი ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ, საკმარისია, ის გაიცნოთ საცეკვაო მოედანზე, ირწმუნებთ შემსრულებლის განსაკუთრებულობას. ნიჭიერი საკუთარ შესაძლებლობებს ხშირად სხვადასხვა სფეროში ავლენს. ასეა სოფიაც: იგი მღერის და ხატავს შესანიშნავად.

ამ გოგონას სახით წარმატებული შემოქმედი რომ გვეზრდება, თავისთავად ცხადია. დღესდღეობით კი ყურნალი „იალქანი“ მიესალმება საქართველოსა და კავკასიის 6-გზის ჩემპიონს და არაბავშვურად დიდი ნაბიჯებით წინსვლას უსურვებს ხელოვნების რთულ გზაზე.

ქართველი ზიჟუნას ავსტრიული ამბავი



დავით გოგოლაშვილი

მოდით, გავიცნოთ 8 წლის დავით (დათუნა) გოგოლაშვილი, ასაკის მიუხედავად, საკუთარ „მე“-სა და სურვილებში ლალი, არაორდინალური, ბიჭუნა, რომელმაც 3 წლის ასაკში ყვავილები იმიტომ დახატა, ქეთა ბებო რომ თაიგულით გაეხარებინა.

დასმულ კითხვაზე ის „თავისი“ პასუხებითაც დაგამახსოვრებინებს თავს:

– დათუნა, ერთ ნახატზე ანგელოზს შენ მკლავები გაუშალე, მეორეზე კი ის ხელებდაშვებულია. რატომ?

– როცა დედამინაზე ცუდი რალაცეები ხდება, ეს ანგელოზს არ მოსწონს და ხელებსაც არ შლის!

როგორც ყველა ნიჭიერი, დათუნა მუდმივად ეძებს და „პოულობს“ ზუსტად იმას, რამაც, შეიძლება, გაახალისოს, დააინტერესოს.

ძალიან პატარა იყო, ჰოკეისტების ჩაცმულობაში ნითელმა ფერებმა რომ აღაფრთოვანა და ამის გამო 2 წელი ჰოკეისტი „გახდა“; დღეს დადის ფეხბურთზე (მესი დათუნას უსაყვარლესი ფეხბურთელია), ცურვაზე, ახალისებს გიტარის გაკვეთილები (მონანლიეობს სასკოლო კონცერტებში), განსაკუთრებით, გატაცებულია საციგურაო და სათხილამურო სპორტით: კალიფორნიაში დაბადებული სკეიტბორდითა და სლალომით.

სლალომში შეჯიბრების დაწყებამდე (6-დან 12-წლამდე ასაკის მოზარდებს შორის) მწვრთნელს უთხრა, დიდების ტრასიდან დავეშვებო. მაშინ, 2017 წელს, 12 წლის ზევით აღსაზრდელებს შორის ჩემპიონატზე 7 წლის დათუნამ პირველი ადგილი დაიკავა, წელს კი (იგივე დისტანციიდან) მეორე ადგილს დაჯერდა.

მოსკოვში დაბადებული დათუნა გოგოლაშვილი დღეს მშობლებთან ერთად ცხოვრობს და სწავლობს ვენაში (მამა – თეიმურაზ გოგოლაშვილი ავსტრიაში გაეროს პროტოკოლის უფროსია); ლაპარაკობს



ქართულად, რუსულად, ინგლისურად და გერმანულად (დათუნას დედა მოსკოველია, ეროვნებით რუსი; მშობლიური ენა რომ არ დავიწყებოდა, მშობლების გადანყვეტილებით, ბავშვის ძიძა თბილისიდან ნაიყვანეს); აქვს აბსოლუტური სმენა და გალობს ვენის ქართულ ეკლესიაში.

ზაფხულის არდადეგებს საქართველოში, როგორც ხშირად იმეორებს დათუნა, „ხაჭაპურების ქვეყანაში“ ატარებს, იქ, სადაც ბებო ელოდება. აი, რა გვითხრა დათუნას შესახებ ქეთა ბებომ:

– ბუნებით ნამდვილი ქართველია, ლიდერი, დაუმორჩილებელი, მაგრამ სამართლიანი (ისე მარტო მამის ერიდება); ამასთან, თბილი, კომუნიკაბელური, მეგობრული; ძალიან არტისტიულიც (უყვარს სარკის წინ შლაპებით პოზირება, ცეკვა). უყვარს ფულის შეგროვებაც და დახარჯვაც (არ მოგეშვება, სანამ მათხოვრისთვის ფულს არ მიგაცემინებს); საქმეებიდან, შეიძლება ითქვას, „გიჟდება“ მჭადზე, ღომზე, ჯონჯოლზე, „ტყემალზე“, საცივზე, ხინკალზე და, რა თქმა უნდა, ხაჭაპურზე. ყველა ბავშვივით, ისიც ცელქია; თუ დააშავა და ამისთვის დაისაჯა (არ დასვავენ აიპედთან ან პლანშეტთან; „ამ სიამოვნებისთვის“ ისედაც დღეში მხოლოდ ერთი საათი აქვს გამოყოფილი), ბოდმსაც მოიხდის და გულახდილად გეტყვის, ვიცი, როცა ვაშავებ და რასაც ვაშავებ, მაგრამ სხვანაირად არ გამომდისო. ოცნებობს საქართველოში „გადმოცხოვრებაზე“. იზრდება ავსტრიაში, მაგრამ, მიხარია, რომ რჩება ქართველად!

ჩვენც ვინატროთ, რომ ქართველი ბიჭუნას ავსტრიული ამბავი გაგრძელდეს საქართველოში.



დათუნას მიერ 3 წლის ასაკში დახატული ყვავილები, ბებოს რომ აჩუქა

ოქროს „ათეულის“ პრიზიორი

უკვე 9 წელია, საქართველოში ტარდება ბავშვებისათვის ყველაზე საინტერესო და სახალისო მათემატიკური ოლიმპიადა – „ვეერესტი“, რომელშიც მონაწილეობენ სრულიად საქართველოს მოსწავლეები (მეორედან მეექვსე კლასის ჩათვლით).

დღეს ეს ყველაზე მასშტაბური საგანმანათლებლო კონკურსი 2014 წლიდან უკვე საშუალებას აძლევს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში მცხოვრებ მოზარდებსაც, გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და შესაძლებლობა.

ჩვენი ჟურნალი რუბრიკით „წარმატებული ნინველები“ მიესალმება და მკითხველს წარუდგენს გალის რაიონის სოფელ თავილონში მცხოვრებ, 2006 წელს დაბადებულ, VII-კლასელ წარჩინებულ მოსწავლეს – მიშიკო (მიშიკო) შარიას.

მიშიკო იზრდება და სწავლობს აფხაზეთში, ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის სკოლაში, იქ, სადაც დღეს ყველაზე მეტად უჭირს ქართულ სიტყვასა და ენას; აქვეა შლაგბაუმით გაყოფილი გაღმა-გამოღმა ნაპირი, მაგრამ შორია გზა აფხაზეთამდე.

ამიტომაც, განსაკუთრებულად გვეამაყება, როცა თავისი წარმატებებით გვახარებენ გალელი მოსწავლეები.

როგორც აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს გალის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა – ქალბატონმა ნონა შონიამ გვითხრა, ჯერ კიდევ III კლასის მოსწავლე იყო მიშიკო, როცა მოხვდა „ვეერესტის“ ვერცხლის გამარჯვებულთა „ათეულში“ (მაშინ აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა – ვახტანგ ყოლბაიამ იგი პლანშეტით დააჯილდოვა); მიმდინარე წელს კი მიშიკო ამ მათემატიკური ტურის საუკეთესო ოქროს „ათეულთა“ შორის აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ ოკუპირებული ტერიტორიის ყველა სკოლიდან ფინალში 50-მდე მოსწავლე გადავიდა; ასე ვთქვათ, „ოქროს პრიზიორობა“ კი თავისი მაღალი მონაცემებით წილად ერგო მხოლოდ მიშიკო შარიას.

ზოგადად, ყველა მოზარდვით, მიშიკოც გატაცებულია სპორტით; ბუნებით მშვიდი თავმდაბალია, მეგობრულია, კონტაქტური. ძალიან უყვარს შემეცნებით-მხატვრული და სამეცნიერო ნიგნების კითხვა.

ნიგნებსა და სახელმძღვანელოებში ზოგჯერ კოსმოსის, ზოგჯერაც გენეტიკის გამოუცნობი სამყარო მიტაცებს, მაინტერესებს. ვოცნებობ, ავხსნა ბევრი რამ. ამიტომაც, მათემატიკის გარდა, ჩემი საყვარელი საგნებია ქიმია და ბიოლოგია, – გვითხრა მიშიკო შარიამ.

„ილქნით“ ხელში სიამოვნებით ჩავაკითხავდით მიშიკოს მშობლიურ სკოლაში და დავესწრებოდით სასკოლო ცხრილში კვირაში მხოლოდ ერთხელ „ჩანიშნულ“ ქართულის გაკვეთილს; წარმატებებს მივულოცავდით თავილონის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგესაც, მათემატიკის მასწავლებელს, მიშიკოს მამას – თორნიკე შარიასაც.



მიშიკო შარია



ნანა ქარდავა

ამ პუბლიკაციით უქნალი "იარაღი" ამვიძვრებს ყიდევ ერთ ახალ ხუბიკას: "ჩვენი სახით გვახები". მას ქიხთბაიების მცირეხიციხოვან საგვახეულოზე წეხილით ვინყებთ.

მწეხალი და პუბლიცისტი ნანა ქაჩდავა, ხომელსაც ახლახან მიენიჭა გიოიგი შაჩვაშიძის სახელობის სახელმწიფო პეშია, გვიყვება თავის წინაპეებზე, ხომლებიც აფხაზეთის განათლებისა და ჯანმთეულობის დაჩეების ჩამოყალიბების სათავეებთან იღგენ; იხსენებს, მოგვაჩე აფხაზე ნათესავებთან უთიუთობას და იმედს გამოთქვამს, ხომ ეს ყველაფეხი მხოლოდ წახსულში ახ დაჩეება... ხომ ყიდევ გააჩნათ გვახთმოსაყეებებს ("გვახთმოსაყეეხ" - ასე ჰქვია ნანა ქაჩდავას საგას, ხომლის პეზეუნტაცია ამ ცოტა ხნის წინათ შედგა) უთმანეთის გელებისაყენ სავალი გზების ძიების სეხვილიცა და შესაძლებლობაც.

ჩვენი ხედაქცია სიამოვნებით მოისმენს აფხაზე-ქახთელი გვახების სხვა ისტოიებისაყ.

ქირთბაიები

ნანა ქარდავა

ლამაზი ლეგენა

ქირთბაიები საქართველოს სამ რეგიონში მკვიდრობენ: სოფელ ლიხნში (გუდაუთის რაიონი), სოფელ ოტობაიასა (გალის რაიონი) და ქალაქ ფოთში. ვინაიდან გვარი მცირერიცხოვანია, ქირთბაიები ერთმანეთს სისხლისმიერ ნათესავებად მიიჩნევენ. ლიხნში მცხოვრები ქირთბაიები აფხაზები არიან, ხოლო სამურზაყანოელები – ქართველები. მე სამურზაყანოელი ქირთბაიების შთამომავალი ვარ.

ქირთბაიები აზნაურები არიან. ამას მოწმობს ჩემი ბაბუას მამის, სახალხო განმანათლებლის – ნესტორ ქირთბაიას ნათლობის მოწმობა, გაცემული 1877 წელს; საბუთში ეს გვარი მოხსენიებულია, როგორც „Дворянин“, რასაც ადასტურებს რუსეთის იმპერიის ბეჭედი.

„ქირთბაიას“ აფხაზეური გააზრება საშუალებას გვაძლევს, ქართულად გადავთარგმნოთ ეს გვარი: „ქირთბაია“ ნიშნავს ქართველის შვილს; ანუ „აქირთუა“ იგივე „ქართველია“, „აბაია“ – შვილი.

ამაზე გვარის ლეგენდაც გვიამბობს:

მდიდარ აფხაზე თავად ინალ-იფას შვილი არ ეძლეოდა და ამიტომ, აღმოსავლეთ საქართველოდან ჩამოაყვანინა ლამაზი, შავტუხა ბიჭუნა. მალე საკუთარი ვაჟიც მისცემია და მამას უფროსი, ნაშვილევი პირმშოსათვის მანამდე არარსებული „ქირთბაია“ მიუცია გვარად; ალბათ, იმის არდასაზინყებლად, რომ ქართველისგან იშვილა.

ეს ამბავი ხდებოდა გუდაუთაში, XVIII ს.-ის დასაწყისში. ამდენად, იქ მცხოვრები ქირთბაიები აფხაზები არიან.

აფხაზის ქართულენოვანი ეპიტაფია

სამურზაყანოელი და გუდაუთელი ქირთბაიები XX ს.-ის 80-იან წლებამდე ყოველმხრივ ავლენდნენ ერთმანეთის მიმართ პატივისცემას, ქორწილებსა თუ ძეობებში არ ლალატობდნენ ნათესაობის ადათს, ერთმანეთს ატყობინებდნენ ახლობელთა გარდაცვალებას.

ძალიან კარგად მახსოვს, ძაძით შემოსილი ქირთბაიები ზარითა და მოთქმით რომ ჩამოდიოდნენ ოტობაიაში, რომელიმე ქართველი ქირთბაიას დაკრძალვაზე. პირიქითაც ხდებოდა: ნათესავი აფხაზი ქირთბაიას გარდაცვალების ამბავს რომ შეიტყობდნენ, ქართველი ქირთბაიები ქირაობდნენ ავტობუსს და დიდ-პატარიანად მიემგზავრებოდნენ ლიხნში, დაკრძალვაზე. ლიხნის ეკლესიის უკან მდებარე სასაფლაოზე, ერთი მხარე, მთლიანად ქირთბაიებისად ყოფილა მიჩნეული.

სწორედ იმ საგვარეულო სასაფლაოზე იხილა დეიდაჩემმა, ექიმმა ლეილა ქირთბაიამ აფხაზი ტაგუ ბალხუხის ძე ქირთბაიას უძველესი, ქართულენოვანი ეპიტაფია, 1864 წლით დათარიღებული.

დეიდაჩემი ყვებოდა: ჩვენი აფხაზი ნათესავები ველარ კითხულობდნენ ქართულ ენაზე წარწერას და ამიტომაც იქ საგანგებოდ მე მიმიყვანეს. „ის, რაც ჩემი თვალით ვიხილე, ყოველგვარ ფანტაზიას აღემატებოდა. ჩვენ ვიდექით მოწუმენტური, რელიეფურად გამოყვანილი ულამაზესი ქართული ასოებით მოჩუქურთმებული ეპიტაფიითა და მშვენიერი ვაზის ორნამენტებით დამშვენებული საფლავის ქვის წინაშე. აფხაზი ტაგუ ქირთბაიას საძვალე საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგაც წუნდაუდებელი ქართულით ლაღადებდა:



ჩემი ბაბუას მამის – ნესტორ ქირთბაიას ნათლობის ცნობა, გაცემული 1877 წელს



„საფლავსა ამას შინა ვარ მდებარე,
 ნუთუ იყოთ ვინმე ჩემი მცნობარე.
 ზემან ჩემმან დღე ვერ ნახა მნათებარე,
 ცოლ-შვილისა ოხრად დამათმობარე.
 ტაგუ ბალხუხის ძე ვიყავ მხმობარე,
 გვარად ქირთბაია, შარვაშის ძის მხლებარე.
 შობვიდან ორმოცი წლისა და ან მინად მგებარე,
 გევედრებით, ღმერთს მავედროთ, სამოთხეს მკვიდრობარე“.



ჩემი ბაბუას – შოთა ქირთბაიას მშობლები: ლენა და ნესტორ ქირთბაიები

დედაჩემი ამბობდა, აფხაზმა ნათესავეებმა მთხოვეს, მათთვის გასაგებ რუსულ ენაზე მეთარგმნა წარწერა; „ვეცადე, მეთარგმნა სიტყვები, მაგრამ მხოლოდ სიტყვებით როგორ გადმომეცა გრძნობათა პალიტრა, სიამაყე და დიდებულება, რომლებიც ამ სიტყვებმა განმაცდევინა“.*

როგორც საფლავის ეპიტაფია გვამცნობს, აფხაზი ქირთბაია „შარაშის ძის მხლებარე“ ყოფილა. მართლაც, ტაგუ ბალხუხის ძე ქირთბაია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის – მიხეილ შარვაშიძის მოურავი და მარჯვენა ხელი იყო.

1864 წლით დათარიღებული საფლავი მადლევს იმის ვარაუდის უფლებას, რომ აღვნიშნო: ჩემი წინაპარი – ტაგუ ქირთბაია მიხეილ შარვაშიძის გადასახლების დროსაა დაღუპული. შეიძლება, აჯანყების მონაწილეც იყო და მაშინ დაიღუპა „ორმოცი წლისა“, როგორც ეპიტაფია გვაუწყებს.**

ერთი რამის თქმა კი ეჭვს გარეშეა შესაძლებელი – ტაგუ ქირთბაიას აფხაზეთის მთავარი ძალიან ენდობოდა. იგივეს მოწმობს მიხეილ შარვაშიძის მიერ მეუღლისადმი – ალექსანდრა დადიანისადმი გაგზავნილი ერთი წერილი, სადაც ის ტაგუ ქირთბაიას შეფარვით, დაშიფრულად ახსენებს:

„საყვარელო ალექსანდრა! გრიგოლ შარვაშიძე და ქირთ. ტაგუ გამომიგზავნია ვითომც შენი და ბავშვების წამოსაყვანად“.

ეს წერილი 1855 წლის 18 მაისითაა დათარიღებული. ამ პერიოდისათვის ტაგუ ქირთბაია 30 წლისა იქნებოდა. სწორედ ის გაგზავნა მთავარმა მეუღლესთან მნიშვნელოვანი დანაბარებით.

შემდეგში ეს წერილი მაშინდელი საზოგადოებისათვის კვლევისა და შესწავლის საგანი გახდა. საქმე ისაა, რომ დიმიტრი ყიფიანი მეფისნაცვალმა – მურავიოვმა საგანგებოდ მიავლინა სამეგრელოში, ალექსანდრა დადიანის დასაკითხად. მთავრის ცოლმა არაფრით დასაახელა „ქირთ. ტაგუს“ ვინაობა. დიმიტრი ყიფიანმა რუსულად გადათარგმნა წერილი და „Кыртагы“ ერთ სიტყვად მოიხსენია. სიმონ ჯანაშიამაც შეისწავლა ეს წერილი და თავის ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომში „გიორგი შარვაშიძე“ დანერა: „ვერ დავადგინე „ქირთ. ტაგუს“ ვინაობა“.

თავს უფლებას ვაძლევ, აღვნიშნო: დავადგინე ამ პიროვნების ვინაობა და სრულიად დარწმუნებული ვაცხადებ – მიხეილ შარვაშიძის მიერ წერილში შეფარვით ნახსენები „ქირთ. ტაგუ“ არის ჩემი ბაბუის ბაბუის ბაბუა – ტაგუ ბალხუხის ძე ქირთბაია.

დედაჩემმა – ლეილა ქირთბაიამ უხუცეს ქირთბაიებთან გასაუბრებით შეადგინა ტაგუს სამურზაყანოელ ჩამომავალთა გენეალოგია, რომელიც, ან უკვე რელიკვიად ქცეული, ჩემთან ინახება.

ქასუხი იანოვსკის

საკუთარ არქივში დაცული უძველესი ფოტოებიდან ქირთბაიათა ლამაზი, ამაყი და ღირსეული სახეები შემომცქერიან. ყველაზე ძველი ფოტო 1880-იან წლებშია გადაღებული, ფოტოგრაფ ბაბალოვის მიერ მასზე ჩემი ბაბუას ბებიას მამა – დათა ცხადაიაა გამოსახული; ხოლო ქირთბაიათაგან ჩემი ბაბუას მამის – ნესტორ ქირთბაიას ფოტოა უძველესი.

ნესტორ ბახვას ძე ქირთბაია, 1877 წელს დაბადებული, იყო სახალხო განმანათლებელი, დამსახურებული პედაგოგი, რომლის სახელსაც უკავშირდება სამურზაყანოს სამ სოფელში (!) სკოლის აგება და დაარსება. ეს სოფლებია: ნაბაკევი, ხიტუ მუხური და ოტობაია.

ყოველივე ეს აღწერილი აქვს მის ქალიშვილს, საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს – ალექსანდრა ნესტორის ასულ ქირთბაიას. მეც მის მოგონებას დავეყრდნობი:

„სოფლის სამამასახლისო არ იძლეოდა სოფელში სკოლის აგების უფლებას. ნესტორ ქირთბაია და სოფლის მონინავე იდეების მატარებელი ადამიანი, განათლებული მემამულე – პეტრე ანჩაბაძე გაერთიანდნენ საერთო საზრუნავის გარშემო. შრომამ და მონდომებამ ნაყოფი გამოიღო და ოტობაიელი გლეხების დახმარებითა და პეტრე ანჩაბაძის მხარდაჭერით 1898 წელს ნესტორ ქირთბაიამ ოტობაიაში ააშენა სასკოლო შენობა“.



ბაბუაჩემი – შოთა ქირთბაია და მისი დები, ნუცა და ალექსანდრა

* – ორივე ეს ფრაგმენტი ლეილა ქირთბაიას საგაზეთო სტატიიდანაა – „საბჭოთა აფხაზეთი“, 1998 წ.

** – აფხაზეთში აჯანყება მოხდა 1864 წელს; მიხეილ შარვაშიძეც მაშინ გადაასახლეს რუსეთში.



ბაბუაჩემის ბაბუა, მღვდელი სამსონ თოდუა და ბაბუას მამა, სახალხო განმანათლებელი – ნესტორ ქირთბაია

მანამდე სასწავლებელი გლეხთა ბავშვებისათვის სწორედ პეტრე ანჩაბაძის სახლში ყოფილა გახსნილი.

ნესტორ ქირთბაია თავისივე დაარსებული სკოლის დირექტორი იყო წლების განმავლობაში. მას მხარში ედგა ღირსეული მეუღლე, ასევე, პედაგოგი ლენა თოდუა-ქირთბაია. ისინი ასწავლიდნენ თითქმის ყველა საგანს.

მეფის რუსეთმა აკრძალა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება (ღმერთო! როგორ მეორდება ისტორია საუკუნის შემდეგაც!).

განათლების ინსპექტორი, ქართველთმოდულე იანოვსკი სწვევია ერთხელ ოტობაიის სკოლას და ცხრილში ქართული ენის საათები აღმოუჩენია. გაავებულა და გაცოფებულა ინსპექტორი, როგორ ბედავთ ქართულის სწავლებასო.

ჩემს საამაყო წინაპარს, ნესტორ ქირთბაიას ჩვეული სიდიდჯით უთქვამს: – მშობლიური ენა თუ არ შეიყვარა მოზარდმა, სხვა ენას როგორღა ისწავლის და შეიყვარებს?!

ნესტორ ქირთბაია 1944 წელს გარდაიცვალა, მაშინ, როცა უთხრეს, რომ მისი ვაჟიშვილი შოთა ქირთბაია (ბაბუაჩემი) უფნებელი და სალ-სალამათი ბრუნდებოდა მეორე მსოფლიო ომიდან.

საბჭოთა პერიოდში ოტობაიის სკოლა ნესტორ ქირთბაიას სახელობის იყო. ოკუპაციის შემდეგ სკოლას კი არა, თვით ოტობაიასაც გადაარქვეს აფხაზებმა სახელი და ახლა მას „ხაშტას“ უწოდებენ.

ჩემს სახლში დაჩვენილი „ილიას ჭალი“

ახლახან პროფესორ ირაკლი გელენავას რედაქტორობით გამოიცა წიგნი „ქართული პერიოდული პრესის მასალები. 1900-1921 წ.წ.“ წიგნში ორჯერაა ნახსენები ჩემი დიდი წინაპარი (გაზეთებში „საქართველოსა“ და „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები სამურზაყანოს შესახებ).

ერთ-ერთი დაცული ცნობით, ნესტორ ქირთბაია, პეტრე ჭარაიასთან* ერთად, აურჩევიათ სამურზაყანოელ მასწავლებელთა კავშირის წევრად. მეორე ცნობით კი „სამურზაყანოს ნაწილის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად“; სხვათა შორის, ამ კრების თავმჯდომარე ყოფილა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი.**

საოჯახო გადმოცემებითაც ვიცოდი, რომ დიდ ბაბუა ნესტორს ახლო მეგობრობა აკავშირებდა თავისი დროის უგამოჩენილეს მოღვაწეებთან: დიმიტრი (არზაყან) ემუხვართან, ივანე გეგიასთან, მაქსიმე ჭოჭუასთან, ანტონ ოდიშარიასთან, პეტრე ჭარაიასთან, პეტრე ანჩაბაძესთან, ალექსანდრე შარვაშიძესთან და სხვებთან.

მაგრამ, რასაკვირველია, ჩემთვის განსაკუთრებით საამაყო მისი ახლო ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესთან. საგურამოში სტუმრად მყოფ ნესტორ ქირთბაიას ილიას კაბინეტში მოსწონებია ჭალი. ილიას მიუსწავლებია სახელოსნო, სადაც ამზადდებდნენ ამდაგვარ ჭალებს და დაუმატებია, დაამზადებინე ჩემი ზომებითო.

ნესტორ ქირთბაიამ, რა თქმა უნდა, შეუკვეთა ჭალი და შემდეგ, უკვე აწყობილი, ჩამოიტანა ოტობაიაში. გავიდა წლები, საუკუნეც... სოხუმში, ჩემი ბავშვობის უბედნიერეს სახლში, მისაღებ ოთახში გვექონდა და გვეამაყებოდა სწორედ ეს ჭალი. სხვა ოჯახურ რელიკვიებთან ერთად ისიც სოხუმში დარჩა.

ფოტო კი, ილია ჭავჭავაძის ჭალით, გადავიღე საგურამოში, მგოსნის კაბინეტში. გიდი გაკვირვებული მიყურებდა, ისე გულიანად ვიტყვი მის დანახვაზე და გადაღების უფლებაც დამართო.

ოტობაიელებმა დიდი პატივი მიაგეს ნესტორ ქირთბაიას ხსოვნას: მისი სახელობის სკოლაში ორჯერ ჩატარდა მისი იუბილე. ასევე, ოტობაიელთა დამსახურებაა, რომ ჩემს ბაბუას – საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებულ ექიმ-პროვიზორს აუხდინეს ბოლო ოცნება და თბილისში გარდაცვლილი მშობლიური ოტობაიის საძვალეს მიაბარეს.



საგურამო. ილია ჭავჭავაძის ჭალი

„მე აფხაზი ვარ...“

ჩემი საამაყო ბაბუას ხსოვნას რომ ეკადრება, ისეთი მე რა უნდა დავწერო. მაინც შევეცდები.

17 წლის განმავლობაში ბაბუა – შოთა ქირთბაია, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული პროვიზორი, ფარმაკოლოგიაში რამდენიმე საავტორო უფლების ავტორი, იყო აფხაზეთის სააფთიაქო სამმართველოს უფროსი.

მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა, იყო ტყვედაც. გერმანელებს პროფესიის გამო გადაურჩა. მდინარეების – ოდერისა და ვისლას ფორსირებისათვის მთავრობის უმაღლესი ჯილდო ჰქონდა მიღებული. სძულდა ძალმომრეობა,

* – ცნობილი ქართველი პედაგოგი, ლიტერატორი და ეთნოგრაფი.

** – სახელოვანი აფხაზი პოლიტიკოსი.



ომი, ფაშიზმი. რას იფიქრებდა, რომ კიდევ ერთხელ შეესწრებოდა ომს და აფხაზეთიდან დევნილად იქცეოდა.

შოთა (სერგო) ქირთბაიას შესახებ ბიოგრაფიული მონაცემები შესულია წიგნში „ქართველი ექიმები დიდ სამამულო ომში“ (რატომღაც მასში ბაბუა „აფხაზ ჭაბუკად“ არის მოხსენიებული).

სოხუმში, სასტუმრო „აფხაზეთი“ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაინვა. მასხოვს თვალცრემლიანი ბაბუა, გულზე ხელმიდებული რომ დაბრუნდა. ჩვენ ვაშენებდით და ესენი წვავენო, აღმოხდა შუბლშეკრულს.

...აფხაზეთის ომი მძვინვარებს. მამაჩემის „ნივით“ ვტოვებთ აღმოდებულ სოხუმს. რომელიღაც სამხედრო თუ ბანდფორმირების წევრი, ქართველი ბიჭი გვაჩერებს და პასპორტებს გვთხოვს. ჩვენ მორჩილად ვუწვდით მას პირადობის დამადასტურებელ საბუთებს. ბენდენანაკრული ბიჭი ჩვენი პასპორტებიდან აფხაზურენოვან ჩანაწერს ხევის და თან გვსაყვედურობს:

– ასეთები რომ ხართ, იმიტომ ხართ კარგ დღეში!

ბაბუაც უწვდის პასპორტს, სადაც გრაფაში „ეროვნება“ უწერია „ქართველი“ და ბიჭს ეუბნება:

– მე აფხაზი ვარ!

ჩვენ გაოგნებულები შევსცქერით ბაბუას. მეომარი ქართველი ბიჭი ჩვენზე უფრო გაკვირვებულია, არაფერს ამბობს.

მამაჩემი მანქანას ქოქავს. ვსაყვედურობთ ბაბუას, რა იყო, ახლა მოგინდა აფხაზობა?! აფხაზობისთვის მანქანისა და ბინის რიგში ბევრმა რომ გაგასწრო, მაშინ ვერ გათქმევინეთ მსგავსი რამ და ახლა რა მოხდა?! ბაბუაჩემმა ჩვეული სიდინჯით გვიპასუხა:

– არ მინდა ისეთ საქართველოში ცხოვრება, სადაც მეგრელობისა და აფხაზობის გამო კლავენ!

8 წლისა თბილისში, დევნილობაში აღესრულა. უკანასკნელად დაგვიბარა: „ჩქიმ ქიანაშა...“*

ავუხდინეთ ოცნება – გადავასვენეთ ოკუპირებულ სამშობლოში. ოტობაიის მადლიანმა მინამ მერამდენედ შეიხსნა საკინძე, რათა გულში ჩაეკრა თავისი ერთ-ერთი გამორჩეული შვილი. მე არასოდეს ვყოფილვარ ჩემი გამზრდელი ბაბუას საფლავზე.

როდემდე, ღმერთო?!

ოტობაია, იქნებ, ფესვია?!

ოტობაიის მადლიანმა მინამ ერთი წლის წინ გულში ჩაიკრა, ასევე, ქირთბაიათა საგვარეულოს კიდევ ერთი საამაყო წარმომადგენელი, პროფესორი მზია ქირთბაია. ამ წერილს სწორედ მისი მოგონებით დავასრულებ:

„ენგურს გაღმა დარჩა ჩვენი ლოცვადქცეული ოტობაია, ყველა ჩვენთაგანის სიმშვიდისა და ბედნიერების ნავთსაყუდელი.

...ნებისმიერი დარქმეული სახელი თავის თავში ატარებს განგების იდუმალებას. „ოტობაიაც“ საამო კეთილზმოვანებით გამოირჩევა და სწორედ ამით რაღაც ღვთიურს გულისხმობს თითქოს... ალბათ, ამიტომაც გვიყვარს უსაზღვროდ და გვეამაყება ის დიდ-პატარას... და რომ არ იყოს მასში კოდირებული რაღაც მისტიური, მჯერა, ასე არ იქნებოდა.

იქნებ, ბიბლიური გმირის „ტობას“ სახელიც რაღაცით შეესაბამება ო-ტობ-ურ ხასიათს, ჩვენს ფესვებთან ასე მტკივნეულად რომ გვაკავშირებს?!


ოტობაია არის ის ფესვი, მშობლიურ კარ-მიდამოს მონატრების სახელით რომ გვენევა ყველას თავისკენ.

აქ ყველაფერს თავისი ელვარება აქვს, სულს, ყვაილებს, მწვანედ მოლივლივე, ბალჩებში ჩაკარგულ მოგონებებს, ჩვენი ბავშვობიდან წამოსულ სხივებს... ცისა და მიწის სიყვარულს, ყველაფერს, ყველაფერს...“

არც კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატში“ მოხმობილი მხატვარი ოტობაია და არც მზია ქირთბაიას მიერ ნალოლიავეები სახელი „ოტობაია“ დაინდო მტერმა და არც ნესტორ ქირთბაიას მიერ დიდი რუდუნებითა და მალულად სასკოლო ცხრილში შეტანილი ქართულის გაკვეთილები – საუკუნეზე მეტი ხნის წინ... ალექსანდრა ქირთბაიას შორეული, საოცარი ქართულის გაკვეთილებიც იმ წარსულში დარჩენილა...

რაც დრო გადის, უფრო მეტად შევიგრძნობ, რამდენს მავალებს ჩემი წინაპარი ქირთბაიების სისხლი. ყველა ჩემს წიგნსა თუ წერილს მუდამ ვავზავნი ოტობაიის გასარუსებლად გამეტებულ სკოლებში.

ამასაც გავავზავნი!..



ბაბუას და, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი ალექსანდრა ქირთბაია



მარცხნიდან დგანან: დეიდა – ლეილა ქირთბაია, დედა – ლუდმილა ქირთბაია, ბებია – ელისაბედ ქირთბაია; სხედან: დიდი ბებია – ლენა თოდუა-ქირთბაია და ბაბუა – შოთა ქირთბაია**

* – „ჩემს ქვეყანაში“ (მეგრ.).

** – დეიდა, ბებია და ბაბუა საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული ექიმები იყვნენ.



ეჟენ დელაკრუას დაზადებიდან 220 და მისი წნობილი პორტრეტის – „ფრიდერიკ შოპენი და ჟორჟ სანდის“ შექმნიდან 180 წელი



„ავტოპორტრეტი“. ეჟენ დელაკრუა

პუბლიკაცია, ხომელსაც ვთავაზობთ მკითხველს, გამოიჩეუდეს იმით, ხომ აანონსებს ახალ ხუბიკას "მუხათა სავანე" და იმითაც, ხომ ის შინაახსობივადაც შთამბეჭდავია.

სათავგადასავლო ეპიზოდებს თითქმის ომი საუკუნის წინანდელ ეპოქაში გადავყავართ და სამი გენიალური შემოქმედის ცხოვებისუელი ყოფის, ეთობთ გახმაუხებული და პიანსუი ამბის თანაზიხად გვხდის.

ფიანგული ხომანტიზმის ფუქმედების, ფეხმნეი ეჟენ დელაკრუას ეთ-ეით ცნობილ ტილოზე, ხომელსაც უცნაუი ბედი ხვდა წილად, მხატვარი აღბეჭდა ყმანვილობაშივე გენიოსად აღიახებული პოლონელი კომპოზიკოი - ფიდეიკი შოპენი და სახეგანთქმედი მნეხალი, ახაეითი ხომანის ავტოი - ფიხე სანდი.

ნახატი შეიქმნა 1838 წელს, 180 წლის წინათ.

მაგჩამ მიზუბთა და მიზუბთა გამო დელაკრუამ თავის პოხეუტელ ქმნილებას (ისე, მას ახცთუ ბევი პოხეუტი აქვს შექმნილი) მკაცი განაჩენი გამოუტანა. პუბლიკაცია გაგვცემს პასუხს ეთიხვავუე, ხაცომ მოუქცა მხატვარი საეუთაი ნანახმოებს თითქმის ვანდალუი სიუხეშით.

ეჟენ დელაკრუა: „გენიოსი მუდამ მარტოა“

„მისი სული იმდენად დახვეწილი იყო, რომ ერთი სიტყვით ესმოდა ყველაფერი. იყო მკაცრი, როგორც ხელოვნება და მხიარული, როგორც სული“, – წერდა დელაკრუაზე არსენ უსე*.

ეჟენ დელაკრუა, ფრანგული რომანტიზმის მამამთავარი დაიბადა 220 წლის წინათ, 1798 წლის 26 აპრილს, პარიზის გარეუბანში.

ნამდვილი უნივერსიტეტი 20 წლის ყმანვილისთვის გახდა ლუერი, სადაც ის გაეცნო სახეგანთქმულ ოსტატთა ტილოებს; დამწყებ მხატვარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს რუბენსმა, ვერონეზემ, ტიცინამა, ახალგაზრდა ფერმწერმა – ჟერიკომ.

მოგვიანებით დელაკრუამ მოხატა ბურბონთა სასახლე, ლუერის ქერი, სენ-სიულპისის ტაძარი... აღნიშნავდა კიდევ, „გული გამალებით მიცემს, როდესაც ვუყურებ უზარმაზარ კედელს, რომელიც ჩემი ფუნჯის შეხებას ელოდება“.

XIX ს.-ის 50-იანი წლები მხატვრის აღიარების ხანაა.

„დიდად მომხიბლავი იყო დელაკრუას დამსხვრეულხაზებიანი სახე: მასში იყო რალაც გენიალური“ (არსენ უსე).

და მხატვარმაც იცოდა, რომ „ჭემმარიტება მუდამ ეცხადება გენიოსს და გენიოსი მაინც მუდამ მარტოა“. ასეთ ადამიანებს, როგორც წესი, ურთიერთობები იმედებს უცრუებს.



ეჟენ დელაკრუას სახლი. პარიზის გარეუბანი

დელაკრუაც დაქორწინებაზე უარს მხოლოდ იმიტომ ამბობს, რომ „მეტისმეტად უნდა თავისი ტოტალური თავისუფლების შენარჩუნება მხატვრობისათვის“.

მხატვარი ხშირად ციტირებდა მიქელანჯელოს: „ფერწერა – ეჭვიანი საყვარელია; მას მთელი მამაკაცი უნდა!“

დელაკრუა გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, დიდების ზენიტში მყოფი, საკუთარ სახლში, სადაც დღეს მისი მუზეუმი განთავსებული.

სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე გაუმხილა თავის გამზრდელს, დელაკრუების უერთგულეს ადამიანს – ჟან-მარი ლე გილუსს (ის ოჯახს 30 წლის მანძილზე ემსახურებოდა):

„თუ მოვრჩები, ვფიქრობ, გავაკეთებ საოცარ რამეებს; ტვინი მიდულს. თავშიც 40 წლის სამუშაოები მიტრიალებს“.



შოპენი: „რა აუტანელი ქალია ეს სანდი?“

მათი გზები გადაიკვეთა პარიზში, 1838 წელს. სამი უდიდესი შემოქმედის – ეჟენ დელაკრუას, ფრიდერიკ შოპენისა და ჟორჟ სანდის ურთიერთდამოკიდებულება, თითქმის ორი საუკუნეა, ხელოვანთა არაერთი თაობისათვის ამოუწურავი თემაა. მათთან დაკავშირებული პარიზული თავგადასავლების გახსენება კი ნამდვილად ღირს.



ფრიდერიკ შოპენის სახლი. ვარშავა

კომპოზიტორის აღიარება ადრეული ასაკიდანვე დაიწყო. 19 წლის პოლონელი ფრიდერიკ შოპენის (ის წარმოშობით ფრანგი იყო), ვარშავის კონსერვატორიის კურსდამთავრებულის საგამოცდო ბარათში მისი გვარის გასწვრივ ჩანერეს: „მუსიკის გენიოსი“.

მალევე დაიგეგმა ახალგაზრდა პიანისტის საგასტროლო ტურნე ევროპაში და ბოლოს, ვირტუოზმა შემოქმედმა პარიზელი მაცურებელიც გააოცა. ეს უმშვენიერესი ქალაქი, სადაც შოპენმა ხანმოკლე სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა, სადაც თავისი დიდი სიყვარული გადაიტანა, მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა: ვარშავაში ის მეტად ველარ დაბრუნდა.*

წლებისა და წლების მერე ბიოგრაფები შეთანხმდებიან: რომ პარიზში უსაყვარლეს ადამიანთან, ჟორჟ სანდისთან თანაცხოვრებისას კომპოზიტორმა შექმნა თავისი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებები. თუმცა, ერთმანეთისგან იმდენად განსხვავდებოდნენ, რომ ირგვლივ მყოფთაგან ყველას უკვირდა, როგორ შედგა მათგან ასეთი რომანტიკული წყვილი.

პარიზელი გრაფინიას, მარი დე აგუს წვეულებაზე, მაღალი საზოგადოების წრეში, შეხვდნენ ისინი ერთმანეთს. მწერალი მაშინვე მოიხიბლა ახალგაზრდა პიანისტი; მაგრამ ყურადღებით განებივრებულმა სანდომ შოპენზე მეტისმეტად უსიამო შთაბეჭდილება დატოვა. ნაცნობთა წრეში უთქვამს კიდეც კომპოზიტორს:

– რა აუტანელი ქალია ეს სანდი?! და საერთოდ, არის კი ქალი?

იმ პერიოდში მოდურმა, მაგრამ ეპატაჟურმა ჟორჟ სანდომ შოპენის მოხიბვლა საკმაო ხნის შემდეგ და დიდი ძალისხმევით მაინც მოახერხა.

ეს არის ეპოქალური დრო, როცა პარიზში, პიგალის ქუჩაზე, ლიტერატურულ სალონად ქცეულ ჟორჟ სანდის სახლში ერთმანეთს ხვდებოდნენ უდიდესი მოაზროვნეები: მწერლები – ონორე დე ბალზაკი, ჰაინრიჰ ჰაინე, პროსპერ მერიმე, ვიქტორ ჰიუგო, ალფონს დე ლამარტინი, ადამ მიცკევიჩი, ივანე ტურგენევი, მამა-შვილი დიუმები, გუსტავ ფლობერი, ალფრედ დე მიუსე, კომპოზიტორები – ფრიდერიკ შოპენი, ფერენც ლისტ, ჰექტორ ბერლიოზე, ფელიქს მენდელსონი, მხატვრები – ეჟენ დელაკრუა, ოგიუსტ შარპანტიე და სხვები.

დელაკრუა იმდენად მოხიბლული იყო შოპენის საფორტეპიანო ქმნილებებით, რომ გადაწყვიტა, თავის სახელოსნოშიც დაედგა რიოალი. ჟორჟ სანდისთან ერთად ის ხშირად მასპინძლობდა კომპოზიტორს, რომელიც თავის უკვდავ ნაწარმოებებს პირველად ხშირად აქვე, „სამთა საზოგადოებაში“ ასრულებდა. ისინი სალამოებს საუბარში ატარებდნენ, გატაცებით მსჯელობდნენ ლიტერატურაზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე.

„შოპენი იყო ყველაზე ჭეშმარიტი ხელოვანი მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი“, – აღფრთოვანებით წერდა დელაკრუა კომპოზიტორზე, რომელსაც „მუსიკის რაფაელს“ უწოდებდა.

ერთადერთი რამ კი, რასაც შეეძლო, აეცრემლებინა ჟორჟ სანდი, ბუნებით ეს უძლიერესი ქალი, იყო მხოლოდ შოპენის ვალსის ხმები.

საზოგადოებას მწერალი თავისი ეპატაჟურობით აოცებდა

„ის იმდენად შთამბეჭდავად, გულში ჩამწვდომად მიყურებდა, მივხვდი, რომ გავიმარჯვე!“ – ასე იხსენებდა მოგვიანებით შოპენი სანდის.

როდესაც ერთმანეთი გაიცნეს, სანდი იყო 34 წლის, შოპენი კი 27-ის.

ნახვისთანავე სანდი არავის ტოვებდა გულგრილს. ის ან უყვარდათ, ან სძულდათ. ჯერ კიდევ იმ ეპოქაში ფემინისტური აზროვნების მწერალი არასოდეს ერიდებოდა, თავის რომანებში ღიად განეხილა ტაბუდადებული თემები. ამიტომ, მუდამ სკანდალური სანდის ყოველი რომანის გამოსვლას ხმაურის გარეშე არასოდეს ჩაუვლია.



ჟორჟ სანდის სახლი. პარიზი

* – ვარშავაში იფეთქა სახალხო აჯანყებამ; აჯანყებულთა შორის იყვნენ კომპოზიტორის თანამოაზრენი და სამშობლოდან ისიც განდევნეს.

**ეკატაჟური ჟორჟ სანდი**

სიცოცხლითა და ენერგიით სავსე შემოქმედი ნერდა ბევრს, ლამეში 30-მდე გვერდს. ყოველი წიგნის დასრულების შემდეგ იწყებდა მუშაობას ახალ რომანზე, პიესებზე, ქალთა ემანსიპაციის შესახებ სოციალ-კრიტიკულ სტატიებზე. მისი შემოქმედება დაახლოებით 18 ტომს შეიცავს. ცნობილი ხელოვანებისადმი დანერული 40.000 წერილიდან კერძო კოლექციამ შემოინახა 15.000-მდე მწერლის ბარათი.

ამ პიროვნების გარეგნული იმიჯიც იწვევდა საზოგადოების გაღიზიანებას. „თავაშვებული და დინების სანინალმდეგოდ მცურავი ქალთევაზა“ – ასე ახასიათებდნენ სანდის თანამედროვენი. **პარიზის ქუჩებში ის მამაკაცის კოსტიუმით, ჰალსტუხით, კაცის ფეტრის შლაპით, გრძელი შავი პალტოთი, ამოცმული ბოტფორტით* და ხელში სიგარით ჩნდებოდა (მწერალმა ამით კაცის ტანსაცმლის ტარება მოდად აქცია, რაც მოგვიანებით მოდელმა კოკო შანელიმ და მომღერალმა მარლენ დიტრიხმა განავითარეს).**

მიუხედავად ყველაფრისა, წლიდან წლამდე იცვლიდა მამაკაცებს, უსაშველოდ იზრდებოდა მის თაყვანისმცემელთა რიცხვი (ამბოზენ, ცხოვრების მანძილზე 300-მდე საყვარელი ჰყავდაო). პირველივე საკმაოდ გახმაურებული წიგნი „ინდიანა“ რომანისტი ჟიულ სანდოსთან ერთად დაწერა (ფსევდონიმად აირჩია სწორედ საყვარლის გვარ-სახელი, ოდნავ შეცვლილი

სახით; სანდი სინამდვილეში ამანდინ ავრორა ლიუსილ დიუპენია).

ექსტრავაგანტულმა ქალმა ყოველთვის იცოდა გზა, მამაკაცის გულამდე მისასვლელი. შოპენთან პირველივე შეხვედრის მერე ცდილობდა, არ დაკლებოდა მის წრეს და ყოფილიყო იმ ადამიანების გვერდით, სადაც სტუმრობდა კომპოზიტორი. ბოლოს და ბოლოს, ფემინისტმა მწერალმა, რომელიც გამოირჩეოდა ღრმა ინტელექტითაც და უჩვეულო იუმორითაც, მოხიბლა შოპენი, ეს ზედმეტად მორიდებული და დახვეწილი მანერების მქონე, ერთობ ინტელიგენტური მამაკაცი.

„თქვენი ერთი ვალსი ჩემს ყველა რომანად ღირს“

ისინი ერთმანეთს დიდმა გრძნობამ დააკავშირა, თუმცა, მაინც არ დაქორწინებულან. სიყვარულმა წყვილს უსიამოვნება მეტი მოუტანა, ვიდრე ბედნიერი დღეები. და მაინც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებას დღესაც „ახსოვს“ და აღლევებს მათი სიყვარულის თავგადასავალი.

თავიდან ჩუმ-ჩუმად, სხვებისგან მალულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. საზოგადოებაში ყოფნისას თითოეული შესანიშნავად თამაშობდა უკარებას როლს.

სანდისა და შოპენის რომანი გაცნობიდან ერთი წლის შემდეგ, 1838 წელს დაიწყო.

იმავე წლის ზაფხულში მათ გადაწყვიტეს, დასასვენებლად გამგზავრებულიყვნენ ხმელთაშუა ზღვის საუკეთესო და ულამაზეს კუნძულ მაიორკაზე. წყვილი იმედოვნებდა, რომ თბილი, რბილი კლიმატი სასიკეთოდ იმოქმედებდა შოპენის ჯანმრთელობაზე (ფრიდერიკს ბავშვობიდან ტანჯავდა სუსტი ფილტვები, რაც თანდათან ქლექში გადაეზარდა).

ყველაფერი მოხდა პირიქით. გადაუდებელი წვიმების პირობებში კომპოზიტორმა გაცილებით ცუდად იგრძნო თავი. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ ბინის მეპატრონემ, ვისთანაც

**ფრიდერიკ შოპენი**

მდგომარად ცხოვრობდა წყვილი ბავშვებთან ერთად (ჟორჟ სანდს თან ახლდა შვილებიც – მორის და სოლანჟ დუდვანები**), შეიტყო მობინადრის ავადმყოფობის შესახებ.

იმდროინდელი ესპანური კანონმდებლობით, წვავდნენ და ანადგურებდნენ ყველა ნივთს (ავეჯის ჩათვლით), რომელსაც ტუბერკულოზით დაავადებული ავადმყოფი ეხებოდა; ფრანგი მობინადრენი ასე აღმოჩნდნენ ქუჩაში და მათ მთის ერთ-ერთ მონასტერს შეაფარეს თავი.

სანდიმ იზრუნა შოპენის პიანინოზეც, რომელიც კომპოზიტორს ყველგან თან დაჰქონდა. მოელაპარაკა სამხედროებს და მათ გარკვეული ანაზღაურების ფასად მონასტრამდე სავალი მთიანი ბილიკებით ზიდეს პიანისტის განუყრელი ინსტრუმენტი.

პარიზში დაბრუნებაც გაუჭირდათ: კაპიტნები უარს ამბობდნენ გემში მათ ჩასხდომაზე.

ბოლოს ერთ-ერთი ხომალდის მეთაურმა გამოიჩინა „წყალობა“ და წყვილი, ბავშვებთან ერთად, „დააბინავა“ კაიუტაში, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, იყო ღორების ბაკის გვერდით (მოგვიანებით შოპენი გაიხსენებს, რომ ოთხფეხებს მგზავრობის უკეთესი პირობები ჰქონდათ).

კომპოზიტორს უფრო და უფრო გაუმწავდა ტუბერკულოზი.

* – კავალერისტის (ცხენოსანი მეომარი) მაღალყელიანი ჩექმა.

** – 19 წლის ასაკში სანდი ცოლად გაჰყვა ბარონ კაზიმირ დუდვანს, ვისთანაც 9 წელი იცხოვრა.



ავადმყოფობის გამო ზედმეტად გაჭირვებულ მუსიკოსს შეეძლო, დღეების მანძილზე დარჩენილიყო საძინებელში, თბილ პიჟამოში გახვეული და კისერზე მიბჯენილი წურბელებით. ჟორჟ სანდი კი არ ილღებოდა მისი მოვლით, სათუთად და ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ ადამიანს, საჭმელსაც თავისი ხელით უმზადებდა. ხშირად იმეორებდა ერთსა და იმავე ფრაზას, რომ ის ცხოვრობს „სამ შვილთან“ ერთად („მესამე ბავშვად“ მიიჩნევა შოპენს).



ჟორჟ სანდი (სიცოცხლის ბოლო წლებში)

მწერალი ანდრე მორუა აღნიშნავდა კიდევ, ტრადიციული გაგებით, ჟორჟ სანდი შოპენის უფრო მეგობარი, მეტიც, უფრო მომვლელი იყო, ვიდრე საყვარელიო. მთელ პარიზში კომპოზიტორი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც რჩეულს ნამდვილი სახელით – „ავრორათი“ მიმართავდა.

მწერალმა იცოდა იმ ადამიანის ფასი, ვის გვერდითაც წლები გაატარა. „თქვენი ერთი ვალსი ჩემს ყველა რომანად ღირს“, – გაენდო სანდი შოპენს. საყვარლებს შორის უკმაყოფილება ჩამოგდო სანდის ქალიშვილმა, სოლანჟმა. შოპენს ჩაალაპარაკა, დედაჩემი გლალატობსო. ავადმყოფი კომპოზიტორისთვის ეს დიდი დარტყმა იყო. მორალურად განადგურებულმა დატოვა სახლი, ისე, რომ ქალისგან არანაირი ახსნა-განმარტების მოსმენა არ ისურვა.

ცალკე დასახლებული კომპოზიტორი დიდხანს მწერლის არც ერთ წერილს არ პასუხობდა; თუმცა მის გარეშე თავს ამქვეყნად ყველაზე უბედურ ადამიანად მიიჩნევდა. ერთმანეთს ხელახლა ერთი წლის შემდეგ, შემთხვევით შეხვდნენ. ჟორჟმა ყოფილ საყვარელს ხელი გაუწოდა. ის გაფითრდა, ხელი კანკალით ჩამორთვა და დარბაზიდან გავიდა. ეს იყო მათი უკანასკნელი შეხვედრა.

შინ დაბრუნებული სანდი დღიურში ჩანერს: „მან თავი დახარა და თქვა, რომ მე ის გადამიყვარდა. როგორი მკრეხელობაა 7-წლიანი, ლამის, დედობრივი თვითშენირვის შემდეგ. ვიცი, საცოდავმა, შეურაცხყოფილმა არსებამ ვერაფერი გაუფო საკუთარ გულს“.

შინ დაბრუნებული შოპენი კი ჯდება ინსტრუმენტთან და იმ საღამოსვე ქმნის თავის უკვდავ ნაწარმოებს, მუსიკალურ სამყაროში ცნობილ „სამგლოვიარო მარშს“.

ერთი წლის შემდეგ კომპოზიტორი უკვე აღარ იყო. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე შოპენს უთქვამს მეგობრისთვის: „სანდი ხომ დამპირდა, რომ სიკვდილის წინ ჩამეხუტებოდა!“

„მე ყველაფერს გპატიობ და ერთ საყვედურსაც კი არ გიგზავნი!“ – ესაა ფრაგმენტი სანდის უკანასკნელი წერილიდან.

„მე მინდა, ვიცხოვრო მხოლოდ შენთვის და მხოლოდ შენთვის შევექმნა ულამაზესი მელოდიები!“ – პასუხობს კომპოზიტორი.

ჟორჟ სანდიმ შოპენის შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა, მაგრამ, ამბობენ, ასე ძლიერ არავინ ჰყვარებიაო. კომპოზიტორის სიკვდილის შემდეგ, სამუშაო მაგიდაზე, მისი დღიურის ყდაზე უპოვიათ პატარა კონვერტი, ზედ მიწერილი ორი ასოთი: „უ“ და „ფ“ (ჟორჟი და ფრიდერიკი), შიგნით კი იღო საყვარელი ქალის თმის კულული.

P.S. ფიჩიჩიუ მოჰენი დასაფლავეს ჰაიზის ჰეიდ-ლაშუზის სასაფლაოზე*, გუი ეი, მისივე ანდექით, ამოკეთეს სხეულიდან და სამშობლოში "დაახუნეს". ის დღესაც ჩატანებულია ვაჩშავის წმინდა ჯეის ეკლესიის ეკლესიაში.

თითქმის 30 წლის შემდეგ, ეოჟ სანდის გახდაცვალებისას, დიდმა მწეხადმა ვიქსოი ჰიუგომ დანუხა: "ვგლოვობ გახდაცვილს, მაგამ ვესადმები მახადიდ ქას!"

ხოცა ბედისწეხამ ეითმანეთს დააშოხა მწეხადი და კომპოზიტოხი, მათმა მეგობაჰმა - მხატვაჰმა დედაეჰამ მიილო, შეიძლება ითქვას, სასტიკი გადანყვავტილება: დახატედი ჰოხტიეტი შუაზე გაჭიხა...

ცხოვხებაში ეითმანეთისგან ზეხგმუქეული ოხი მოსიყვავილე ადამიანი თავადაც განაცადევა: დღეს ფიჩიჩიუ მოჰენის ჰოხტიეტი ინახება საფეხანგეთში, დეჰის მუზეუმში, ეოჟ სანდის ეი - დანიაში, ეოჰენჰანგენის ოხეჰუგაჰიდის მუზეუმში.



„ჟორჟ სანდი და ფრიდერიკ შოპენი“. ეჟენ დელაკრუა. პორტრეტი, ვიდრე მას მხატვარი შუაზე გაჭრიდა

* – აქვე განისვენებს ეჟენ დელაკრუაც.



დედა ტერეზა

ნობელის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ იმართება საზეიმო ბანკეტი, რომელზეც ინვევენ შვედეთის სამეფო ოჯახის წევრებსა და 1500-მდე სტუმარს.

ბანკეტი მხოლოდ ერთხელ არ შედგა და ეს მოხდა 1979 წელს, ერთ-ერთი ლაურეატის – დედა ტერეზას მოთხოვნით.

მან ამჯობინა, ბანკეტის ხარჯისთვის საჭირო თანხები დაერიგებინა უპოვართათვის.

დედა ტერეზა გარდაიცვალა 1997 წელს 87 წლის ასაკში, ხოლო 2003 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.



1907 წელს, რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც მოსკოვში ტარდებოდა, სიტყვით გამოვიდა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს ის ემიგრაციაში – საფრანგეთში წავიდა).

უკიდურესი მემარჯვენე და ცნობილი რეაქციონერი ვლადიმერ პურიშკევიჩი იმდენად გააღიზიანა დარბაზში ქართველი დეპუტატის ყოფნამ, რომ თავშეუკავებლობა შეურაცხმყოფელი რეპლიკით გამოხატა:

– რა ენაზე ლაპარაკობს ეს კავკასიელი მაიმუნი?!

განრისხებულმა კარლო ჩხეიძემ საკადრისადაც უპასუხა თავხედ პოლიტიკოსს და, არც თუ ორაზროვნად, დროულადაც შეახსენა:

– როცა შენი წინაპრები ტყეში დაძრწოდნენ, ჩემი ქართველი

დიდგვაროვნები სახარებას თარგმნიდნენ!



ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე



ოტია იოსელიანის ერთი მოგონებიდან:*

„დიდი უბედურება დაგვატყდა თავს – გალაკტიონმა თავი მოიკლა. შეიძრა ქვეყანა.

რა თქმა უნდა, მწერალთა კავშირის შენობაშია დასვენებული. უამრავი ხალხი მოდის. ვერ ვიტან საყვარელი ადამიანის დასაფლავებას.

მაგრამ ეს დიდი გალაკტიონია და იქვე დარბაზში ვწრიალებ. თვალის გაპარებაც კი მიჭირს; არ მინდა, შევხედო მიცვალებულს.

გამოსვენების დროც დადგა. ის იყო, გამოსვლას ვაპირებდი, რომ გალაკტიონის ფეხებთან შევნიშნე ჩანგი, რომელიც გაუცნობიერებლად ავიტაცე.

გამოვედით მაჩაბლის ქუჩაზე. ტევა არაა! რა ქნას მილიციამ, ფეხოსანია თუ ცხენოსანი, რა უყოს ამდენ ჭირისუფალს?! ისევ და ისევ იჭედება იქაურობა. თითოეული მათგანი ჭირისუფალია, გალაკტიონი ყველას



გალაკტიონ ტაბიძე

მოუკვდა!

მე თავი ქუდში მაქვს, ახუტებული ჩანგით ძუძგურით მივყვები გალაკტიონს. უხერხულობა მანუხებს; უმრავლესობამ ახლოს მოსვლაც ვერ შეძლო; მე კი ვარ აქ, საპატიო ადგილას ხელშეუხებლად გამოჭიმული. კაციშვილი ხმას არ მცემს; პირიქით, გზას მითმობენ. უფრო სწორად, გზას უთმობენ ჩანგს!

ავედით მთაწმინდაზე; ჩანგი იქვე, გალაკტიონთან დავასვენე და მაშინვე ვინ წინ ამეფარა, ვინ გვერდით მიბიძგა, გამწი-გამომწიეს და არც მე გავჯანჯლებულვარ.

რალა ხმა ამომეღებოდა. მე ყველაზე დიდი წილი მერგო ბედნიერებისა – სასახლიდან საფლავამდე გალაკტიონის ჩანგით გალაკტიონს ვეჭირისუფლე“.



ოტია იოსელიანი

* – იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.



დედა

რეზაზ ინანიშვილი



დედაზე მე ისეთი რა უნდა ვთქვა, მაგრამ ჩემი მოსაყოლი მაინც უნდა მოვყვე...

შარშან, გვიან შემოდგომაზე, ნოემბერში, ჩემს სოფელში ჩავედი. დამხვდა საცოდავი დედაჩემი – თითებდამჭკნარი, მაჯებდანვრილებული. მაინც მიღიმოდა და ისე მეუბნებოდა, ხან ვწევარ, შვილო, ხან აი, ასე დავრაცრაცებო.

ვიყავი ერთ ღამესა და ერთ დღეს – თითქოს ეზო-ყორის მონესრიგებით გართული, სინამდვილეში კი რალაც ცოდვით შენუხებული. მეორე საღამოს, უკვე შებინდებულზე, წამოვედი. ჩვენი რკინიგზის სადგურამდე ოთხ კილომეტრამდე გზა არის, სულ

თავქვე-თავქვე, აქედან კიდევ აღმართი. გამიმართა დედაჩემმა ძველებური ფარანი, ამინთო, სადგურში რომ ჩახვალ, მორიგესთან დატოვე და ვინმეს ამოვაცანინებ მერეო. დავინყე მე სიცილი, რა ფარანი მინდა, დედა, ორმოცი წელიწადია, ამ გზაზე დავდივარ, სულ ქვა-ქვა ვიცი-მეთქი ყველაფერი. არაო, შვილოო, ახლა სულ შეცვლილია, სად რას აკეთებენ, სად რასო, თან მოლინჭყულია, ფეხი ცურავსო.

ბევრი მეხვენა, მაგრამ არ წამოვიღე ის ფარანი. გამომაცილა კი კარგა მანძილზე, სანამ დიდი დაღმართი არ დაიწყებოდა. მომყვებოდა იმ წკვარამში, მინათებდა გზას და თან სულ მარიგებდა დედურად. დიდ დაღმართთან თვითონვე შეჩერდა, ასწია ფარანი ცოტაზე;

წაიღე, შვილოო, შემეხვენა ერთხელაც. მე გადავკოცნე ღიმილით:

– ახლა წადი!

მივაბრუნე, თითქოს გაბრუნდა, წავიდა კიდევ; მივიხედე და დგას ისევ, მალლა უჭირავს ფარანი, მეორე ხელიც შეუშველებია.

– წადი-მეთქი, წადი!

გაბრუნდა, წავიდა. მე თავქვე დავეშვი. ზურგჩანთა მკიდია, თითქმის მივრბივარ, მივიხედავ უკან და რამდენსაც მივიხედავ, იმ წკვარამში ის ფარნის შუქი ისევ ერთ ადგილას დგას; ალბათ, მეჩვენება-მეთქი, გაჩერდები, ვაკვირდები, შუქი მაინც არ იძვრის.

– დე-დაა! დე-დაა!

არავითარი ჩქამი! ნიავი სახეში მცემს, ჩემი ხმა იქამდე ვერ აღწევს.

ისე ჩავედი სადგურში, ისე ავედი მატარებელში, ის შუქი მხოლოდ პატარავებოდა და არ იძვროდა. ვუყურებდი ვაგონის ფანჯრიდანაც და ვწყრებოდი დედების სიჯიუტეზე.

ის კი იყო და ის – ცოცხალი აღარ მინახავს დედაჩემი. დეკემბრის თექვსმეტში, ღამით, თერთმეტ საათზე, უწვალუბლივ დაელია სული და დამრჩა ამ ფარნის შუქი სამუდამო დარდად.

რატომ იდგა იქ, იმ აღმართის თავზე, სიბნელესა და სიცივეში იმდენ ხანს? ნუთუ, მართლა იმას ფიქრობდა, რომ ცოტათი მაინც მინათებდა ფარნით გზას?! ნუთუ ეგონა, ცუდი რომ რამე მომწეოდა, უთუოდ მისწვდებოდა ქვემოდან ხმა?! თუ სულაც, ცუდად გახდა, ჩაჯდა, ვედარ წამოდგა და იყო ასე, ფარანზე დაყრდნობილი?! კიდევ უარესი – სამუდამოდ ხომ არ მეთხოვებოდა იმ ფარნით?!

დავუნთებ ხოლმე სანთელს, დავიჩოქებ, მაგრამ ვერაფერს ვშველი ჩემს დარდს...





ფიქრია გურაშვილი

საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა, მსოფლიოში ყველაზე უძველესი ისტორიით - ვაზი ქართველს ჩვ.წ.ალ.-მდე 6.000 წელს გაუხარებია. ერთდროს ქვეყანა, სადაც ვენახს საგალობელი მიუძღვნეს, ეს საქართველოა (საგალობელში "შენ ხარ ვენახი" ვაზი გაიგივებელია ღვინისმშობელთან).

საქართველოში 350-მდე სახეობის ვაზი ხარობს (სულ ცნობილია 4.000-მდე ჯიშ). თბილისის 152-ე სკოლის ისტორიის პედაგოგის, უფროსი მასწავლებლის ფიქრია გურაშვილის "საქართველო ბაზეთილი" თემა უკავშირდება საქართველოში ღვინის უძველესი მოამაგის, XIX ს.-ში მცხოვრები მენახის - ივანე მუხრანბატონის საქმიანობას, საქვედმოქმედო ინიციატივებს, იმპერიისა და მსოფლიო გამოფენების დიდხად აღიარებული მუხრანელი ღვინოების წარმოებას; ამასთან, ავტორი გაკვირვებით ეხება მუხრანბატონის სამოსახლოში, "შატო მუხრანის", ამ ენიკელური ჰიოქტის მნიშვნელობას.

ქალბატონი ფიქრია მიიჩნევს, რომ ელსგაჩეშე მასელა მოზახეებისთვის, მათი შემეცნებითი აღზედისთვის განსაქუთიებული მნიშვნელობისაა. IX-XII ელსის მოსწავლეებისთვის იგი სგანგებოდ აჩრევს საინტეხუსო, ექსელუზიუი თემებს.

მე-19 საუკუნის შუა წლები. ივანე მუხრანელი - ქართული ღვინის მოამაგე

ფიქრია გურაშვილი

"შატო მუხრანი" - უძველესი ჰიოქტი

„ხიდისთავ შვეკრათ პირობა,
ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია,
ჩავუხტეთ მუხრანბატონსა,
თავს დავანგრიოთ ბანია!“

XIX ს.-ის 80-იან წლებში წამოსული ამ მუქარის ასრულებას რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა; ბოლოს კი ისეთ დღეში ჩავარდნილა ეს ერთ დროს ბრწყინვალე სასახლე და მისი შემოგარენი, რომ ველარც კი წარმოიდგენდა მნახველი, აქ თუ ოდესმე სიცოცხლე დულდა.

ამის გამო წუხილი და სინანული სულ იყო, თუმცა უშუალო იდეა მუხრანბატონის მეურნეობის განახლების შესახებ მხოლოდ 2002 წელს ჩაისახა და მის ინიციატორებად ქართველი და უცხოელი ინვესტორები გამოვიდნენ.

დამფუძნებელთა იდეა იყო მუხრანბატონის მეურნეობის, წარმოებისა და სასახლის სრული სახით აღდგენა, რის განხორციელებასაც კომპანია „შატო მუხრანი“ 2002 წლიდან შეუდგა.

აპრობირებულმა მიკროზონამ, მსოფლიოს თანამედროვე მიღწევებმა, უახლოესი ფირმის ტექნოლოგიებმა და მონყობილობებმა, უმაღლესმა სპეციალისტებმა და მათმა მონდომებამ გამოილო ლოგიკური შედეგი – მსოფლიოს ბრენდებს შორის კომპანიის პროდუქციამ კვლავ დაიკავა ადგილი.

„შატო მუხრანის“ ღვინო მალე მოექცა მაღალგემოვნებიანი შემფასებლის ყურადღების ქვეშ. მას, თავისი არცთუ ხანგრძლივი ასაკის მიუხედავად, უკვე იცნობენ და აფასებენ საქართველოსა და მსოფლიოს რიგ ქვეყნებში. ამის მიზეზად კი იქცა ის ცნობილი და აღიარებული პრინციპი, რომლის გამოყენებითაც საუკუნუნახვერის უკან აყენებდა აქ ღვინოებს დიდი ქართველი მოღვაწე და კაპიტალისტი – ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (1812-1895 წ.წ.).



ივანე მუხრანბატონის სამოსახლო – „შატო მუხრანის“ მეურნეობა



კავკასიაში ანალოგი არ ჰყავდა

ყველაფერი დაიწყო 1875 წელს, როცა საფრანგეთში მოგზაურობისა და მეღვინეობის აქაური წარმოების გაცნობის შემდეგ ივანემ, ფაქტობრივად, თავი დაანება ბრწყინვალე სამხედრო კარიერას და მუხრანბატონთა უძველეს სამემკვიდრეო მამულში დააარსა მევენახეობისა და მეღვინეობის უნიკალური წარმოება; მთელს კავკასიაში მას ანალოგი არ ჰყავდა.

ახალი სამეღვინეო ერის დასაწყისი – ასე უწოდებენ სპეციალისტები წარმოებას, რომლის შექმნითაც ივანე მუხრანბატონმა ამ დარგში, ფაქტობრივად, ახალ ერას დაუდო სათავე საქართველოსა და კავკასიაში.

ამას კი, თავის მხრივ, წინ უძღვოდა ხანგრძლივი, შემოქმედებითი და წინააღმდეგობებით სავსე გზა, რომელსაც საოჯახო ტრადიციაც ამყარებდა.

მუხრანბატონმა თავისი კარიერა სამხედრო საქმიანობით დაიწყო. 42 წლის ასაკში იგი გენერალ-ლეინტენანტი, დასავლეთ საქართველოს სამხედრო გუბერნატორი და საქართველოსა და იმპერიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თავადია.

თუმცა, ეს არ უშლიდა ხელს, იმავდროულად, აქტიური მონაწილეობა მიეღო ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამეურნეო საქმიანობაში; ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, აარსებდა ბანკებს, საზოგადოებებს, შემოჰქონდა ახალი მანქანა-იარაღები, აარსებდა სამეურნეო და საგანმანათლებლო სკოლებს, ხელს უწყობდა ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა-ფუნქციონირებას, საზღვარგარეთ სასწავლებლად აგზავნიდა და სტიპენდიებს უნიშნავდა ქართველ ახალგაზრდებს, სოლიდურ თანხებს ახმარდა ქართული უნივერსიტეტის მშენებლობასა და სხვა.

მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1861 წლის საგლეხო რეფორმის მომზადება, რომელიც ორ პროექტს მოიცავდა: ილია ჭავჭავაძის, რომელიც გლეხობის მიწიანად გათავისუფლებას გულისხმობდა და მეორე, ივანე მუხრანბატონის, რომელიც უმიწოდ გათავისუფლებას უჭერდა მხარს.

მოგვიანებით ეს ფაქტი საბჭოელმა იდეოლოგებმა ბაგრატიონთა გვარის ამ შესანიშნავი წარმომადგენლის დისკრედიტაციასა და გლეხობის მიმართ ზიზღსა და მტრობაში დასადასაშალებლად გამოიყენეს.

რეალურად მუხრანბატონის პროექტი ქართული ფეოდალიზმის ტრადიციიდან გამომდინარე თავისებურებებს ემყარებოდა, რისი ერთი ხელის მოსმით გაუქმებას შეეძლო, სახიფათოდ და დამლუპველად ემოქმედა როგორც ქვეყნის მომავალზე, ისე, ზოგადად, შიდა ურთიერთობებსა და ღირებულებებზე.

მისი პროექტით გლეხს აუცილებლად მიეცემოდა ამ მიწაზე საქმიანობის საშუალება, რის შედეგადაც მათი მშრომელი და გონიერი ნაწილი შეძლებდა შრომით დაგროვილი კაპიტალით მიწის გამოსყიდვას, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფდა ყმური მდგომარეობიდან გამოსული გლეხის მომავალი ცხოვრების მყარ ნიადაგზე დაყენებას.

მუხრანბატონის აზრი მხოლოდ თეორია არ იყო, რადგან ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე მის მეურნეობაში უკვე დანერგილი იყო სასაქონლო წარმოება, სავაჭრო მიწათმოქმედება, დაქირავებული შრომა და სხვა. „იგი უფრო მეტად ბურჟუაზიულ ნიშნებს შეიცავდა, ვიდრე საბატონო მეურნეობისას. ამიტომ მუხრანბატონის მეურნეობა თავისი შინაარსით ახალი ტიპისა იყო“.



ივანე მუხრანბატონი



ივანე მუხრანბატონი (შუაში) ახლობელთა წრეში



ჰირველი ქართული "შამპანური" და "მუხრანული"



1889 წლის პარიზის გამოფენაზე მიღებული ოქროს მედლები, რომლითაც დაჯილდოვდა ივანე მუხრანბატონი



სწორედ ამ პრინციპებით, შეუდარებელი ძალისხმევით, მონდომებითა და მიზანსწრაფულობით, უცხოელ სპეციალისტთა დახმარებით, თანამედროვე მანქანა-იარაღების, ტექნოლოგიების, წარმოების ახალი, კაპიტალისტური წესების გაბედულად დანერგვით გონიერმა მებატონემ მუხრანის მიწებზე, რომელიც 100 ჰექტარს შეადგენდა, გააშენა 12 დასახელების ვაზი, საიდანაც მიიღო მაღალხარისხოვანი ღვინო და ბოთლში ჩამოსხმული ჰირველი ქართული „შამპანური“, რომელიც კონკურენტუნარიანი იყო როგორც კავკასიისა და რუსეთის იმპერიის, ისე საფრანგეთის, ავსტრიის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის, აშშ და სხვა ქვეყნების ბაზრებზე.

იმპერიისა და მსოფლიო გამოფენების ლიდერი – ასე შეიძლება ეწოდოს XIX ს.-ის II ნახევრის მუხრანულ ღვინოებს, თუკი გადავხედავთ იმ პერიოდის მაჩვენებლებსა და ჯილდოებს.

„მუხრანული“ პეტერბურგის საიმპერატორო კარის ექსკლუზიური მიმწოდებელი გახდა. ამ ღვინოებით უმასპინძლებოდნენ სასახლეში ყველაზე საპატიო და მნიშვნელოვან სტუმრებს. „მუხრანულმა“ იმპერიასა თუ ევროპაში ცნობილი ბრენდების გვერდით დაიკავა ადგილი.

მუხრანბატონი მთელი მონდომებით ცდილობდა, თავისი ღვინოები, რაც შეიძლება, მეტი რაოდენობით გაეგრცვლებინა საფრანგეთში, რისთვისაც ნიკო ნიკოლაძის მეშვეობით საქმიანი კონტაქტები დაამყარა და დააინტერესა მსხვილი ფრანგი კაპიტალისტი არონ როტშილდიც კი.

ლიმილის მომგვრელია დღემდე შემორჩენილი ერთი გადმოცემა, რომლის მიხედვით, ივანეს საგანგებოდ დაუქირავებია ფრანგი სტუდენტები, რომლებიც რესტორნებში შედიოდნენ და მუხრანის ღვინოს თხოულობდნენ.

როცა აღმოჩნდებოდა, რომ მასპინძლებს არათუ არ ჰქონდათ ამ დასახელების ღვინო, არც კი გაეგონათ მასზე, სტუდენტები დაუყოვნებლივ ტოვებდნენ იქაურობას. გაჭრა მუხრანბატონის ეშმაკობამ – მალე მისი ღვინოები პარიზის ყველა პრესტიჟულ რესტორანს ამშვენებდა თურმე.

საიმპერატორო და საერთაშორისო გამოფენების ლიდერი

ხარისხი ჯილდოებშიც გამოხატებოდა: 1895 წლის 10 მარტს საიმპერატორო საბალოსნო და სამელვინეო ლაბორატორიაში მოწყობილი ღვინოების დეგუსტაციაში „რეინის ღვინოს“ სრული ბუკეტითა და არომატით აჯობა ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის ღვინომ „მუხრანი №4“-მა; 1882 წელს მოსკოვის გამოფენაზე მთავარი პრიზი – სახელმწიფო ღვინო გადაეცა, 1889 წელს კი პარიზის ცნობილ გამოფენაზე დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. მის დამყენებელ, ივანე მუხრანბატონს კი საფრანგეთის მმართველობამ იშვიათი ჯილდო – წოდება „Officier de mérite agricole“ უბოძა.

ვენახისა და ღვინის გარდა მუხრანბატონის მეურნეობაში მაღალ დონეზე იყო აყვანილი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც: მემცენარეობა, მარცვლეულის წარმოება, მესაქონლეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვა, რომელიც ძირითადი დარგის — მევენახეობა-მელვინეობის დამხმარე დარგებად გამოიყენებოდა.



ივანე მუხრანბატონის სასახლე

მთლიანობაში კი მისი მამულების საერთო ფართი 24 000 ჰექტარს აღწევდა, რაც თითქმის რეკორდული იყო საქართველოში.

მუხრანის მამული და 1876 წელს აგებული უნიკალური სასახლე მუხრანბატონისა და მისი მეუღლის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითის დის, ნინო დადიანის



მონდომებით საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს კერად იქცა.

„ვისაც ამგვარი სასახლე არ უნახავს სამზღვრის გარეთ, ის მხოლოდ მაშინ წარმოიდგენს ამის სიდიადეს და სიმშვენიერეს, როდესაც ბავშვობაში მოგონილ ზღაპრებს მოიგონებს“ – წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897 წელს.

არანაკლებ საოცარი იყო მუხრანბატონის ღვინის სარდაფები, რომელიც უნიკალურად ითვლებოდა მთელს იმპერიაში; ეკავა 1 ჰა-მდე ფართობი, შედგებოდა 4 ძირითადი და 12 ქვეგანყოფილებისგან, სადაც დიდი თავადის მიერ დამზადებული 1 მლნ. 200 ათას ბოთლამდე მაღალხარისხოვანი ღვინო ინახებოდა.

რაციონალისტ მებატონეს კიდევ უფრო მეტი პერსპექტივები ჰქონდა, რასაც მხოლოდ 1895 წლის 11 მარტს მისმა სიკვდილმა შეუშალა ხელი.



მუხრანბატონის ღვინის სარდაფები

150 წლის წინათ საფუძველჩაყრილი წრადიციით

ამ დროისთვის მემამულის მარნებში გასაყიდად ინახებოდა ნახევარი მილიონი მანეთის ღვინო, უზარმაზარი მეურნეობის კაპიტალბრუნვა კი უკვე 300 000 მანეთს შეადგენდა.

ივანე მუხრანბატონის გარდაცვალებასთან ერთად მისმა მეურნეობამაც დაიწყო უკან სვლა და უზარმაზარი მეურნეობა, „ლეგიონებით მუშებს რომ ვერ იტევდა და რომლის ზარის ხმაზეც სოფელი იღვიძებდა“, არანეისიერი მოვლის გამო დაკნინების გზას დაადგა.

ამას თან დაერთო ის გარემოება, რომ სწორედ მაშინ იძალა საქართველოში ევროპიდან და ამერიკიდან შემოტანილმა ვაზის ავადმყოფობებმა, რომელთაც განადგურების პირას მიიყვანეს იმ პერიოდში ქართული მევენახეობა. წარუმატებელი გამოდგა ივანეს მემკვიდრის, კონსტანტინეს მეურნეობის პროფილის შეცვლისა და ამ გზით მისი გადარჩენის ცდები, რის შემდეგაც ვალეებით გადატვირთულმა მუხრანბატონმა მამულის ხაზინისათვის მიყიდვა გადაწყვიტა.

უწყებამ მეურნეობა აქტივით ჩაიბარა 1899 წლის აპრილში. კონსტანტინე მუხრანბატონს საუფლისწულო უწყებისთვის 745 ათას მანეთად მიუყიდა 7500 ჰა მამული, ღვინის ქარხანა და სარდაფი და იქ დაცული 800 ათას ლიტრამდე ღვინით.

ამის შემდეგ მამულმა უკან სვლა დაიწყო. განსაკუთრებით უზადრუკი სახე კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებიდან მიიღო, როცა ბედის ირონიით, „მუხრანს ახალი მფლობელი მოევლინა ილიას მკვლელის, გიგლა ბერბიჭაშვილის სახით“.

გატანილ იქნა უნიკალური ნივთები, ავეჯი, ინსტრუმენტები, მონყობილობები, ჭურჭელი და სხვა. თუმცა, ღვინის სარდაფები გარკვეული დროის მანძილზე, ავად თუ კარგად, მაინც ინარჩუნებდა რაღაც სახესა და ფუნქციას.

წლების მანძილზე სასახლე და მეურნეობა, „ზემდგომი პარტიული ორგანოების“ დადგენილებებით, უწყებათა ხელიდან ხელში გადადიოდა.

1963 წელს მისი ოფიციალურად აღიარებული ზარალი 649 900 მანეთს აღწევდა.

საფუძვლიანად მოისპო და გაპარტახდა მუხრანბატონის ერთ დროს აყვავებული მეურნეობა, მისი უნიკალური ნივთები, არაჩვეულებრივი ენოთეკა*... 1992-1995 წლების მოვლენებმა კი საბოლოოდ მოულო ბოლო ყველაფერს, როცა აქ გვარდიის შტაბის განთავსების შემდეგ მისგან მხოლოდ კედლებიღა შემორჩა...

როგორც ვთქვით, დღეს ივანე მუხრანბატონის სამეურნეო და კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის ფართო პროექტს კომპანია „შატო მუხრანი“ ახორციელებს. კომპანიამ სრულად აღადგინა ივანე მუხრანბატონის მიერ 150 წლის უკან საფუძველჩაყრილი ტრადიცია – აპრობირებული მიკროზონის, მსოფლიოს თანამედროვე მიღწევების, ფირმის უახლოესი ტექნოლოგიებისა და მონყობილობების, უმაღლესი სპეციალისტებისა და მათი მონდომების წყალობით – მისმა პროექტივამ კვლავ დაიკავა ადგილი მსოფლიოს ბრენდებს შორის.



კომპანია „შატო მუხრანი“

* – საცავი, სადაც ინახება ბოთლებში ჩამოსხმული სხვადასხვა მარკის ღვინო.



ვსევოლოდ გარშინი. ილია რეპინის ნახატი

ვსევოლოდ გარშინი - ხუბი მწეხალი, პოეტი, ჟიტიკოსი. ლიტერატურათმცოდნეები მიიჩნევენ, რომ სწორედ ვსევოლოდ გარშინმა დაამყვიდრა ნოველა ხუხუდ მწეხლობაში, ჰიზონის ეს გამოხიჩეული ფოხმა, რომელიც შემდგომ განავითახა და სხეულო ანტონ ჩეხოვმა.

ვსევოლოდ გარშინის პიხველივე ნანახმოებმა "ოთხი დღე", რომელიც გამოქვეყნდა 1877 წელს, ცნობილი გახდა მწეხალი.

დაბადებიდან მას დაჰყვა განსაჯეთიხეული გონებიხვი შესაძლებლობები; ამასთან, იყო ზედმეტად ემოციური; ზიდასხედ ასაჟში, უჯვე ფსიქიკუხად გაუნონანსოხებელმა, თვითმჯდელობით დაასხედა სიცოცხდე.

მამინ ვსევოლოდ გარშინი მხოლოდ 33 წლის იყო.

ხამდენიმე საინტუიხესო ფაქტი უჯვეშიხდება ამ პიხოვნებას. დიდი ხუბი მხატვხის, მწეხლის მეგობხის ილია ხუპინის ცნობილ ტილოზე "იჯანე მიხისხანე და მისი შვილი - იჯანე" მეფისწუნის პიოტოტიპი ვსევოლოდ გარშინია. იგივე მხატვხის ახანაჯებ გახმუხეხებულ ნახატშიც "ახ ელოდნენ" მთავახი გმიხის მოდელად ხუპინმა ამჯეხადაც თავისი მეგობახი აიჩხია.

მწეხლის პატახა ნოველა, რომელსაც დღეს "იარქნის" მუიოხვეს ვთავაზობთ, დაიწეხა 1882 წელს. სიუჟეტი ახაოხინაღეხია; ასეთივეა თითოეული პეხსონაჟი - ბუნებით განსხვავებული ფსიქოტიპები: პეპლის ჭუპი, დოჟოინა, ნეხვის ხოჭო, ხვლიკი, ჯალია, ცხენი და ბუხები. პაპანაქება სიცხეში, აღებლის ჩიდიქვემ თავმოყიდი "მოახოხვნეთა ეს პატავცემული საზოგადოება" მსჯელობს, ჯამათობს ცხოვეხების ავ-ჯახგუ. მოულოდნელია ფილოსოფიუი ჭიდიში გადანყვეტილი დიადოგის ნოველიუი ფინალიც, ხოცა პეხსონაჟად შემოჰყავს უჯვე ადამიანი...

ჯაცი ბჟობდა, ლმეითი იცინოდო, ასჯენის მუიოხველი აჯკოხთან ეხთად.

იყო და არა იყო რა

ვსევოლოდ გარშინი

თარგმნა დალი მუხაძე



ივნისის ერთ მშვენიერ დღეს (მშვენიერი იმიტომ, რომ ოცდარვა გრადუსი სითბო იყო), აღუბლებით შემოლობილ პატარა მინდორში ახალმოთიბული ბალახის ბულულები მზეში იხრუკებოდა. ირგვლივ თითქოს ყველასა და ყველაფერს ეძინა: სამხარზე ადამიანები ისვენებდნენ, ჩიტების ჟღურტულიც არ ისმოდა, მწერები სიცხისგან დაცულ გრილში შეყუჟულიყვნენ.

შინაურ ცხოველებს კი, ნუ იტყვიოთ! ძროხები ჩრდილში იცოხნებოდნენ; ძალღს პატარა ორმო ამოეთხარა საკუჭნაოსთან და შიგ ნებვირობდა – თან სიცხისგან შენუხებული შიგადაშიგ ხმაურით ამთქნარებდა; ღორი თავისი გოჭებით ტალახში იწვა – მხოლოდ დინგი და ტალახიანი ზურგი მოუჩანდა და გათანგული მძიმედ სუნთქავდა.

პაპანაქება მხოლოდ ქათმებს არ აწუხებდა – მიწას ქექავდნენ და ამით თითქოს დროც გაჰყავდათ; მამალი კი დროდადრო ბრიყვული გამომეტყველებით ყიოდა: „რა ხდება?“

მოკლედ, გავარჯარებულ მინდორში, აღუბლების ჩრდილქვემ მოგროვილიყო ყველა, ვისაც არ ეძინა: ბებერი ცხენი, რომელიღაც პეპლის ჭუპრი, ლოკოკინა, ნეხვის ხოჭო, ხვლიკი და კალია.

ჰო, კიდეც ცხენზე იჯდა ორი ბუხი. აი, ასეთი საზოგადოება იყო შეკრებილი ჩეროში. საუბრობდნენ მშვიდად და, როგორც ხდება ხოლმე, ერთმანეთს არც ერთი ეთანხმებოდა.

– ჩემი აზრით, – ამბობდა ნეხვის ხოჭო, – მთავარია შთამომავლობაზე ზრუნვა! ცხოვრება შრომაა, დიახ, შრომა მომავალი თაობებისთვის! აბა, მიყურეთ, ჩემზე მეტს შრომობს ვინმე? მთელი დღე ნაკელისგან ბურთულებს ვამზადებ, ახალი, ჩემი მსგავსი ნეხვის ხოჭოები რომ გამოვზარდო. სინდისი სუფთა მაქვს და თავისუფლად შემიძლია, ვთქვა: მე გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო! ესაა შრომა!

– ეეე, დაიკარგე აქედან შენი შრომით! – შესძახა ჭიანჭველამ, რომელსაც, მიუხედავად სიცხისა, ერთი დიდი ნაფოტი მოეთრია და ძლივს-ღა სუნთქავდა.

მერე იქვე ნუთით ჩამოჯდა, ოფლი მოიწმინდა და დასძინა:

– ხოჭოს შრომა ჩემთან რა მოსატანია! ჩვენ, მუშა ჭიანჭველები, იძულებულნი ვართ, ვიშრომოთ სხვებისთვის. ზოგჯერ არც ვიცით, ვისთვის და რატომ?! ასეთი ბედისანი ვართ, ძმაო!

– თქვენ, ნეხვის ჭიანჭველამ და თქვენც, ჭიანჭველავ, ძალიან სევდიან და მუქ ფერებში ხედავთ ცხოვრებას! – შეენინაალმდეგა კალია, – მე მიყვარს ხტუნვაცა და თამაშიც, მაგრამ სინდისი არ მქენჯნის,





ძალიან კარგად ვარ!

ხმა ამოიღო ხვლიკმაც:

– კითხულობთ, რა არის სამყარო? თქვენ ნაკელის ბურთულეებსა და ამდაგვარ სისულელეებზე საუბრობთ, სამყარო კი სულ სხვა რამეა! დიდი, თვალუნვდენელი, ლამაზი, დიდებულის თავისი მზით, ბალახითა და ნიავეთ?! მეც კი ზოგჯერ ძლიერ მაღლა მიხდება ახტომა და ვხედავ, როგორი თვალუნვდენელია სამყარო, ისეთი, ბოლო რომ არ უჩანს.

– მართალია, – მრავალმნიშვნელოვნად დაუდასტურა ცხენმა, – მაგრამ იმის ნახევარსაც ვერასოდეს იხილავთ, რაც მე მინახავს; თქვენ ვერაფრით შეაფასებთ ჩემს მიერ დაფარული კილომეტრების სიდიადეს; აუ, რაც მე სოფლები და ქალაქები დამილაშქრავს! აი, ეს არის სამყარო! იქნებ, მთლიანად არა, მაგრამ სამყაროს რაღაც ნაწილი მაინცაა.

თქვა ეს ცხენმა და გაჩუმდა; ლაში კი ისე უთამაშებდა, თითქოს კიდევ რაღაცას ჩურჩულებსო. ბებერი იყო სანყალი, 17 წლის; ეს ცხენისთვის იგივეა, რაც ადამიანისთვის 70 წელი.

– ვერაფერი გავუგე თქვენს ცხენურ აზროვნებას! – თქვა ლოკოკინამ, – ჩემთვის მთავარია ოროვანდის ფოთოლი; აი, ნახეთ, მივცოცავ, მივცოცავ, ის კი არ მთავრდება; ამ ფოთლის იქით კიდევ ერთი ლოკოკინა ცხოვრობს, იქით კიდევ ერთი და ასე დაუსრულებლად!.. მორჩა და გათავდა! სულ არ მაინტერესებს ეგ თქვენი სამყარო და ეგ თქვენი გაუთავებელი კამათი! თავი ამტკიცდა!

– არა, უკაცრავად! – ჩაეჭრა კალია, – საუბარი ძალიან კარგია, მით უმეტეს, ისეთ საკითხებზე, როგორცაა უსასრულობა და მისთანანი. აბა, ზოგიერთს რომ მხოლოდ თავისი სტომაქი ანუხებს და ამის მეტი არაფერი, ეს მისაღებია? აი, მაგალითად, დახედეთ ამ ჭუპრს, მარტო ჭამს და ჭამს!



– ოი, დამანებეთ თავი, – იყვირა ჭუპრმა, – მე სახვალიოდაც ვაგროვებ საზრდოს! დიახაც, მომავლისათვის!

– უკაცრავად, რომელი მომავლისათვის? – იკითხა ცხენმა.

– თქვენ არ იცით, რომ სიკვდილის შემდეგ ულამაზეს ჭრელფრთიან პეპლად გადავიქცევი?!

ცხენმა, ხვლიკმა და ლოკოკინამ ამის შესახებ მართლაც არაფერი იცოდნენ, მაგრამ მწერებისათვის ეს სიახლე ნამდვილად არ იყო. წამით ყველანი

გაჩუმდნენ; ვერ ხვდებოდნენ, რა ეთქვათ მომავალი ცხოვრების შესახებ.

– სხვის ურყევ რწმენას პატივი უნდა ვცეთ! – წამოიძახა კალიამ.

– ხომ არ გნებავთ, რომელიმემ გამოთქვას თავისი აზრი?

– მაგალითად, თქვენ? – მიმართა შემდეგ ბუზებს.

მოზრდილმა ბუზმა დაიწყო:

– ჩვენ კარგად ვართ. ახლაც ოთახში ვიყავით, იქ, სადაც მურაბიანი ქილა დგას. ჩავძვერით შიგ და მშვენივრადაც გეახელით. მართალია, დედაჩემი მურაბაში ჩაიხრჩო, მაგრამ არა უშავს: ის ხომ სიბერისგან უკვე დავრდომილი იყო; ისე კი, მაინც უკმაყოფილონი ვართ!

– ბატონებო, – თქვა ხვლიკმა, – მე ვფიქრობ, რომ თქვენ არ ცდებით, მაგრამ, მეორეს მხრივ!..

ხვლიკმა ვერ მოასწრო სიტყვის დასრულება... ვიღაცამ სანყალს კუდზე ფეხი დააბიჯა და მიწას მიაღწერს.

ეს ცხენის პატრონი – ანტონი იყო; თავისი უხეში ჩექმით გადაუარა დანარჩენებსაც – „მოაზროვნეთა ნაკრებს“; მხოლოდ ბუზებმა უშველეს თავს გაფრენით. კუდმომძვრალი ხვლიკი ფოთლებს შეეფარა. ანტონმა წაიყვანა ცხენი და ბავთან დააბა წყლის დასალევად.

ხვლიკს, მართალია, ისევ გაეზარდა კუდი, მაგრამ უკვე რაღაც უხეში და მოშავო. და როდესაც შეეკითხებოდნენ, სად დაიზიანე კუდიო, ის მორიდებულად პასუხობდა:

– მომაცვრეს იმიტომ, რომ ჩემი აზრი უნდა გამომეთქვა! და მართალიც იყო...





ივანე მახაბელი*

მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული მთარგმნელობითი სკოლის გამორჩეული წარმომადგენელი.

მომზადდა ნანა ძარღვაძე

ბიოგრაფიული მონაცემები

- ივანე გიორგის ძე მახაბელი დაიბადა 1854 წლის 27 იანვარს, ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენში.
- 1863 წელს შევიდა თბილისის გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1870 წელს.
- 1871-1874 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.
- 1874-1877 წლებში სწავლობდა ჯერ გერმანიაში, ჰოპენჰაიმის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, შემდეგ კი პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში.
- 1879 წელს დაბრუნდა საქართველოში.
- 1882-1883 წლებში იყო გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი.
- 1883-1885 წლებში გაზეთ „დროების“ რედაქტორია.
- 1898 წლის 26 ივნისს, 44 წლისა, საიდუმლო ვითარებაში გაუჩინარდა.

გვარის ისტორია

საისტორიო წყაროებში მახაბლის გვარი მოიხსენიება XV ს.-დან, ქართლისა და კახეთის სამთავროების გაყოფის შემდეგ. ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით: „მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდან მოსვლას“. ვახტანგ ჭელიძე წერს: ანჩაბაძეებისა და მახაბლების გვარის წარმომადგენლები ერთმანეთს მოკეთე-მოგვარებულად მიიჩნევენ. „მაჩაბლების ერთ-ერთი შტო რაჭაშიც ყოფილა. ამბროლაურის ციხე მახაბელს ეკუთვნოდა“, – წერს მარი ბროსე.

ქართული ისტორიოგრაფიით, მახაბლების მთავარი შტო დასახლებულა დიდი ლიახვის აუზში, ცხინვალის რაიონის სოფელი თამარაშენი კი მახაბელთა რეზიდენციად უკურთხებიან.

თამარაშენი, პლატონ იოსელიანის ცნობით, 1190 წელს დაუფუძნებია თამარ მეფეს.

მისი ასულის, რუსუდანის მეფობისას, XIII ს.-ში, თამარაშენი მიწასთან გაასწორა ჯალალ-ედინმა. მაგრამ უკვე XVI ს.-დან აღორძინებული თამარაშენი ისევ მახაბელთა რეზიდენცია და მათი მთავარი საცხოვრებელი ადგილია (ამ დროისათვის ის უკვე ნაქალაქევადა, მოგვიანებით კი სოფლად იხსენიება).

მაჩაბლები ოდითგან სახელგანთქმული და ძლიერი მთავრები იყვნენ; ისინი ლიახვის ორივე ნაპირას ფართოდ გაშლილ, ნაყოფიერ და თვალწარმტაც მიწებს ფლობდნენ. მახაბლების განკარგულებაში იყო ცხინვალი, თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ჯავა (დღეს ყველა ეს კუთხე რუსეთის მიერაა ოკუპირებული), მუგუთი, ხეითი, ქემერტი, საბანძინდა, მელვრეკისი, ზემო ნიქოზი.

ეს ადგილები იშვიათი სილამაზით გამოირჩევა და საქართველოს შესანიშნავ კუთხედ ითვლება.

წინაპრები



თამარაშენი. ივანე მახაბლის ეზო-კარი

ივანე მახაბლის მამა – გიორგი სვიმონის ძე მახაბელი, დროსტარებასა და ქეიფს გადაყოლილი, გაღარიბებული თავადიშვილი იყო, დედა – ნატალია ერევანცოვი, თბილისელი სომეხი ვაჭრის შვილი.

გიორგი მახაბელი, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მოხალისედ ჩაენერა კავალერიის გენერალ-ლეიტენანტის – ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის რაზმში. გიორგი მახაბლის რაზმმა მწარე მარცხი აგემა მტერს, რის გამოც წმინდა გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს.

სწორედ იმ დღეებში შეატყობინეს გიორგის, მესამე შვილი შეგეძინაო. მამამ ვაჟს თავისი მეთაურის – ივანე ანდრონიკაშვილის პატივსაცემად ივანე დაარქვა და მონათვლინა მის შვილს – არჩილ ივანეს ძე ანდრონიკაშვილს.

პირველდანწყებითი საოჯახო განათლება ბავშვს მისცა პაპიდან – ელენე მახაბელმა, დიასამიძის ქვრივმა, რომელსაც უნდოდა, პატარა, გონიერი ვანო საქართველოს

* – პუბლიკაცია მომზადდა ვახტანგ ჭელიძის წიგნის „ცხოვრება ივანე მახაბლისა“ მიხედვით



პატრიარქი გამოსულიყო; ხშირად დაჰყავდა ეკლესიაში, სადაც 7 წლის ბიჭუნა სამოციქულოს კითხულობდა. სწორედ სამოციქულოს კითხვისას უნახავს პატარა ვანო ეკატერინე გაბაშვილს.

ივანეს პაპამ – სვიმონ მაჩაბელმა „ვეფხისტყაოსანი“ თურმე ზეპირად იცოდა. თავადაც წერდა ლექსებს. მისი ნაწარმოებია „გულასპიანი“, რომელშიც იგრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური გავლენა. სვიმონ მაჩაბელი მეგობრობდა გიორგი ერისთავთან. მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ „ცისკრის“ მკითხველებს უამბო გიორგი ერისთავმა (სვიმონი ამ ჟურნალის გამომწერი და ქომაგი იყო).

თურმე, თამარაშენის სასახლეში ინახებოდა ივანეს პაპის – სვიმონის მამის – ფარსადან მაჩაბლის ხელნაწერებიც. მისი თხზულებებია „ჩარ დავრიშიანი“ და „ცხენის მოვლა-წვრთნისა და წამლობის წიგნი“.*

ვხედავთ, რომ მწიგნობრობა და მწერლობისკენ მიდრეკილება მაჩაბლებზე მემკვიდრეობით გადმოდიოდა.



ძმები – ივანე და ვასო მაჩაბლები

შეხვედრა გრიგოლ ორბელიანთან

პატარა ვანო ძალიან ორიგინალურ ვითარებაში გაუცნია გრიგოლ ორბელიანს. ეს იყო საზოგადოების ორი წევრის – XIX ს.-ში მცხოვრები უხუცესი და უნორჩესი ადამიანის შეხვედრა.

გიორგი მაჩაბელს უმცროსი ვაჟი – ივანე წაუყვანია ორბელიანების ეკლესიაში. ამ ეკლესიის მრევლი თბილისის წარჩინებულ და განათლებულ პირთაგან შედგებოდა. იმ დღესაც 9 წლის ვანოს სამოციქულოს წაკითხვა ანდეს.

ბავშვი თითქმის ზეპირად წარმოთქვამდა წმინდა წერილის ტექსტს. საზოგადოება მოიხიბლა ქერაკულულებიანი, ლამაზი ბიჭუნათი. „ხორცმცხსმული ანგელოზია“, – ჩურჩულებდნენ მანდილოსნები.

ეკლესიაში მოხუცი გრიგოლ ორბელიანიც ყოფილა. ბავშვის ნიჭიერებით აღფრთოვანებულ პოეტს უკითხავს, ვისი შვილიაო. მას მიუგებს, ფარსადან მაჩაბლის შთამომავალია, სვიმონის შვილიშვილიო.

საინტერესოა, რომ ივანეს პაპა – სვიმონ მაჩაბელი ბავშვობისას თურმე ორბელიანების ოჯახში იზრდებოდა. ერთ-ერთ წერილში გრიგოლ ორბელიანი წერს: „ვინ არ იზრდებოდა ჩვენს ოჯახში? ანდრონიკაანნი, ჩოლოყაანნი, მაჩაბელიანნი“. სვიმონიც აღნიშნავს: „ორბელიანთა ოჯახში ვარ აღზრდილი, მინახავს კეთილდღეობა“. მეტიც: 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სვიმონ მაჩაბელი და გრიგოლ ორბელიანი ერთად იხდიდნენ სასჯელს ციხეში, რამაც ისინი კიდევ უფრო დაახლოვა ერთმანეთს.

1858 წელს, მაჩაბლებს რომ ოსები (ყმები) ჩამოართვეს, სვიმონს დახმარება გავლენიანი მეგობრისთვის – გრიგოლ ორბელიანისთვის ლექსად უთხოვია.

იმ დღეს მამა-შვილი დიდ პოეტს სახლში წაუყვანია. ამის შემდეგ პატარა ვანო ხშირად სტუმრობდა ორბელიანების ოჯახს, სადაც იმ დროისათვის უაღრესად განათლებული და წარჩინებული საზოგადოება იკრიბებოდა. ვანო მაჩაბელი აქ ისმენდა საუბრებს ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, თეატრზე, ენის საკითხებზე.

ეზო-კარის ამბები

პატარა ვანოს „სამაჩაბლო“ მხოლოდ თავისი ულამაზესი ეზო-კარი ეგონა. მაჩაბელთა ვრცლად გაშლილ, კაკლის ხეებით დაბურულ ეზოს მაღალი გალავანი ერტყა. ეზოს ერთ კუთხეში ეგდო სპილენძის ზარბაზანი, რომელზეც ეწერა



თბილისი. კლასიკური გიმნაზია გოლოვინის პროსპექტზე. 1850-იანი წლები

* – ეს წიგნები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

**პეტრე უმიკაშვილი**

„თეიმურაზ II, მეფე საქართველოსი“. ვანოს ეს ნარწერა პაპამ სვიმონ მაჩაბელმა უჩვენა.

ის დღე იყო და, ვანოსა და მის უფროს ძმას – ვასოს ახალი გასართობი გაუჩნდათ: თამაშობდნენ ომობანას, იგერიებდნენ ალა-მაჰმად-ხანს, საქართველოს ყველაზე საძულველ მტერს.

„ხმლის“ ქნევისას ვანო განსაკუთრებული სიფიცხითა და სიმკვირცხლით გამოირჩეოდა; წინაპარი მაჩაბლებით ცდილობდა, „მტერს“ ვაჟკაცურად გამკლავებოდა. საბრძოლო თავგადასავლებს პაპა ხომ ხშირად სიამაყით უამბობდა; ოღონდაც უკმაყოფილო იყო, რად ვერ მოვესწარ დიდი ერეკლეს სახელოვან ბრძოლებსო. პატარა ვანოს ხშირად ესმოდა პაპა სვიმონისა და დიდი პაპის – თავად ამილახვრის საუბრები იმ ეპოქის საქართველოს არცთუ სახარბიელო მდგომარეობის შესახებ.

ბიჭები იზრდებოდნენ და „მათი სამაჩაბლოსა“ თუ „საბრძოლო ველის“ საზღვრებიც თანდათან ფართოვდებოდა: ლიახვის პირამდეც ჩადიოდნენ ონავრები.

ზამთარში წარმოუდგენლად ლამაზი იყო სამაჩაბლო. თეთრად გადაიბარდნებოდა ეზო. ძველებური სასახლის ფართო აივნიდან კი, ლიახვის გადაღმა, ღრუბლებამდე აწვდილი მთის წვერზე, უძველესი ტაძრის გუმბათი

მოჩანდა, ისიც თეთრად გადაპენტილი. სასახლეში ყველგან სანთლები ენთო.

ერთხელაც პატარა ვანო ფანჯარასთან მიმდგარიყო – ახალი წლის შემობრძანებას ელოდა. ფეხის წვერებზე წამოწეულს ხმამალლა უკითხავს:

– ნეტა, გორამდე თუ იქნება უკვე ახალი წელი მოსული?

თბილისის გიმნაზიაში

8 წლის ვანო მაჩაბელს წაკითხული ჰქონია „ვეფხისტყაოსანი“ და ბევრი ადგილი ზეპირადაც სცოდნია. საერთოდაც, კითხვა პატარაობიდანვე ჰყვარებია. პაპის ბიბლიოთეკაში თითქმის ყველა წიგნი აინტერესებდა; მაგრამ, რაც გამოირჩეულად მოეწონებოდა, მეორედაც გადაიკითხავდა ხოლმე.

მაჩაბლებს გამოწერილი ჰქონდათ ჟურნალი „ცისკარი“, სადაც იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები. ყმანვილი ვანო ყველაფერს ინტერესით ენაფებოდა, არ ასვენებდა უფრო მეტის შეცნობის სურვილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვანოს პირველდანიებით განათლებაზე პაპიდა ზრუნავდა; 9 წლის ბიჭუნას მეურვეობდა „მეორე მასწავლებელიც“; ეს იყო მისი ძმა – ვასო მაჩაბელი, ძმაზე 10 წლით უფროსი (სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში). ვასო მოხიბლული იყო ძმის გონიერებით. ოჯახმა გადაწყვიტა, ვანოც გაემგზავრებინათ თბილისში.

1863 წლის ზაფხულში მაჩაბლიანთ ჭიშკრიდან მძიმედ გამოგორდა ურემი, რომელზეც ეყარა ჩალა და ეწყო რამდენიმე ხურჯინი. სწორედ ამ ურემით ჩამოვიდა ვანო მაჩაბელი თბილისში. სახლის პირობებში ძმა სისტემატურად რუსულის გაკვეთილებს უტარებდა და გიმნაზიაში მეორე წელსვე ჩაირიცხა.

ივანე მაჩაბლის კლასელები იყვნენ ვასო აბაშიძე* და ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი**. მასწავლებლებიდან გამოირჩეოდა ქართული ენის პედაგოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი. მოსწავლეები მას „ტკბილ პეტრედ“ მოიხსენიებდნენ.

გარდა ქართული კლასიკური ლიტერატურისა, უმიკაშვილი ბავშვებს აცნობდა ხალხურ ზღაპრებს,

ლექსებს, თქმულებებს; აგროვებდა ფოლკლორულ მასალებს და ბავშვებსაც ავალებდა, თავ-თავიანთ კუთხეებში ჩაენერათ ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. მასწავლებელი განსაკუთრებით ვანო მაჩაბელს გამოარჩევდა, ხედავდა რა მის ნიჭიერებასა და ენებისადმი მიდრეკილებას. მაჩაბლის პირველი თარგმნილი ლექსიც სწორედ უმიკაშვილის დამსახურებაა.

ვინ იცის, იქნებ, სწორედ ამ პირველ გონიერულ დავალებას უნდა ვუმადლოდეთ ქართველები, დიდი ივანე მაჩაბელი რომ გვყავს!

პატარა ვანო რვეულში საკუთარ ლექსებსაც ინერდა. პეტრე უმიკაშვილი იყო ვანოს საბავშვო კრებულის პირველი რედაქტორიც; პედაგოგი არ ერიდებოდა არც შენიშვნის მიცემას, არც შექებას. ბავშვიც ყურადღებით აკვირდებოდა თითოეულ გასწორებულ სიტყვას, ინიშნავდა, იმახსოვრებდა. მასწავლებელი ამაყობდა აღსაზრდელით და მას „ყრმათა მაგალითს“ უწოდებდა.

ვანო მაჩაბელი გიმნაზიაში ბევრისგან გამოირჩეოდა: ქართულთან ერთად სრულყოფილად დაეუფლა რუსულსაც; 13 წლის ასაკიდან კი უკვე ინგლისურენოვან ნაწარმოებთა კითხვას შეუდგა. საზოგადოება თამამად ალაპარაკდა ვანო მაჩაბელზე, ქართული ენის ზედმინევნით მცოდნეზე,

**ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი**

* – ცნობილი ქართველი მსახიობი, საქართველოს პირველი სახალხო არტისტი (1922 წ.).

** – რუსი მსახიობი და დრამატურგი, წარმოშობით ქართველი, 1863-1877 წ.წ.-ში ცხოვრობდა საქართველში.



რომელიც, ამასთან ერთად, უცხო ენებსაც წარმატებით ითვისებდა.

თავის მოგონებებში აკაკი წერდა: „რუსეთიდან რომ დავბრუნდი, ახალჩამოსულს ყველგან და ყველასგან მესმოდა, რომ თავად გიორგი მაჩაბელს შვილები კარგი ეზრდებოდა და უმცროსი შინაში მეთად საიმედო რამ არისო; ქართული, როგორც ხუცური, ისე მხედრული, ზედმინვნით იცის და უცხო ენებსა და, საზოგადოდ, საგნებსაც ადვილად იმორჩილებსო“.

მოხდა ისე, რომ თამარაშენში ოჯახს ყოველგვარი საარსებო სახსარი ამოეწურა (მამის – გიორგი მაჩაბლის დაუდევარი ხელგაშლილობის გამო). ამიტომაც, ჯერ კიდევ მოსწავლე ვანომ რეპეტიტორობას მიჰყო ხელი. როგორც კი გაკვეთილების საფასურს აიღებდა, იყიდდა ჩაის, შაქარს, საპონს, ოჯახისათვის საჭირო სხვა ნივთებსაც და დედას უგზავნიდა სოფელში.

თავადაც თამარაშენში ხშირად ჩადიოდა. შრომას არ თაკილობდა: ტყეში შეშას დაჩეხავდა, მოსავალს დააბინავებდა, გალავანს შეაკეთებდა, აივანს შეღებავდა.

16 წლის ვანო მაჩაბელმა წარმატებით დაასრულა თბილისის გიმნაზია და, როგორც წარჩინებულმა მოსწავლემ, სასწავლებლის დირექციისგან საჩუქარიც კი დაიმსახურა.



შუა საუკუნეების კენვის ციხე-ლიახვის ხეობა

ივანე მაჩაბელი და აფხაზეთი

ჩვენ საშუალება გვქონდა, გავსაუბრებოდით ანჩაბაძეთა უხუცეს წარმომადგენელს, რომელმაც მოიგონა საკუთარი წინაპრები. მოვუსმინოთ ბატონ რევაზ ანჩაბაძეს:

„ჩემი დიდი ბაბუა, მსხვილი მინათმფლობელი და მემამულე – ალექსი ანჩაბაძე მიიჩნევდა, რომ ანჩაბაძეთა გვარის წარმომავლობა უკავშირდება სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, კლარჯეთს – ანჩის ხეობას“.

იგი, ასევე, თვლიდა, რომ მაჩაბლები და ანჩაბაძეები მოგვარეები იყვნენ. შთამომავალთა ცნობით, ეს ორი გვარი ენათესავებოდა ერთმანეთს, ოჯახებით ურთიერთობდნენ. სხვათა შორის, ანჩაბაძეებს კახელი აფხაზიშვილებიც ჩვენს მოგვარეებად მიგვაჩნდა, – ამატებს ბატონი რევაზი.

ივანე მაჩაბელი თურმე ახლოს იცნობდა მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე ყიფიანს, დიმიტრი ყიფიანის ძმისშვილს. მიშო ყიფიანის მეუღლე, ელისაბედ (ლიზა) შარვაშიძე იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილის ძმის – ალექსანდრე შარვაშიძის ქალიშვილი. მათ 1883 წელს იქორწინეს. სავარაუდოა, რომ ივანე მაჩაბელი იცნობდა აფხაზეთის სამთავრო ოჯახის სხვა წევრებსაც.

დასავლეთ საქართველოს, მის ხალხს, ბუნებას რომ კარგად იცნობს, ივანე მაჩაბლის ერთ-ერთი წერილიდანაც ჩანს: „საჭიროა მხნეობა, გონების გამჭრიახობა, უარყოფა სიზარმაცისა. ამ მხრივ ბევრად უკეთესი ნიშნები შეინიშნება ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, ვიდრე აღმოსავლეთში. დასავლეთ ნაწილის ხალხი უფრო მარჯვეა, უფრო მიმღები ახლის წესებისა, უფრო დაუღალავი და მონადმართე“.

„კურ ვიღავითუ...“

ივანე მაჩაბელი სრულყოფილად ფლობდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულსა და გერმანულ ენებს. ამიტომაც უწოდებდნენ „დიდ ივანეს“. თანამედროვენი მას ახასიათებდნენ, როგორც გამორჩეულად ნიჭიერსა და შრომისმოყვარეს, იშვიათი ენერჯის მქონეს. დღე-ღამეში 8-10 საათს მუშაობდაო.

ივანე მაჩაბელი ოცნებით მუდამ მშობლიურ სამაჩაბლოს დასტრიალებდა თავს. ამას მონიშნავს მწერლის პირადი დღიური, რომელსაც ისტორიულთან ერთად დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულებაც გააჩნია:

„რა ამბავია თამარაშენში? რა ცვლილება მოხდა ჩემი წამოსვლის შემდეგ? ვინ გათხოვდა, ვინ დაქორწინდა? ბევრი იხვი გამოჩნდა ლიახვზე? იქნება, გიკვირთ ამ წვრილმანებზე ჩემი ლაპარაკი, მაგრამ ჩემთვის ახლა ეს მიწერ-მოწერა ქართული ლაპარაკის მაგიერია. 15 გორგობისთვის, 1876 წ.“

P.S. ეხით ექსისა ახ იყოს, ვეხ ვიდავითეთ, ვეხ ვითამაჟეთ... ჩვენი აღაჟაა მაჩაბელთა თვალისჩინი - "მოხთული თამაჟაშენი", ის კეთხე, ხომელსაც ივანე მაჩაბელი ყველაზე სულისმიეხი ფიქიებითა და ოცნებებით ელოიავებოდა. "ჯოჟნია ჟაჟ-მიდამო", გაზაფხულის ღანჯიხი, ნაიხფიად აყვავებული ხეხილი, თევზაობა, გლეხების მოყოლილი ზღაჟიხები, ღიახვის ხეობიდან მოწაბეხი საამეხი ნიაჟი, ჟაჟის ძიხში "ვეფხისტყაოსნით" ხელში ჩამომჯდახი ჰაჟა, მაჩაბელთა სასახლეში შეჟიხილი დიდებული ქაჟთველები - მაჩაბლები, ანდიხონიჟაანნი, ამიღახჟახნი, ოხბელიანნი.

"შემოდგომის სამაჩაბლოს მთვაჟიანი ღამე და შეგვიანებული მეჟიმის ქაჟთუღ ნაღვლიანი სიმღეჟა..." ესაა ივანე მაჩაბლის სამაჩაბლო, ისტოხიული ქაჟთული კეთხე, ხომლის სიყვაჟილი თან გაიყოლა გაჟიჟვევეღ ვითაჟეჟაში გაჟიჩინაჟებღმა დიდმა ქაჟთვეღმა მოღვაწემ, მწეჟაღმა და მთაჟგმნეღმა.



მაჩაბელთა გერბი



უცნაური ანდერძი

გერმანელი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის ჰაინრიხ ჰაინეს ცოლი ძალზე უხეში და გაუნათლებელი ქალი ყოფილა. მათ შორის უთანხმოებას თითქოს დასასრული არც უჩანდა.

საინტერესოა ანდერძის შინაარსი, რომელიც ცნობილმა მწერალმა დატოვა: მისი გარდაცვალების შემდეგ ცოლი სრულ მემკვიდრეობას მიიღებდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუ... მეუღლე გაუთხოვდებოდა.

ანდერძში შავით თეთრზე ეწერა:

„ამქვეყნად ერთი კაცი მაინც აღმოჩნდება, ვისაც ჩემი სიკვდილი დაენანება! ეს იქნება ჩემი ცოლის ქმარი.“



„სტალინთან“ ჰიროსჰირ

ცნობილი ქართველი მსახიობი იაკობ ტრიპოლსკი მოსკოვში მიიწვიეს სტალინის როლის შესასრულებლად.

და აი, გენერალ-სიმუსის მუნდირში გამოწყობილმა მსახიობმა, ჩიბუხსაც რომ აბოლებდა, შესვენებაზე, გადასაღებ მოედანზე გაიარ-გამოიარა.

უცებ საიდანღაც გამოჩნდა უცნობი კაცი, საკმაოდ შეზარხოშებული, და „სტალინს“, ლამის, ფეხებში ჩაუვარდა:

– Иосиф Виссарионович, какое счастье, что вижу Вас!

ტრიპოლსკი, რა თქმა უნდა, შეეცადა, წამოეყენებინა მამაკაცი.

ის რუსი თითქოს უცებ გამოფხიზლდა და საუბარი უკვე დაბალ ტონალობაში განაგრძო:

– Товарищ Сталин, моя вредная жена полностью берет мою зарплату. Голова раскалывается - вчера выпил. Дайте три рубля, чтобы я вышел из похмелья!

ალკოჰოლის ზემოქმედებისაგან დროში ვერგარკვეულ ლოთს სტალინის ეპოლეტებიანმა იაკობ ტრიპოლსკიმ ის სამი მანეთი, რა თქმა უნდა, მისცა.



ეს გაუმარჯოს...

რუსი მწერალი და პუბლიცისტი მიხეილ არდოვი ხშირად იხსენებდა თავის ერთ-ერთ მეგობარს, რომელსაც სასტიკად ეჯავრებოდა საბჭოთა წყობა და, განსაკუთრებით, ბელადებად მიჩნეული მაღალჩინოსნები.

გამოირჩეოდა იმითაც, რომ უყვარდა ორიგინალური სადღეგრძელოები.

8 მარტის სადღესასწაულო სუფრასთან დამსწრე საზოგადოებას მან ასეთი სადღეგრძელო შესთავაზა:

– მოდით, ბატონებო, ეს „ამა ქვეყნის ძლიერთა“ ქვრივებს გაუმარჯოს!



საკიბელი

<p>უსოვილი და ეპოქა კასტელი - XVII ს.-ის იტალიელი მისიონერი 3</p> <p>პროზა ზვიად გამსახურდია - იბავები 4</p> <p>ზღვისპირა იანუარი 7</p> <p>ახია ელინორ დეკანოზი მაქსიმე (განტუტია) - ნსოიხის ღვთისმეტყველება 8</p> <p>პოეზია ლევა მებრძოლი 11</p> <p>ო, ენა ჩემო სულხან-საბა ორბელიანი - იბავები 12</p> <p>ბნაქვანიქინა პაატა შურლოვანიძე - „...და გაიხსნება გზა იბი...“ 14</p> <p>პანკოპოზი მონანი იონა მუხარბია - სამასსოვრო ფურცლები აკაკის შემსახებ 18</p> <p>ფიქციური მოთხრობის ნიმუში რუსა შორეულიანი - ნაფხველები ავტობიოგრაფიდან, რომელსაც არასოდეს დავწერ 20</p> <p>იხის ნახშირი 24</p> <p>ელეინობრია თამარ ფარეშვიძე - პატივითი ალოქინების ეპოქის სათავეებთან 25</p> <p>ნახილი მოთხრობა ანტონ დე სენტ-ეკვიშავი - წერილი ბენერალ X-ს 28</p>	<p>დახმარე სადაზრთი 31</p> <p>თუ ქართული ხა ნონა ბიორბაძე - ღია წერილი ჩემს შვილსა და მის თანატოლებს... 32</p> <p>პოეტის ერთი ღიანი თინათინ მღვდლიაშვილი - ქინა ოვდის, სამებრძოლო! 35</p> <p>ნახმარე ნინელები 36</p> <p>ჩვენი სახით ბნახი ნანა ქარდია - ქირთბიანი 38</p> <p>მუხთა სანა მუნ დელაკრუსა კორტრეტი „წრიღერიკ შოპენი და შორეული სანდი“ 180 წლისა 42</p> <p>ერთი 46</p> <p>მინუტიური პროზა რევაზ ინანიშვილი - ლევა 47</p> <p>საქათაო ბნახითი ვიქტორ ბურაშვილი - ივანი მუხრანბატონი - ქართული ღვინის მოამბე 48</p> <p>თხმანი სვეტოლოდ ბარშინი - იყო და არა იყო რა 52</p> <p>ჩვენი ბნახითი ივანი მანაბელი 54</p> <p>სამოხბენ სმოილები 58</p>
--	---

ჩვენი მისამართი:

ქ. თბილისი, უნადის ქ. № 68.
ტელ.: (+995) 598 93 92 84;
(+995) 599 12 66 80;
ელ-ფოსტა: jurnali.ialqani@gmail.com

იალქანი № 1 (39), 2018 წ.
აფქიო № 1 (12), 2018 წ.

ტირაჟი: 500 ც.
ფასი სახელმეყრულებო.





"მზახა". სოფო ნაფხიძე. 14 წლის. თბილისი.